პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით:

წელიწადი მეშვიდე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
— და —
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან ღამის 12 საათამდე.
ტელეფ. ) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—58
) ღამის მორიგეს 18—80.

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპექ., № 84, ტელეფონი № 8—81.

ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების, წითელ-არმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან. და 30 კაპ.

განცხადებები: საქართველოს ფარგლებში— ტექსტის უკან—80 კ. ნონპარელის სტრიქონი, ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კ.; საქართველოს გარეთ—ტექსტის უკან—1 მ. 50 კ., ტექსტში—3 მ.; განმცხადებელი გარდა განცხადების ფასისა იხდის 10% საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად-შეღავათი შეთანხმებით. მთ. კანტორაში განცხადებები მიიღება 9—3½ ს., 3½ ს. შემდეგ განცხადება ღირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15 და 20 მ.

სამშაბათი, 17 მაისი 1927 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 109 (1854)

## დღიური

— სპარსეთმა გაუქმებულად გამოაცხადა ყველა უთანასწორო ხელშეკრულებები.

— დუმერგის და ბრიანის გამგზავრება ლონდონში.

— ტერორი უნგრეთში.—ბრძოლა „წითელ საფრთხესთან“.

— მოსკოვში ჩამოვიდა ჩეხო-სლოვაკიის კოოპერატივების დელეგაცია.

— აკადემიკოს იპატიევის იუბილე.

# წარმოების რაციონალიზაცია

ჩვენი პარტიის სამეურნეო პოლიტიკის მთავარ ხერხემალს ინდუსტრიალიზაცია წარმოადგენს. ეს არის ის ძირითადი ამოცანა, რომელზედაც დამოკიდებულია თანამედროვე პირობებში შესაძლებელი ჩვენი დამოუკიდებელი ეკონომიური არსებობის უზრუნველყოფა და სოციალისტური აღმშენებლობის წარმატებით განვითარება.

საკავშირო კომუნისტური პარტიის ცეკას მიერ მიღებული დადგენილება წარმოების რაციონალიზაციის შესახებ, რომელსაც მკითხველი დღეს ჩვენს გაზეთში გაეცნობა, ამ მთავარი სამეურნეო მისწრაფების — ინდუსტრიალიზაციის ამოცანის ერთ დიდ მნიშვნელობის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს. დღემდე რაციონალიზაციის საკითხი არ იდგა ჩვენს წინაშე ისეთი სიმწვავით, როგორც ის ეხლა არის წამოყენებული ცხოვრების მიერ.

პარტია და ხელისუფლება აქამდე დანგრეულის შეგროვებას და აღდგენას უნდებოდა. დღეს შეიძლება ითქვას, რომ აღორძინებითი პერიოდი ჩვენ უკვე გადავლახეთ და ბევრ შემთხვევაში მას დიდათ გაუსწარით წინ. აქედან ცხადია, რომ აღორძინებითი პროცესს თან უნდა მოჰყოლოდა წარმოების რეკონსტრუქციის, გადახალისება-გაუმჯობესების პროცესი და ეს ასედაც არის. თუ ეს ამოცანა ჩვენ ისევე ვერ გადავჭერით, როგორც ეს მოხდა აღორძინების ამოცანის მიმართ, აშკარაა ფუჭი ოცნება იქნებოდა კაპიტალისტურ მეურნეობასთან კონკურენციაზე ლაპარაკი, რომლის ჩვენ სასარგებლოთ გადაწყვეტაზედაც დამოკიდებულია სოციალისტური აღმშენებლობის განვითარების ბედი.

ბურჟუაზიული ქვეყნების მეურნეობამ კი, როგორც ვიცით, უკანასკნელ წლების განმავლობაში მნიშვნელოვანი მიღწევები მოიპოვა. ბურჟუაზიაც გაფაციცებით მუშაობს წარმოების რაციონალიზაციის საქმეზე და ამ დარგში მას ერთგვარი დაწინაურება ემჩნევა. მაგრამ ბურჟუაზიული რაციონალიზაცია მთლიანად მიმართულია ზედმეტი ღირებულების გადიდებისაკენ, მუშათა კლასის უსაზღვრო ექსპლოატაციის გზით. ამიტომ მათი რაციონალიზაცია უშუალოთ და პირდაპირ მიმართულია მუშათა კლასის ინტერესების წინააღმდეგ.

სრულიად სხვა მდგომარეობაა ჩვენში. საბჭოთა კავშირის წარმოების რაციონალიზაცია პირველყოვლისა ემსახურება სოციალისტურ დაგროვების ზრდის საქმეს, რომელზედაც დამოკიდებულია მუშათა კლასის მატერიალურ მდგომარეობის გაუმჯობესება.

სამწუხაროთ ჩვენში ბევრგან ჯერ კიდევ არ არის სათანადოთ შეთვისებული რაციონალიზაციის მთელი მნიშვნელობა. ეს უმთავრესად იმაში გამოიხატება, რომ ბევრგან არა სჩანს ფართე მშრომელი მასის აქტიური მონაწილეობა ჩვენი წარმოების გადახალისება-გაუმჯობესების საქმეში. უამისოთ საბჭოთა წყობილების პირობებში წარმოუდგენელია ყოველი საზოგადოებრივი მნიშვნელობის ამოცანის წარმატებით გადაწყვეტა.

საკავშირო კომუნისტური პარტიის უკვე ხსენებული დადგენილება ამ გარემოებას განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევს. აგიტაცია წარმოების რაციონალიზაციის შესახებ ერთ-ერთ საჭირბოროტო ამოცანას წარმოადგენს პარტიისა და პროფკავშირის ორგანიზაციებისათვის.

ჩვენ ხშირად ვწერდით საწარმოო თათბირების მოდუნების შესახებ. დღეს ეს საკითხი განსაკუთრებულ აქტუალობას ღებულობს. მასის კოლექტიური მონაწილეობა რაციონალიზაციის საქმეში უმთავრესად შესაძლებელია სწორეთ საწარმოო და ეკონომიურ თათბირების საშუალებით. ადგილობრივ პარტიულმა და პროფკავშირის ორგანიზაციებმა ყოველგვარი ზომები უნდა მიიღონ საწარმოო თათბირების გამოსაცოცხლებლათ. ამისათვის ამ მუშაობას უნდა მიეცეს ერთგვარი გეგმისა და სისტემის ხასიათი, საჭიროა საწარმოო თათბირების დადგენილებანი არ რჩებოდენ „ხმად მღაღადებლისა“. საჭიროა თათბირების მუშაობაში ჩაბმულ იქნას, წარმოებაში დაბანდებული ყველა სახის მუშა-ხელი.

დღემდი საწარმოო თათბირები ზოგჯერ წარმოდგენილი აქვთ, როგორც მხოლოდ მუშა-მოსამსახურეთა ინსტიტუტი. წარმოების ადმინისტრაცია და ტეხნიკური პერსონალი არ ღებულობს აქტიურ მონაწილეობას მათ მუშაობაში. საკავშირო კომპარტიის ცეკას დადგენილება ეხება რაციონალიზაციის პროპაგანდის ცალკე საკითხებს და ამ გარემოებასაც მიაქცევს პარტიისა და პროფკავშირის ყურადღებას.

ამასთან ერთად წარმოების რაციონალიზაციის საქმეში მასის მონაწილეობის ერთ-ერთ სახეს წარმოადგენს მუშათა გამომგონლობა. ოქტომბრის რევოლიუციამ გზა გაუხსნა მუშათა კლასის შემოქმედებას ცხოვრების ყოველ დარგში. წარსულ წლების განმავლობაში ჩვენ არაერთხელ ვყოფილვართ მოწმე, რომ მუშებს თავიანთი გამოგონებით ჩვენი წარმოებისათვის ხშირათ დაუფასებელი დახმარება გაუწევიათ. მაგრამ მუშათა გამომგონლობას ბევრჯერ წინ ეღობება ჩვენს აპარატის მოუქნელობა, ბიუროკრატიზმი, ზოგჯერ შურით ტეხნიკურ ინტელიგენციის ცალკე წარმომადგენლობის მხრივ და სხვა. პარტიამ და პროფკავშირმა ყოველგვარი ზომები უნდა მიიღონ ამ არანორმალობის აღმოსაფხვრელათ. ამას მოითხოვს ჩვენგან წარმოების რაციონალიზაციის ამოცანა.

ამრიგათ პარტიამ ჩვენს წინაშე ერთხელ კიდევ დასვა რაციონალიზაციის საკითხი. საჭიროა მეტი ენერგია და მეტი მონდომება ამ საპასუხისმგებლო ამოცანის გადასაწყვეტად.

# ლონდონის თავდასხმის გარშემო

თვეზე მეტი გავიდა მას შემდეგ, რაც ჩან-ძო-ლინმა თავდასხმა მოახდინა საბჭოთა საელჩოზე პეკინში. ბევრი სისხლი დაიღვარა მას შემდეგ. ჩინეთის კომპარტიის საუკეთესო მუშაკები ბარბაროსულად დაახრჩეს. მაგრამ ინგლისელი ზუბრები ამან ვერ დააკმაყოფილა. მთელი მათი პრესა მოწმობს, რომ ისინი იმედგაცრუებულნი დარჩენ იმ შედეგებით, რომელიც მათ ბოროტმოქმედებას მოჰყვა ჩინეთის დედაქალაქში. ისინი მტკიცედ დარწმუნებული იყვნენ, რომ ამ პროვოკაციით საბჭოთა კავშირს ჩააბამდენ ომში, რაც მათ სწყურიათ არა მარტო საბჭოთა კავშირის ხალხების, არამედ თვით ინგლისის ხალხის ნებასურვილის წინააღმდეგ.

მაგრამ პროვოკაციამ ვერ გასჭრა. საბჭოთა ხელისუფლებამ მშვიდობიანობის დროშა ხელიდან არ გაუშვას. ის არ აჰყვა პროვოკაციას. ქუჩურმა პრესამ სცადა ყოველ შემთხვევაში გამოეყენებია ის „დოკუმენტები“, რომლებიც, თითქოს, ხელთ იგდეს საელჩოს გაჩხრეკის დროს. ყოველ დღე ქვეყნდებოდა „მამხილებელი საბუთები“. მაგრამ ცხადი იყო, რომ ეს „მხილება“ საჭირო შთაბეჭდილებას ვერ ახდენდა. არა თუ მუშებმა, არამედ მოსახლეობის ფართო მასებმაც კარგად იციან, რომ კონსერვატიული მთავრობა გამოიყენებს ყალბ საბუთებს თავისი პოლიტიკის ძირითად არგუმენტად. ზუბრების ეგრედ წოდებული სერიოზული პრესა ბეჭდავდა პეკინში აღმოჩენილ დოკუმენტების გრძელ-გრძელ სიებს, მაგრამ მან თავისთვის უკეთესად ჩასთვალა ყოველგვარ კომენტარიებისა და დასკვნებისაგან თავი შეეკავებია.

ზუბრებს მოთმინება არ ჰყოფნით. ისინი ყოველ მხრივ ცდილობენ სიყალბით მოპოვებული ძალაუფლება შეინარჩუნონ ფაშისტურ მეთოდების შემწეობით, რომელთაც მიმართავენ „თავისიანების“ წინააღმდეგ სისხლისმღვრელ ავანტიურების მოსახდენად საგარეო პოლიტიკაში. თავის ქვეყანაში ისინი ატარებენ ჯოჯოხეთურ კანონს პროფკავშირების წინააღმდეგ; ამ კანონით მათ სურთ განახორციელონ ბოლდუინის პროგრამა, რომელიც მოითხოვს სამუშაო ხელფასის შემცირებას არა მარტო მემაღაროებისათვის, არამედ ინგლისის მრეწველობის ყველა დარგის მუშებისათვის. მაგრამ ამ კანონის გატარებას მუშათა მასები ხვდებიან სერიოზულ წინააღმდეგობით და ეს წინააღმდეგობა დღითი-დღე მატულობს. ამავე დროს კონსერვატორები ყოველივე ძალღონეს ხმარობენ, რომ გააფართოვონ აგრესიულ მოქმედების ზონა, აქციონ ინტერვენცია ჩინეთში საყოველთაო ომად, რომლის მახვილი მიმართული იქნება უმთავრესად შრომის პირველ რესპუბლიკის წინააღმდეგ. მაგრამ ჩინეთის რევოლიუციის წინააღმდეგ ბრძოლაში ზუბრების გამარჯვება საეჭვოა. მათ ბევრი ძალღონე დახარჯეს, რომ ჩინეთის რევოლიუციონურ არმიისათვის გულში ლახვარი ჩაეცათ. მაგრამ რევოლიუციონური მოძრაობა ჩინეთში არა თუ არ შესუსტდა, არამედ, პირიქით, ფართოვდება, იზრდება და ვითარდება.

დიდ იმპერიას, რომელსაც ზუბრები ხელმძღვანელობენ, ეკონომიური საქმეებიც ვერ აქვს სახარბიელოდ. მემაღაროეთა ლოკაუტის წინ უმუშევართა რიცხვმა მიაღწია მეტად დიდ ციფრს—986.648 კაცს. მთელი ბურჟუაზიული პრესა ინგლისში ერთხმად ამტკიცებდა, რომ მანამდე არსებულ ექვსი საათის სამუშაო დღის მაგიერ 8 საათის სამუშაო დღის შემოღება მაღაროებში ინგლისის მრეწველობას გაუადვილებს კონკურენციას მსოფლიო ბაზარზე. მაგრამ აღმოჩნდა, რომ თუმცა მემაღაროეთა დამარცხებას შედეგად მოჰყვა სიკვდილის შემთხვევის საგრძნობლად გახშირება მაღაროებში, მიუხედავად ამისა, უმუშევართა რიცხვი არა თუ არ შემცირდა, არამედ გაიზარდა. 1926 წლის 19 აპრილს რეგისტრაციაში გატარებული იყო 986.648 უმუშევარი, ხოლო 1927 წლის 19 აპრილს კი ეს რიცხვი აღწევს 1.106.400 კაცს. ამას უნდა დაუმატოთ, რომ ზუბრებმა მოახერხეს ნამდვილი ზომების მიღება, რომ ყველა უმუშევარი არ ყოფილიყო გატარებული რეგისტრაციაში. მაღაროების მეპატრონეთა გამარჯვებას სრულებითაც არ მოჰყოლია ის სამეურნეო აღორძინება, რასაც ასე დაბეჯითებით წინასწარმეტყველობდენ ინგლისის ეხლანდელი მბრძანებელნი.

ასეთ პირობებში რა გასაკვირია, თუ ზუბრები ნერვიულობენ და ყოველივე ძალღონეს ხმარობენ, რომ მსოფლიო ხანძარის ალში სცადონ შერყეულ მდგომარეობის განმტკიცება ან, ყოველ შემთხვევაში, გაუმჯობესება.

ზუბრები ეხლა ბატონ-პატრონნი არიან მურგეტის ქუჩაზე. ისინი არბევენ ჩვენი სავაჭრო წარმომადგენლობის შენობებს, ამტვრევენ შკაფებს და სეიფებს. მაგრამ, ვფიქრობთ, ზედმეტი არ იქნება თუნდაც ბურჟუაზიულ დემოკრატიის თვალსაზრისითაც იმის გახსენება, რომ ბოლდუინის მთავრობა უმცირესობის მთავრობას წარმოადგენს. ამასთანავე უნდა ითქვას, რომ ყველა დამატებითი არჩევნებზე კონსერვატორები ზედი-ზედ განიცდიან დამარცხებას. ზუბრების გამარჯვებას მურგეტის ქუჩაზე ადვილად შეიძლება მათთვის საბედისწერო შედეგები მოჰყვეს.

ზუბრების თავდასხმას სავაჭრო წარმომადგენლობაზე ლონდონში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ არა მარტო ინგლისის და საბჭოთა კავშირის მშრომელებმა, არამედ მთელი მსოფლიოს მუშათა და გლეხთა მასებმა. ერთმანეთს ებრძვის ორი დროშა: ომის დროშა, აღმართული ზუბრების მიერ და მშვიდობიანობის დროშა, რომელიც მაგრად უჭირავს ხელში შრომის პირველ რესპუბლიკას. მშვიდობიანობის დროშის გამარჯვება არის მთელი მსოფლიოს ჩაგრულთა და გაყვლეფილთა გადაუდებელი ამოცანა.

**მოსკოვი, 16 მაისი.**

# საბჭოთა სავაჭრო წარმომადგენლობაზე თავდასხმის შემდეგ

## თავდასხმა მოაწყვეს „შუბლმაგართა“ ბელადებმა ჩემბერლენის გაუფრთხილებლად

## ინგლისის პროფკავშირთა გენერალურ საბჭოს პროტესტი.-საბჭოთა სავაჭრო წარმომადგენელის განცხადება

## საბჭოთა საზოგადოებრიობა აღშფოთებულია შუბლმაგართა მორიგი პროვოკაციით

### საბჭოთა პრესბიუროს ცნობა

**ლონდონი,** 15 მაისი. რეიტერი იუწყება, რომ საბჭოთა პრესის ბიურომ 14 მაისს საღამოთი გამოაქვეყნა შემდეგი ცნობა:

„ვინაიდან პრესამ გამოაქვეყნა ერთიმეორის საწინააღმდეგო და გადამახინჯებული ცნობები „არკოსის“ და სავაჭრო დელეგაციის შენობების გაჩხრეკის შესახებ, საბჭოთა კავშირის სრულუფლებიან წარმომადგენლობის პრესის ბიურო აცხადებს შემდეგს:

ჩხრეკის შესახებ ცნობის მიღების თანავე 12 მაისს ნაშუადღევის 5 საათზე, საელჩოს მდივანი **ბოგომოლოვი** გაემგზავრა სავაჭრო დელეგაციის შენობაში. გზაში ბოგომოლოვმა შეიარა გარეშე საქმეთა სამინისტროს ჩრდილოეთ დეპარტამენტის დირექტორთან **პალეირეტთან,** რომელმაც განაცხადა, რომ მან სრულებით არაფერი იცის თვით ჩხრეკის ფაქტის შესახებ. საღამოს 7 საათზე, ბოგომოლოვმა ტელეფონით დაურეკა ჩემბერლენის პირად მდივანს და, დაეყრდნო რა როზენგოლცისაგან მიღებულ ინსტრუქციას, სთხოვა მას დაუყოვნებლივ მოეწყო შეხვედრა ჩემბერლენსა და როზენგოლცს შორის. ბოგომოლოვმა მდივანს განუმარტა, რომ საკითხი, რომლის გარშემო როზენგოლცს სურს ჩემბერლენთან მოლაპარაკება, შეეხება სავაჭრო დელეგაციის შენობის გაჩხრეკას და 1921 წლის სავაჭრო ხელშეკრულების დარღვევას. მიუხედავათ ამისა, როზენგოლცის შეხვედრა ჩემბერლენთან დანიშნულ იქნა 13 მაისს დილის 11 საათ. და 30 წუთზე.

შემდეგ ბოგომოლოვმა ჩემბერლენის პირად მდივანს სთხოვა მოეწყო როზენგოლცისათვის შეხვედრა გარეშე საქმეთა სამინისტროს რომელიმე პასუხისმგებელ თანამშრომელთან. ჩემბერლენის მდივანი შეჰპირდა პასუხს ტელეფონით. პასუხის მიღებამდე ბოგომოლოვი პირადათ გაემგზავრა გარეშე საქმეთა სამინისტროში, მაგრამ, როცა ის მივიდა აქ. სამინისტროში მას არ დახვდა არც ჩემბერლენის მდივანი და არც სხვა ვინმე პასუხისმგებელი თანამშრომელი. ამრიგათ უშედეგოთ დამთავრდა როზენგოლცის ცდა ენახა 12 მაისს გარეშე საქმეთა მინისტრი ან სამინისტროს სხვა რომელიმე პასუხისმგებელი თანამშრომელი.

როცა 13 მაისს, 11 საათზე და 30 წუთზე ჩემბერლენს გადაეცა საპროტესტო ნოტა სავაჭრო დელეგაციის გაჩხრეკის წინააღმდეგ, მისი ყურადღება ამასთანავე ერთად მიაქციეს იმ გარემოებაზე, რომ ჩხრეკა არის 1921 წლის სავაჭრო ხელშეკრულების აშკარა დარღვევა, რამდენადაც გაჩხრეკილ იქნა ოფიციალური სავაჭრო აგენტის შენობა.

პოლიციამ მურგეტის ქუჩაზე სახლში № 49, პირველ რიგში ხელში ჩაიგდო შიფრიანი კოდი და დოკუმენტები, რომელნიც ოფიციალური სავაჭრო აგენტის ხინჩუკის პირად საკუთრებას წარმოადგენენ.

ასეთ მოქმედებას შეუძლია მხოლოდ გაამწვავოს ურთიერთობა ორ ქვეყანას შორის. ამავე დროს ჩხრეკა სწარმოებდა ისეთი წესით, რომ სრულებითაც არ ყოფილა მხედველობაში მიღებული გაჩხრეკილ დაწესებულებების ინტერესები. გაჩხრეკის ასეთი წესი არ იძლევა იმის გარანტიას, რომ დოკუმენტები და მასალები, რომელთა შესახებ პოლიციამ შეეძლება განაცხადოს, რომ ისინი ნაპოვნი არიან სავაჭრო დელეგაციის შენობაში, ნამდვილად ინახებოდა ამ შენობაში გაჩხრეკამდე“. (ადს).

### ამხ. ბოევის განცხადება

**ლონდონი,** 15 მაისი. საბჭოთა კავშირის სავაჭრო წარმომადგენელის მოადგილეობის აღმასრულებელმა 15 მაისს გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიაც ნათქვამია:

„აუცილებელია აღინიშნოს, რომ პოლიცია არ ზრუნავდა დაეცვა რაიმე ფორმალობა და არც კი შეცდილა ენახა ადმინისტრაციის რომელიმე უფროსი წარმომადგენელი და წარედგინა მისთვის გაჩხრეკის ორდერი. როცა პოლიციელები შეიჭრენ შენობაში, სასწრაფოდ დაიკავეს ყველა სართულები. პოლიციელები იჭრებოდენ ყველა ოთახებში და მოსამსახურეებს უბრძანებდენ გამოსულიყვენ ოთახებიდან. ამგვარად მათ ჩაიგდეს ყველა შენობები.

მიუხედავად იმისა, რომ 1921 წლის სავაჭრო შეთანხმება გარკვეულად ითვალისწინებს ოფიციალური აგენტის დიპლომატიურ ხელშეუხებლობას, რომელი თანამდებობაც უჭირავს სავაჭრო დელეგაციის თავმჯდომარეს ხინჩუკს, და აგრეთვე ითვალისწინებს მის უფლებას იქონიოს მთავრობასთან ურთიერთობა შიფრის საშუალებით (რის შესახებაც პოლიციას არ შეეძლო არ სცოდნოდა), პოლიციამ არავითარი გამონაკლისი არ დაუშვა აგენტის კაბინეტისათვის და შეიჭრა შიგ. საშიფრე ოთახში თანამშრომლები მიულერი და ხუდიაკოვი შეეცადენ აეხსნათ პოლიციისათვის პასუხისმგებლობა, რომელიც მათ ეკისრება. პოლიცელებმა კი ძალით გაჩხრიკეს ზემოხსენებულნი პირნი, ძალითვე გაავდეს ისინი ოთახიდან და ამასთანავე მიაყენეს მათ პირადი შეურაცხყოფა.

იგივე პროცედურა განიმეორეს პოლიციელებმა სავაჭრო წარმომადგენლობის მდივანის ფირსოვის მიმართ, რომელსაც უბრძანეს გამოსულიყო ოთახიდან, მიუხედავად მისი პროტესტისა და მოთხოვნილებისა, რომ წარედგინათ გაჩხრეკის ორდერი. უფროს ბუჰხალტერ პოლიტოვს პოლიციამ ჩამოართვა ხინჩუკის პირადი ანგარიშის საბანკო ჩეკის წიგნაკი და ამასთან დაკავშირებული დოკუმენტები.

ყველა დანარჩენ ოთახებში პოლიცია მოქმედებდა ამგვარად. თანამშრომლებს უბრძანებდა გასულიყვენ კორიდორებში და ამასთანავე ზოგიერთ შემთხვევებში არ აძლევდა ერთმანეთთან დალაპარაკების ნებას. ბოევსაც არ დართეს მათთან დალაპარაკების ნება. ყველა ოთახები მთლიანად დაიჭირეს პოლიცელებმა, რომელნიც ჩხრეკას აწარმოებდენ თანამშრომლებისა და პასუხისმგებელ პირთა დაუსწრებლად.

ზემონათქვამიდან ცხადია, რომ არა თუ დარღვეული იყო დიპლომატიური პრივილეგიები, რომლითაც სარგებლობენ სავაჭრო დელეგაციის თავმჯდომარეები, 1921 წლის სავაჭრო შეთანხმების მიხედვით, არამედ პოლიციის მოქმედება საერთოდ იყო ისეთი, რომ სავაჭრო დელეგაციის წარმომადგენლებს არ ჰქონდათ საშუალება დასწრებოდენ ჩხრეკას, მიუხედავად მათი მრავალჯერ მოთხოვნილებისა.

ასეთ პირობებში სავაჭრო დელეგაციას არავითარი საშუალება არ ჰქონდა, გარდა იმისა, რომ თავისი თანამშრომლები გაეშვა სახლში. პოლიცია დღემდე კვლავ რჩება შენობებში.

დასასრულ, გაზეთების ცნობის გამო, ვითომც ჩხრეკა მოხდენილ იქნა იმ მიზნით, რომ ეპოვათ რაიმე ოფიციალური სახელმწიფო დოკუმენტი, რომელიც რამოდენიმე თვის წინად დაიკარგა, სავაჭრო წარმომადგენლობა აუცილებლად სთვლის განაცხადოს, რომ მან არაფერი იცის ამგვარი დოკუმენტების შესახებ, ასეთი რამ მას არ უნახავს და № 49 სახლის სეიფის არქივებში, მარგეტის ქუჩაზე, არასოდეს არ ყოფილა და არც არის ასეთი დოკუმენტი.

სავაჭრო წარმომადგენლობა აცხადებს აგრეთვე, რომ, როცა მან უარი განაცხადა მიეცა ხინჩუკის კაბინეტში მდებარე სეიფების გასაღები, იგი ხელმძღვანელობდა მხოლოდ და მხოლოდ იმით, რომ ხინჩუკი და მისი კაბინეტი დიპლომატიური ხელშეუხებლობით სარგებლობენ“.

როზენგოლცმა ბოევის განცხადება ჩემბერლენს გადასცა (ადს).

### „შუბლმაგართა“ გულაჩვილობა

**ლონდონი,** 14 მაისი. 15 მაისს ალბერტ - ხოლში გამართულ მიტინგზე „შუბლმაგართა“ ლიდერმა ოლივერ **ლოკერ - ლემპსონმა** განაცხადა:

„მოხდა თავდასხმა „არკოსზე“ — ახლა ჯერი „ჩეშამ-ჰაუზზეა“ (საბჭოთა საელჩო)“.

ლოკერ-ლემპსონმა მოითხოვა, რომ ინგლისის მთავრობამ აიძულოს საბჭოთა მთავრობა დააკმაყოფილოს ინგლისის კრედიტორთა პრეტენზიები. (ადს).

### „პიროვნების ხელშეუხებლობა“ ინგლისურად

**ლონდონი,** 15 მაისი. საგარეო საქმეთა სამინისტროსთან ახლო მდგომი გაზეთი **„დეილი ტელეგრაფი“** უკეთებს კომენტარიებს ლონდონის პოლიციის მიერ „არკოსის“ შენობაზე მოხდენილ თავდასხმას და სწერს:

„არის ზოგიერთი საბუთები ვიფიქროთ, რომ თავდასხმა დაკავშირებულია პარიზის პოლიციის მიერ საფრანგეთის კომუნისტური პარტიის შტაბის გაჩხრეკის დროს აღმოჩენილ დოკუმენტებთან“. გაზეთის აზრით, „საერთაშორისო უფლების თვალსაზრისით არ ღირს სერიოზული ანგარიშის გაწევა როზენგოლცის საპროტესტო ნოტისათვის“. „სავაჭრო ხელშეკრულების მუხლები გვიჩვენებენ,—სწერს გაზეთი.—რომ ხელშეუხებლობის უფლებებს, რომლითაც სარგებლობენ საბჭოთა ოფიციალური სავაჭრო აგენტები აქვთ წმინდა პირადული ხასიათი და ამიტომ არ წარმოადგენენ სრულ დიპლომატიურ ხელშეუხებლობას, ამ სიტყვის ჩვეულებრივი გაგებით. ხინჩუკი სარგებლობს პირადი ხელშეუხებლობით, მაგრამ ეს ხელშეუხებლობა არ ვრცელდება არც მის პერსონალზე და არც მის მიერ დაკავებულ შენობებზე“.

რეიტერის სააგენტომ გამოაქვეყნა განცხადება, რომელიც „გამოხატავს ავტორიტეტული წრეების აზრს, იცავს „დეილი ტელეგრაფის“ ანალოგიურ თვალსაზრისს და აღიარებს, რომ ხინჩუკი სარგებლობს მხოლოდ პირადი ხელშეუხებლობით. (ადს).

### „შუბლმაგარიია“ მუშაობა

**ლონდონი,** 15 მაისი. საკავშირო დეპეშათა სააგენტოს კორესპონდენტმა საპარლამენტო ფრაქციის და მუშათა პარტიის მემარცხენე ფრთის წარმომადგენლებთან საუბარიდან გამოიტანა დასკვნა, რომ **თავდასხმა „არკოსზე“ წინასწარ იყო მომზადებული შინაგან საქმეთა მინისტრის მიერ, ჩერჩილის, ბირკენხედის და სხვა შუბლმაგრების სრული თანხმობით, რომ ამით იძულებული გაეხადათ ჩემბერლენი გაეწყვიტა ურთიერთობა საბჭოთა კავშირთან.** მოსაუბრენი კორესპონდენტთან საუბარში აღნიშნავდენ, რომ ამ ურთიერთობის შეწყვეტის მოსალოდნელი საერთაშორისო შედეგები არ მიიღეს მხედველობაში მინისტრებმა, რომელნიც დაბრმავებულნი არიან საბჭოთა კავშირისადმი ფანატიკური სიძულვილით. პარლამენტის ფრაქციის წევრები ხაზს უსვამენ, რომ თავდასხმა არკოსზე, რაც არ უნდა გამოიწვიოს მან, არ შეიძლება იქნას განხილული, როგორც ინციდენტი, რომლითაც დამთავრდება კონსერვატორების იერიშები; მაგრამ ეს წარმოადგენს ყველაზე უფრო ძლიერ ცდას, მიმართულს საბჭოთა კავშირის იზოლიაციისაკენ. ზოგიერთი მოსაუბრეთაგანი დიდ მნიშვნელობას აძლევენ ლოკერ ლემპსონის მიერ წარმოთქმულ სიტყვას, კერძოთ მის განცხადებას იმის შესახებ, რომ „დადგა „ჩეშამ-ხაუზის“ (საელჩო) რიგი“. (ადს).

### არკოსის განცხადება

**ლონდონი,** 15 მაისი. არკოსმა გამოაქვეყნა შემდეგი განცხადება:

„არკოსის“ გამგეობა ყველა დაინტერესებული ფირმების და დაწესებულებების საყურადღებოდ აცხადებს, რომ სატელეფონო კავშირის შეწყვეტა ზოგიერთ საბჭოთა დაწესებულებებთან, 13 მაისიდან დაწყებული, მოხდა იმის გამო, რომ პოლიციამ ტელეფონზე მომუშავე ქალები არ შეუშვა სახლ № 49-ში, მურგეტის ქუჩაზე, სადაც იმყოფება არკოსის კომუტატორი, რომელიც ერთმანეთთან აერთებს არკოსის და სავაჭრო წარმომადგენლობის არა მარტო სხვადასხვა განყოფილებებს, არამედ ზემოხსენებულ დაწესებულებებსაც. (ადს).

### პრესა თავდასხმის შესახებ

#### გამოძახილი ჟენევაში

**ბერლინი,** 15 მაისი. ვოლფის სააგენტო ჟენევიდან იუწყება:

ცნობამ საბჭოთა სახლის გაჩხრეკის შესახებ ეკონომიურ კონფერენციის წრეებზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა.

**„ბერლინერ ტაგებლატ“**-ის ჟენეველი კორესპონდენტი იუწყება, რომ **ეკონომიურ კონფერენციის წრეებში მწუხარებას გამოსთქვამენ მომხდარი ამბის შესახებ,** რომელიც აძლიერებს უნდობლობას საბჭოთა კავშირსა და კაპიტალისტურ მსოფლიოს შორის სწორედ იმ მომენტში, როცა ჟენევაში მათ შორის მზადდება ერთგვარი სამეურნეო დაახლოება“.

**„ფოსიშე ცეიტუნგ“-ის** კორესპონდენტი იუწყება, **რომ შეერთებულ შტატების წარმომადგენლებმა საბჭოთა დელეგაცია მიიპატიჟეს ვახშამზე.** გაზეთი ამტკიცებს, რომ ჟენევაში ძლიერდება გამოსვლები საბჭოთა კავშირის წარმომადგენლობის წინააღმდეგ ლონდონში, რაც დაკავშირებულია ამერიკის და საბჭოთა კავშირის დელეგაციების დაახლოებასთან:

„რუსებს — სწერს გაზეთი — სახელი უტყდებათ სწორედ იმ მომენტში, როცა ამერიკისათვის მისაღები ხდება სავაჭრო ურთიერთობა საბჭოთა კავშირთან“.

### ინგლისის პრესა

**ლონდონი,** 15 მაისი. აქამდის „ტაიმს“-ი, „დეილი ტელეგრაფ“-ი და ფინანსიურ წრეების ორგანოები არ ეხებიან მოწინავე წერილებში არკოსზე თავდასხმას. კონსერვატიული „დეილი ექსპრეს“ აქვეყნებს ცნობას ახალი კრედიტების შესახებ, რომლებიც „მიდლანდ ბანკმა“ მისცა საბჭოთა სავაჭრო ორგანიზაციებს.

ლიბერალური პრესა აკრიტიკებს პოლიციის მოქმედებას.

რეაქციონური **„დეილი მეილ“** და „მორნინგ პოსტ“ ესალმებიან მთავრობას და აღნიშნავენ „დიპლომატიური ეტიკეტის დარღვევას როზენგოლცის მხრივ“, რაც გამოიხატება იმაში, რომ მან 12 მაისს ინახულა მუშათა პარტიის საპარლამენტო ფრაქციის წევრები.

კონსერვატიული **„ივნინგ ნიუს“** უარყოფს „დეილი ექსპრეს“-ის ცნობას „მიდლანდ ბანკ“-ის მიერ საბჭოთა სავაჭრო ორგანიზაციებისათვის კრედიტის მიცემის შესახებ 10 მილ. გირ. სტერლინგის რაოდენობით. **„ივნინგ ნიუს“** აცხადებს, რომ აღნიშნული ცნობის უარყოფა ოფიციალური ხასიათისაა, მაგრამ ამ უარყოფის წყაროს არ ასახელებს.

#### თავდამსხმელთა ნადავლი

**ლონდონი,** 15 მაისი. პოლიციამ საბჭოთა სახლიდან (არკოსის და სრულუფლებიან წარმომადგენლობის შენობა) გადაზიდა ქაღალდები 3 საბარგო ავტომობილით. სწარმოებს ქაღალდების შესწავლა (ადს).

**ლონდონი,** 15 მაისი. მუშათა მოძრაობის მემარცხენე ფრთის ორგანო „უორკერ“ სწერს:

„არკოსზე თავდასხმა სიგნალია მსოფლიო რეაქციისათვის. ჩან-ძო-ლინისთვის აშკარაა, რომ ინგლისის მთავრობა იწონებს მის თავდასხმას პეკინის საელჩოზე და იმ მკვლელობებს, რომლებიც მოჰყვა ამ თავდასხმას. კონრადებს და ცარიზმის ნამსხვრევების სხვადასხვა ნაძირალებს და მკვლელებს შვეიცარიაში ნიშანი მიეცათ, რომ მათ შეუძლიათ იმოქმედონ“.

დასასრულ გაზეთი იგონებს საბჭოთა ყალბი დოკუმენტების დამზადების წინანდელ შემთხვევებს და აცხადებს, რომ კონსერვატორები იხმარენ ყოველივე ძალ-ღონეს, რომ ამ შემთხვევაშიაც „აღმოაჩინონ“ დოკუმენტები.

გაზეთი **„სიდნეი ტაიმს“** იუწყება, რომ ჩემბერლენის პასუხში გარკვევით ჩამოყალიბებულ იქნება ინგლისის მთავრობის შეხედულება მომხდარ ინციდენტზე და ხინჩუკის დიპლომატიური სტატუტი (უფლებრივი მდგომარეობა) სავაჭრო ხელშეკრულების ინგლისურ გაგების მიხედვით.

**„სანდეი უორკერ“** აღნიშნავს, რომ არკოსის შენობის გაჩხრეკის დროს პოლიციას ეხმარებოდენ რუსი თეთრგვარდიელები.

„მიდლანდ ბანკ“-ი ოფიციალურად უარყოფს ცნობას საბჭოთა კავშირის სავაჭრო წარმომადგენლობასთან/კრედიტების გარშემო ხელშეკრულების დადების შესახებ, ამის შესახებ ალენ სმიტმა (სამანქანმშენებლო მრეწველთა ფედერაციის თავმჯდომარე) განაცხადა:

„უარყოფის კატეგორიული ხასიათი უხერხულ მდგომარეობაში მაყენებს მე. მე სრული რწმენით გავაკეთე განცხადება შეთანხმების მიღწევის შესახებ, ვინაიდან ყველაზე მეტი, რის დაშვებაც მე შემეძლო, ეს ის, რომ არ იყო გადაჭრილი რაიმე მეორე ხარისხოვანი ტეხნიკური წვრილმანები“.

გაზეთ **„სიდნეი ექსპრეს“**-მა გამოაქვეყნა საუბარი პოლიტიკური პოლიციის სავანგებო განყოფილების უფროსთან ჩაილდსთან, რომელმაც განაცხადა:

„არის საფუძველი ვიფიქროთ, რომ ოფიციალური დოკუმენტი, რომელიც მოიპარეს, არკოსის შენობაში იყო. საუწყებო საიდუმლოებათა შესახებ არსებულ კანონის თანახმად სასამართლოს ხელისუფლებამ მისცა პოლიციას ორდერი ჩხრეკის მოსახდენათ. თუ დოკუმენტი არკოსშია, აშკარაა, რომ პოლიცია ვალდებული იყო ემოქმედნა. თუ ის არ არის იქ, არკოსის თანამშრომლები ცუდათ მოიქცენ, როცა წინააღმდეგობა გაუწიეს ჩხრეკას“.

**„სენდეი ექსპრეს“** იუწყება, რომ არკოსში ნაპოვნ დოკუმენტების შესახებ ათასგვარი ხმები დადის. ამბობენ, თითქოს, დოკუმენტებს კავშირი აქვთ საფრანგეთის პრეზიდენტის დუმერგის ჩამოსვლასთან ლონდონში, თითქოს, აღმოაჩინეს ყველაფერი, რაც საჭიროა ყალბი პასპორტების დამზადებისათვის და აგრეთვე იმ პირთა სია, რომლებიც ეხმარებოდენ საბჭოებს საყოველთაო გაფიცვის დროს“.

გაზეთის თანამშრომელმა სთხოვა ჯოინსონ ხიქსს გამოეთქვა თავისი აზრი ამ ხმების შესახებ. ხიქსი დაკმაყოფილდა შემდეგი პასუხით:

„მე დარწმუნებული ვარ, რომ ჩხრეკას ჰქონდა გასამართლებელი საბუთი“ (ადს).

### გერმანიის პრესა

**ბერლინი,** 15 მაისი. **„დეიჩე ალგემაინე ცეიტუნგის“** პარიზელი კორესპონდენტი იუწყება, რომ პარიზში, ლონდონის თავდასხმის შედეგად, სავსებით შესაძლებლად სთვლიან სრული დიპლომატიური ურთიერთობის შეწყვეტას ინგლისსა და საბჭოთა კავშირს შორის.

გერმანიის ნაციონალისტების ორგანო „დერ ტაგი“ ზოგიერთ ინგლისელების აზრს, რომ ლონდონის თავდასხმა გამოიწვევს სავაჭრო ურთიერთობის შეწყვეტას ინგლისსა და საბჭოთა კავშირს შორის, სავსებით შესაძლებლად სცნობს. (ადს).

# ფასების დაკლების კამპანია და საბჭოები

საკავშირო კომპარტიის ცეკას თებერვლის პლენუმი წინადადებას აძლევს „პარტორგანიზაციებს და საბჭოებს მიიღონ ორგანიზაციული ზომები გლეხობის ძირითადი მასის ნამდვილი ჩაბმისათვის სასოფლო კოოპერატივების ხელმძღვანელობაში და მათი მუშაობის კონტროლში“.

საქართველოს კომპარტიის ცეკას მარტის პლენუმი ადგენს: „ბაზრის მოწესრიგების და ფასების დაკლების მიზნით და აგრეთვე ამ მუშაობაში საბჭოების წევრთა აქტიურ მონაწილეობისათვის საჭიროდ იქნეს ცნობილი საბჭოებთან სავაჭრო-კოოპერატიულ სექციების მოწყობა“.

ხელმძღვანელი პარტიული ორგანოები სთვლიან, რომ ფასების დაკლების კამპანიის ერთ-ერთი უმთავრესი ორგანიზატორი და მონაწილე უნდა იყვნენ საბჭოები. მიუხედავად ამისა, უნდა ითქვას, რომ საკავშირო კომპარტიის ცეკას და საქართველოს კ. პ. ცეკას დირექტივები ფასების დაკლების კამპანიაში საბჭოების მონაწილეობის შესახებ არ ტარდება ცხოვრებაში. ფასების დაკლების კამპანია გვერდს უვლის საბჭოებს, როგორც მუშათა და გლეხთა მასიურ ორგანიზაციას. აქამდის არც სამაზრო აღმასკომებში, არც ქალაქისა და თემის საბჭოებში არ იდგმება განსახილველად და დასამუშავებლად ღონისძიებები პარტიისა და მთავრობის უმნიშვნელოვანეს დირექტივის განსახორციელებლად.

ამან არ შეიძლება დაბოლოს გავლენა არ მოახდინოს კამპანიის ჩატარებაზე.

პარტორგანიზაციებმა უდიდესი ყურადღება უნდა მიაქციონ აღნიშნულ ნაკლის დაუყოვნებლივ გამოსწორებას ცეკას დირექტივის გატარების საქმეში და ფართედ უნდა ჩააბან საბჭოები მიმდინარე კამპანიაში.

ამავე ხაზით უნდა იქნეს მიმართული ხელმძღვანელ საბჭოთა ორგანიზაციების მუშაობა.

ჯერჯერობით, გამოცდილების უქონლობის გამო, ჩვენ არ შეგვიძლია ამომწურავი მითითებების მოცემა ფასების დაკლების კამპანიაში საბჭოების მონაწილეობის საორგანიზაციო ფორმების და მეთოდების შესახებ.

საბჭოებში დასმულ და ყოველმხრივ განხილულ უნდა იქნეს მოხსენებები ამოცანებისა და ღონისძიებების შესახებ ფასების დაკლების დარგში. საქართველოს კომპარტიის ცეკას დადგენილების თანახმად, საბჭოებთან უნდა მოეწყოს სავაჭრო-კოოპერატიული სექციები, რომელთა მუშაობაში ფართედ ჩაბმული უნდა იქნენ აგრეთვე არა საბჭოს წევრი მუშები და გლეხებიც. სავაჭრო-კოოპერატიული სექციები ამზადებენ ღონისძიებებს სათანადო საბჭოს ტერიტორიაზე სავაჭრო ორგანიზაციებში ცეკას დირექტივების გასატარებლად ფასების დაკლების შესახებ. საბჭოებისათვის სექცია უნდა წარმოადგენდეს კოოპერატიულ და სხვა სავაჭრო სახელმწიფო ორგანიზაციებზე მასიური კონტროლის გამწევ ორგანოს. სექციის მუშაობის მეთოდები უნდა იყვეს: დასახულ ობიექტების საქმიანობის გამოკვლევა, სასწრაფო რევიზიები და სხვ. გამოკვლევის და რევიზიის შედეგათ დასახული ყველა ღონისძიებები სექციამ უნდა გაატაროს სათანადო საბჭოს საშუალებით.

საორგანიზაციო მუშაობა მიმდინარე კამპანიაში საბჭოების აქტიურ ჩასაბმელათ ეკისრება, პირველ ყოვლისა, სამაზრო აღმასკომებს, რომელთაც ამ მხრივ ჯერ-ჯერობით არაფერი გაუკეთებიათ. გარდა ამისა, სამაზრო აღმასკომებმა ხელმძღვანელობა უნდა გაუწიონ ვაჭრობის სახ. კომისარიატის ადგილობრივ რწმუნებულის მუშაობას.

მთელი ძალაუფლებით აღჭურვილ მასიურ ორგანიზაციების, როგორიც არიან საბჭოები, მწყობრი და გეგმაშეწონილი მონაწილეობა კამპანიაში, მათი აქტიური შეტევა მთელ ამ ფრონტზე, მნიშვნელოვან როლს ითამაშებს ფასების დაკლების საკითხის წარმატებით გადაჭრის საქმეში.

**შ. მათიკაშვილი.**

# უცხოეთის მშრომელთა პროტესტი

### გერმანიის კომპარტიის მოწოდება

**ბერლინი,** 15 მაისი. გერმანიის კომპარტიის ცეკამ გერმანიის მშრომელთ მიმართა მოწოდებით, რომელშიც, სხვათა შორის, ნათქვამია:

„ინგლისი ცდილობს ომის გამოწვევას. საბჭოთა მთავრობა, მიუხედავათ პროვოკაციისა, უკანასკნელ შესაძლებლობამდე დაიცავს მშვიდობიანობას. საბედისწერო ამბების თავიდან აცდენა შეუძლია მხოლოდ მუშათა კლასის სრულ სოლიდარობას. ვერავითარი ძალა ვერ აიძულებს გერმანიის მუშებს იარაღი მიმართონ რუსი ძმების წინააღმდეგ, დაამზადონ იარაღი პროლეტარიატის მოსისხლე მტრებისათვის და გატარონ მუშების მკვლელების ტრანსპორტი. (ადს).

### გერმანიის მუშების ხმა

**ბერლინი,** 15 მაისი. გერმანიის კომპარტია ორშაბათს მართავს საპროტესტო მიტინგს „არკოსზე“ მოხდენილ თავდასხმის წინააღმდეგ. (ადს).

### გენერალური საბჭოს პროტესტი

**ლონდონი,** 15 მაისი. ინგლისის პროფკავშირთა გენერალურ საბჭოს მდივანმა სიტრინმა ბოლდუინს გაუგზავნა წერილი, რომელშიაც ნათქვამია:

„გენერალური საბჭო მეტად გაოცდა, როცა გაიგო, რომ პოლიციამ დაიკავა არკოსის და სავაჭრო წარმომადგენლობის შენობა და იქ ჩხრეკა მოახდინა. დღემდე არავითარი ოფიციალური განმარტება არ მოუციათ ასეთი ზომის გამო, რომლის მაგვარს ადგილი არ ჰქონია არასოდეს. შინაგან საქმეთა მინისტრის მოქმედება სრულიად არ ეთანხმება შეთანხმების პირობებს, რომლითაც საბჭოთა კავშირის ოფიციალურ სავაჭრო აგენტებს დიპლომატიური ხელშეუხებლობა ენიჭება.

მე დავალება მაქვს განვაცხადო პროტესტი ასეთი ზომის წინააღმდეგ, რომელსაც არ შეიძლება მავნე შედეგები არ მოჰყვეს ინგლისისა და საბჭოთა კავშირის ურთიერთობისათვის“ (ადს).

# საბჭოთა საზოგადოებრიობა პროტესტს აცხადებს

### სამეურნეო მუშაკების მოთხოვნილება

**მოსკოვი,** 16 მაისი. საბჭოთა კავშირის ვაჭრობა - მრეწველობის წარმომადგენელთა ყრილობამ მიმართა თხოვნით ვაჭრობის სახალხო კომისარიატს აცნობოს საბჭოთა კავშირის სავაჭრო წარმომადგენლობის ჩხრეკის მიზეზები ლონდონში და ვაჭრობის სახალხო კომისარიატის შეხედულება შემდგომ სავაჭრო ურთიერთობაზე ინგლისის ფირმებთან.

საბჭოს სასწრაფო სხდომაზე საინფორმაციო მოხსენება ლონდონის ამბების შესახებ გააკეთა ვაჭრობის სახალხო კომისარიატის წევრმა ამხ. **შლეიფერმა.**

ამხ. შლეიფერის შემდეგ გამოვიდენ სამეურნეო მუშაკები. ყველა გამოსულმა ორატორებმა ერთსულოვნად მოითხოვეს სავაჭრო წარმომადგენლობის გამოწვევა ლონდონიდან. ორატორებმა აღნიშნეს, რომ შექმნილი მდგომარეობა შეუძლებლად ხდის ნორმალური სავაჭრო ოპერაციების წარმოებას. ზოგიერთმა სამეურნეო მუშაკებმა აღნიშნა, რომ ინგლისზე გადაცემული დაკვეთები უფრო ხელსაყრელ პირობებში შეიძლება განაწილდეს სხვა ქვეყნებში.

საბჭოს მიერ მიღებულ რეზოლიუციაში ნათქვამია: „ყრილობის საბჭო აღიარებს, რომ შექმნილი მდგომარეობა არ აძლევს საბჭოთა სავაჭრო - სამრეწველო წრეებს სავაჭრო ურთიერთობის — ექსპორტ-იმპორტის ნორმალური განვითარების პერსპექტივას და ამიტომ აყენებს ინგლისთან სავაჭრო ოპერაციების შეწყვეტის საკითხს იმ დრომდე, სანამ არ იქნება მიღებული სათანადო გარანტიები. ასეთი გარანტიების უქონლობა საჭიროდ ხდის ინგლისში მიცემულ დაკვეთების გადატანას სხვა ქვეყნებში და ამიტომ ჩვენს სავაჭრო წარმომადგენლობებს უცხოეთში უნდა მიეცეს წინადადება დაუყოვნებლივ შეუდგენ მოლაპარაკებას დაკვეთების გარშემო. ყრილობის საბჭო უცხადებს ვაჭრობის სახალხო კომისარიატს, რომ საბჭოთა კავშირის ვაჭრობა და მრეწველობა, თავდასხმის მიუხედავათ, შეასრულებს ყველა ვალდებულებებს, რომლებიც გამომდინარეობენ ინგლისში მიცემულ დაკვეთებიდან. ყრილობის საბჭო ადგენს: მიმართოს თხოვნით ინგლის - საბჭოთა სავაჭრო პალატას, რათა უკანასკნელმა აცნობოს ინგლისის სავაჭრო და სამრეწველო წრეებს, რომ საბჭოთა სავაჭრო წარმომადგენლობაზე მოხდენილი თავდასხმა იწვევს აღშფოთებას საბჭოთა სავაჭრო და სამრეწველო წრეებში, რომლებიც თავდასხმას იხილავენ როგორც პროვოკაციულ აქტს, მიმართულს სავაჭრო ურთიერთობის ჩაშლისაკენ საბჭოთა კავშირისა და ინგლისის ვაჭრობა - მრეწველობის შორის“. (ადს).

### ამხ. მიქოიანი ინგლისელი კონსერვატორების პროვოკაციის შესახებ

**მოსკოვი,** 15 მაისი. საბჭოთა კავშირის ვაჭრობის სახალხო კომისარიატის შენობის წინ 14 მაისს გაიმართა ვარვარკას რაიონში არსებულ საბჭოთა დაწესებულებების მოსამსახურეთა გრანდიოზული დემონსტრაცია. მიტინგი გახსნა ყოფ. სავაჭრო წარმომადგენელმა იტალიაში ამხ. **კუტუზოვმა.** შემდეგ სიტყვით გამოვიდა საბჭოთა კავშირის ვაჭრობის სახალხო კომისარი ამხ. მიქოიანი.

„ლონდონში მომხდარი ამბები,—სთქვა ამხ. მიქოიანმა,—სცილდება ჩვენი სავაჭრო წარმომადგენლობის თავდასხმისა და ჩხრეკის ფარგლებს. ჩვენ ვართ მოწმე სავაჭრო ხელშეკრულების პირდაპირი დარღვევის ფაქტის, რაც გამოიხატა ჩვენი სავაჭრო წარმომადგენლობის შენობების გაჩხრეკაში. საჭიროა აღინიშნოს, რომ ჩხრეკის დროს შენობაში არ იქნენ დაშვებული სავაჭრო წარმომადგენლობის და ჩვენი საელჩოს წარმომადგენლები, ამის გამო ჩვენ არავითარი გარანტია არა გვაქვს, რომ სკოტლანდ-იარდის აგენტები იპოვნიდენ ისეთ „დოკუმენტებს“, რომლებიც სინამდვილეში იქ არ ყოფილან. ინგლისის მთავრობისაგან ჩვენ ველით პასუხს ჩვენი სრულუფლებიანი წარმომადგენლობის პროტესტზე. **ჩვენი ქვეყანა აღშფოთებულია თავხედური და გაუგონარი თავდასხმით ჩვენს სავაჭრო წარმომადგენლობაზე. ჩვენი სამეურნეო მუშაკები მოითხოვენ, რომ ინგლისში მიღებული დაკვეთები განაწილებულ იქნან სხვა ქვეყნებში, სადაც უზრუნველყოფილი იქნება მუშაობის ნორმალური პირობები.** ეს მოწმობს იმას, რომ ინგლისის მთავრობა ამზადებს დიდ გართულებებს, როგორც საშინაო, ისე საგარეო ხასიათისას. ჩვენ შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ არ გვაშინებს პეკინელი ჩან-ძო-ლინი და, ვფიქრობთ, რომ ლონდონელი ჩან-ძო-ლინიც ვერ გამოიწვევს ჩვენში დაუფიქრებელ მოქმედებას. ჩვენ ვიცავთ საბჭოთა კავშირის მშრომელი მასების ინტერესებს; საბჭოთა კავშირის ყველა ერთა დახმარებით, მათი ბრძოლის უნარიანობით და მზად ყოფნით კავშირის მშრომელთა ინტერესების დაცვისათვის, ჩვენ საკადრის პასუხს გავცემთ საერთაშორისო კონფლიქტებისა და სისხლისმღვრელი ომების გამჩაღებელთ“.

(საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკა ქალთა შე-

ამხ. მიქოიანის სიტყვის შემდეგ, ყრილობამ მიიღო რეზოლიუცია, რომელშიც გამოსთქვამს ღრმეს აღშფოთებას ინგლისის იმპერიალისტების პროვოკაციული მოქმედების წინააღმდეგ.

### საბჭოთა კავშირის მეცნიერები ზიზღს უცხადებენ პროვოკატორებს

**ხარკოვი,** 16 მაისი. სრულიად საკავშირო სანიტარულ-ტეხნიკურ და საწყალსადენო მეორე ყრილობის პლენარულ სხდომაზე ყრილობის პრეზიდიუმის წევრმა პროფესორ **დანილოვმა** წარმოსთქვა სიტყვა ლონდონში მომხდარი ამბების შესახებ.

„მთელი მსოფლიოს მეცნიერების წინაშე,—სთქვა დანილოვმა.—**საბჭოთა კავშირის მეცნიერები გამოსთქვამენ თავის აღშფოთებას ლონდონის პროვოკაციის გამო“.** (მთელი ყრილობა ტაშით მიეგება ამ სიტყვებს). **ყრილობამ, რომელსაც დაესწრო საბჭოთა კავშირის ხუთასამდე აკადემიკოსი, პროფესორი, ინჟინერი და სხ. ერთხმად გამოიტანა საპროტესტო რეზოლიუცია.**

**„ჩვენ დარწმუნებული ვართ,—ნათქვამია რეზოლიუციაში,—რომ მთელი მსოფლიოს მეცნიერები შეუერთდებიან ჩვენს პროტესტს“.**

### საბჭოთა დაკვეთების განაწილება ინგლისის გარეთაც შეიძლება

**მოსკოვი,** 16 მაისი. საკავშირო საფეიქრო სინდიკატის გამგეობის პლენუმმა საბჭოთა სავაჭრო წარმომადგენლობაზე თავდასხმის გამო მიიღო რეზოლიუცია:

სხვათა შორის ნათქვამია:

„ინგლისში არსებულ შემსყიდველ ორგანოებისათვის არანორმალური სავაჭრო პირობების შექმნის გამო, ეთხოვოს ვაჭრობის სახალხო კომისარიატს, რათა ინგლისში მიცემული დაკვეთები გადაიტანოს სხვა ქვეყნებში“.

ტრესტების დირექტორებიც თავის მხრივ მიზანშეწონილად სთვლიან მატყლისა და ბამბის დაკვეთების სხვა ბაზრებზე გადატანის. (ადს).

### პროტესტების ტალღა

**მოსკოვი,** 16 მაისი. საბჭოთა სავაჭრო წარმომადგენლობაზე თავდასხმის გამო, საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქებმა იმართება საპროტესტო მიტინგები. მიღებულია დეპეშები დნეპროპეტროვსკიდან; ხარკოვიდან; ოდესიდან; სტალინოდან და სხვ. საპროტესტო რეზოლიუციები მიიღეს აგრეთვე ქაღალდის მრეწველობის მუშათა და საბჭოთა და სავაჭროთა მუშაკების სრულიად საკავშირო ყრილობებმა.

### ბაქოს პროლეტარიატის პროტესტი

**ბაქო,** 16 მაისი. ცნობა საბჭოთა სავაჭრო წარმომადგენლობაზე და არკოსის შენობაზე თავხედური თავდასხმის შესახებ ლონდონში, სწრაფად მოედო ყველა სარეწაოებს და ღრმა აღშფოთება გამოიწვია ბაქოს პროლეტარიატში.

14 მაისს სარეწაოებსა. ფაბრიკებსა და ქარხნებში შესდგა საპროტესტო მიტინგები.

„ჩვენ არ გვსურს ომი,—აცხადებენ თავის რეზოლიუციებში ბაქოს მუშები,—ჩვენ გვსურს მშვიდობიანობა, მაგრამ კაპიტალისტების ყოველგვარ გამოლაშქრებას ჩვენს მონაპოვართა წინააღმდეგ, სასტიკ პასუხს გავსცემთ“.

15 მაისს ბაქოს წარმოებათა და დაწესებულებათა მუშებისა და მოსამსახურეების დიდი დემონსტრაცია გაემართა აზერბეიჯანის კომპარტიის ქალაქის რაიკომისაკენ. მრავალრიცხოვანი დემონსტრაცია მოითხოვდა ინგლისისადმი ეკონომიური ბოიკოტის გამოცხადებას; მუშები აცხადებდენ, რომ მზათ არიან საბჭოთა მთავრობის დაძახებისთანავე დადგენ ოქტომბრის მონაპოვართა დაცვის სადარაჯოზე.

ბაქოს საბჭოს შენობასთან სიტყვები წარმოსთქვეს ამხ. ალამალი-ოღლიმ, მირზოიანმა და მუსაბეკოვმა. (ადს).

# თბილისის პროლეტარიატის პროტესტი

### ა.-კ. რკ.-გზ. მთავარ სახელოსნოებში

16 მაისს, ა.-კ. რკინის გზის მთავარ სახელოსნოებში გაიმართა საპროტესტო მიტინგი, რომელსაც დაესწრო დაახლოვებით 2600 მუშა. მოხსენება საბჭოთა სავაჭრო წარმომადგენლობაზე ინგლისის მთავრობის მიერ მოწყობილ თავდასხმის შესახებ გააკეთა ამხ. ჩხენკელმა, რომელმაც ნათლად დაახასიათა ინგლ. კონსერვატორების პროვოკაციული პოლიტიკა საბჭოთა კავშირის მიმართ, მოხსენების შემდეგ კრებამ გამოიტანა შემდეგი რეზოლიუცია:

ა.-კ. რკ. გზის მთავარ სახელოსნ. მ.-მოსამსახურეების საერთო კრება უაღრესათ აღშფოთებულია ინგლისის იმპერიალისტური ხელისუფლების პროვოკაციული გამოსვლით, რომელიც წარმოადგენს ცდას საბჭოთა ქვეყნების მშრომელთა ახალი ომში ჩასათრევად, ჩვენი ღრმა რწმენით საბჭოთა ხელისუფლება, რომლის მთელი მუშაობა მიმართულია საერთაშორისო მშვიდობიანობის განმტკიცებისაკენ, როგორც დღემდე, მომავალშიც არ წამოეგება იმპერიალისტების მიერ გადმოსროლილ ანკესზე და მტკიცე ნებისყოფით განაგრძნობს ოქტომბრის დიდი რევოლიუციით ნაკარნახევ გზას.

უკანასკნელი გამოსვლა კიდევ უფრო ახდის ფარდას, თუ როგორ გაიხრწნა ინგლისის კონსერვატიული რეაქციონური მთავრობა, რომელიც აშკარა საფრთხეს უმზადებს საერთაშორისო მშვიდობიანობას.

ზიზღი ინგლისის და ყველა ქვეყნის იმპერიალისტებს!

გაუმარჯოს საბჭოთა ქვეყნების მშრომელთა ერთსულოვნათ შეკავშირებას!

ასეთი საპროტესტო რეზოლიუცია გამოიტანა რკინის გზის საყუდში გამართულმა მიტინგმა, რომელსაც დაესწრო 1500-მდე მუშა.

### პოლიგრაფიულ წარმოების მუშებში

პოლიგრაფიული ტრესტის მე-4 სტამბის, ცინკოგრაფიის და წითელი ჯვარის სტამბის მუშების საერთო კრებამ მოისმინა ამხ. ნაზარეტიანის მოხსენება ინგლისის შუბლმაგართა თავდასხმის შესახებ „არკოსზე“ და საბჭოთა სავაჭრო წარმომადგენლობაზე და გამოიტანა შემდეგი დადგენილება:

ვაცხადებთ საქვეყნოთ, რომ ჩვენ ვატარებთ მშვიდობიან პოლიტიკას, მაგრამ თუ იქნება ოდნავი ცდაც მუშურ-გლეხურ ხელისუფლების შესავიწროვებლად, საბჭოთა კავშირის მუშათა კლასი შესძლებს საკადრისს პასუხის გაცემას. ჩვენ გვინდა მშვიდობიანობა, მაგრამ არც ომის გვეშინია.

მოუწოდებთ ინგლისის პროლეტარიატს სათანადო პასუხი გასცეს კონსერვატიული მთავრობის პროვოკაციულ გამოსვლას.

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის პროლეტარიატს!

გაუმარჯოს ინგლისის მუშათა კლასს!

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

# ფინ-იუ-სიანის ჯარების შეტევა პეკინზე

## ჩან-კაი-შის ჯარების წინსვლა.-იმპერიალისტურ ჯარების სარდლები ხანკოუში

## საბჭოთა კავშირისა და ამერიკის დელეგატების თათბირი ჟენევაში

## მცირე ანტანტის კონფერენციაზე განხილულ იქნება საბჭ. კავშირის ცნობის საკითხი

### შეტევა პეკინზე

**ლიტონი სიტყვები**

**შანხაი,** 15 მაისი. თავის მოვალეობისათვის შედგომის დროს, ნანკინის მთავრობის ახალმა საგარეო საქმეთა მინისტრმა უ-ჩაო-ჩუმ წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიც განაცხადა:

„ჩინელთა და უცხოელთა ინტერესები მოითხოვენ სავაჭრო ურთიერთობის გადათვალიერებას. ნაციონალური მთავრობა მიზნად ისახავს უთანასწორო ხელშეკრულების გაუქმებას, ხოლო ამ მიზნის განხორციელებისათვის საჭიროა კანონიერი მეთოდების გამოყენება. ნაციონალური მთავრობა ცნობად იღებს უცხო სახელმწიფოების წარმომადგენელთა განცხადებებს ჩინეთის ხალხის ნებასურვილის დაკმაყოფილების შესახებ.

დარწმუნებული რა უცხო სახელმწიფოების კეთილ განზრახვებში, ნაციონალურ მთავრობას იმედი აქვს, რომ ისინი დაუყოვნებლივ დაიწყებენ მოლაპარაკებას ახალ ხელშეკრულების დადების გარშემო. უ-ჩაო-ჩუს დანიშვნისთანავე, ნანკინის მთავრობამ გამოაქვეყნა, ცნობა ევგენი ჩენის „გადაყენების“ შესახებ საგარეო საქმეთა მინისტრის ადგილიდან“. (ადს).

**ჩან-კაი-შის განცხადება**

**შანხაი,** 15 მაისი. იაპონელ ჟურნალისტებთან გამართულ საუბარში, ჩან-კაი-შიმ განაცხადა, რომ ის საჭიროდ არ სთვლის შეიარაღებული ძალებით ბრძოლას უხანის მთავრობის წინააღმდეგ. (ადს).

**ოკუპანტების გენერლები**

**შანხაი,** 15 მაისი. ინგლისის საზღვაო ძალების უფროსი ჩინეთში, ადმირალი ტირვიტ ფლაგმანის გემით გაემგზავრა ხანკოუში. ამ დღეებში ხანკოუში ჩავა შეერთებული შტატების საზღვაო ძალების უფროსი ადმირალი ვილიამსი. გენერალი ბეტლერი, ამერიკის ჯარების უფროსი ჩინეთში, გაემგზავრა პეკინში.

**ჩან-კაი-შის არმია**

**შანხაი,** 15 მაისი. გომინდანის მემარცხენე გაზეთების ცნობებით, ჩან-კაი-შიმ დაიწყო შეტევა ჩრდილოელების წინააღმდეგ.

შიხერ-ხუ-ესთან (მდინარე იან-ცზის მარცხენა ნაპირზე, ნანკინიდან 70 კილომეტრის მოშორებით) ჩან-კაი-შის ჯარებმა ხელში ჩაიგდეს 2.000 ტყვე. ჩან-კაი-შის ჯარებმა უკვე დაიჭირეს პუნქტი პუ-კოუდან 45 კილომეტრის მოშორებით. სუნ-ჩუან-ფანის ჯარები იხევენ ჩრდილოეთით იან-ჩოუსაკენ, (მდინ. იან-ცზის მარცხენა ნაპირზე, 20 კილომეტრის მოშორებით შიხერ-ხუ-ესაგან ჩრდილო-დასავლეთისაკენ) ისინი ოთხი მხრიდან ალყა შემორტყმული არიან ჩან კაი-შის ჯარების მიერ. იუწყებიან, რომ შან-სის პროვინციის მმართველი ენ-სი-შანი დათანხმდა სამხედრო თანამშრომლობაზე ჩან-კაი-შისთან და მის განკარგულებაში იძლევა 140.000 კაცისაგან შემდგარ არმიას. (ადს).

**ელიან ლემპსონს**

**შანხაი,** 15 მაისი. შანხაიში ელიან ინგლისის ელჩის ლოკერ - ლემპსონის ჩამოსვლას. ლოკერ-ლემპსონის ჩამოსვლასთან ერთად შანხაიში ჩამოვა ნანკინის მთავრობის საგარეო საქმეთა ახალი მინისტრი უ-ჩაო-ჩუ. (ადს).

**გალაშქრება პეკინზე**

**ხანკოუ,** 15 მაისი. ნაციონალური სააგენტო იუწყება:

„ფინ-იუი-სიანის ჯარებმა აიღეს ლოიანი. ფინ-იუი-სიანის არმია ხანკოუს რკინის გზით სასწრაფოდ მიიწევს პეკინისაკენ. იმ მიზნით, რომ შეუერთდეს ტან-შენ-ჩის ჯარებს და ერთად გადავიდეს შეტევაზე მუკდენელების წინააღმდეგ. ნაციონალური არმიის პოლიტგანყოფილების უფროსი ტან-ენ-და ჰაეროპლანით გაემგზავრა ხანკოუს ფრონტზე. (ადს).

### მცირე ანტანტის კონფერენცია

**ვენა,** 15 მაისი. „ნეიე ფრეიე პრეს“-ი იუწყება: „მცირე ანტანტის კონფერენციის ერთ-ერთ ძირითად საკითხად, როგორც სჩანს, იქნება საკითხი მცირე ანტანტის ქვეყნების დამოკიდებულების შესახებ საბჭოთა კავშირთან. შესაძლებელია, აგრეთვე,—სწერს გაზეთი,—შეიქმნება პირობები საბჭოთა კავშირის ცნობისათვის ჩეხო-სლოვაკის მიერ, რომლის მაგალითსაც ჩქარა სამხრეთ-სლავიაც მიბაძავს“. (ადს).

### სესხი საბჭოთა კავშირისათვის

**ლონდონი,** 16 მაისი. „დეილი ექსპრეს“ იუწყება, რომ 11 მაისს საბჭოთა კავშირის სავაჭრო წარმომადგენლობასა და „მიდლენ ბანკს“ შორის ხელმოწერილ იქნა შეთანხმება, რომლის თანახმად ბანკი საბჭოთა სავაჭრო ორგანიზაციებს აძლევს სესხს 10 მილ. გირ. სტერლინგის რაოდენობით საბჭოთა თამასუქების ანგარიშში. ხელშეკრულება ძალაში შედის დაუყოვნებლივ. ამჟამად სწარმოებს მოლაპარაკება ამ თანხის ფარგლებში დაკვეთების განაწილების შესახებ ინგლისში. გაზეთი აქვეყნებს საუბარს ინგლისის სამანქანმგებლო მრეწველობის მეპატრონეთა ფედერაციის თავმჯდომარე სმიტთან, რომლის ინიციატივით დაწყებულ იქნა მოლაპარაკება ბანკსა და სავაჭრო წარმომადგენლობის შორის.

სმიტის განცხადებით, ის ამ მიმართულებით მუშაობდა რამოდენიმე წლის განმავლობაში და აღნიშნა, რომ ამ მოლაპარაკებაში დადებითი როლი ითამაშა ბანკის დირექტორმა, რომელმაც ხელი შეუწყო შეთანხმებას კრედიტის შესახებ.

„ამ კრედიტს—განაცხადა სმიტმა—უდიდესი მნიშვნელობა აქვს ინგლისის მრეწველობისათვის. დიდათ სამწუხაროა, რომ სწორედ ეხლა წარმოიშვა რაღაც გაუგებრობანი. არკოსზე თავდასხმას რომ არ ჰქონოდა ადგილი, ეხლა უკვე გადადგმული იქნებოდა პრაქტიკული ნაბიჯები საბჭოთა დაკვეთების განაწილებით“. (ადს).

### კაპიტულიაციის რეჟიმის გაუქმება

**სპარსეთის მთავრობის ცნობა**

**თეირანი,** 15 მაისი. სპარსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ უცხოეთის ყველა მისიებს დაუგზავნა ოფიციალური ცნობა კაპიტულიაციის რეჟიმის გაუქმების შესახებ. სპარსეთთან საკაპიტულიაციო ხელშეკრულებების მქონე სახელმწიფოებს წინადადება მიეცათ, რომ სპარსეთის მთავრობასთან დაიწყონ მოლაპარაკება ახალ ხელშეკრულებების დადების შესახებ. უცხო სახელმწიფოები გაფრთხილებული არიან, რომ ერთი წლის გასვლის შემდეგ გაუქმებული იქნება ყველა ის უპირატესობა, რომლითაც სარგებლობდენ მათი ქვეშევრდომები საკაპიტულიაციო ხელშეკრულებების ძალით. (ადს).

**1878 წ. ხელშეკრულება**

**ბერლინი,** 15 მაისი. „ტეგლიხე რუნდშაუს“ ცნობით, სპარსეთის მთავრობამ აცნობა გერმანიის მთავრობას, რომ გაუქმებულია 1873 წელს დადებული გერმანია-სპარსეთის ხელშეკრულება იმის გამო, რომ სპარსეთმა გააუქმა საკაპიტულიაციო რეჟიმი. (ადს).

### მდგომარეობა ჩინეთში

(ფრონტების მიხედვით)

ჩან-კაი-შის ჯარი აშკარად იხრწნება და იშლება. ეს უტყუარ ფაქტად უნდა ჩაითვალოს, რადგანაც თვით ჩან-კაი-ში ადასტურებს და ვეღარ ჰფარავს ამას. იმავე ფაქტს ადასტურებს ჩან-კაი-შის მთავარი შტაბის უფროსი ჩან-ტინ-ფანი. ჩან-კაი-შის სიტყვით მისი ოფიცრები და მოხელეები ინტრიგობის და კარიერიზმის ჭაობში სცურავენ, დისციპლინა მთლიდ დაცემულია. აღვირახსნილ ჯარისკაცების ბრბოები ნამდვილ ბანდიტებად გადაიქცნენ და მასებში უკმაყოფილება ჯარისადმი მეტად იზრდება. ჩან-კაი-შის სიტყვით მის ჯარს და მომხრეებს ამჟამად ხალხი უფრო ცუდის თვალით უყურებს, ვიდრე ჩრდილოელ მილიტარისტებს.

როდესაც მთავარი სარდალი თავის საკუთარ ჯარს ასე ახასიათებს, ეს იმის მომასწავებელია, რომ ასეთი ჯარის დღენი, ჯარის, როგორც სამხედრო ორგანიზაციის, დათვლილია. ასეთი ჯარის საშუალებით მთავარსარდალი, რომელსაც არავითარი ნდობა არა აქვს თავისი ჯარისა, რასაკვირველია აქტიურ და სერიოზულ ოპერაციებს ვერ აწარმოებს.

სამხედრო საქმეში ჭეშმარიტებად უნდა ჩაითვალოს ის რომ, თუ ჯარი საერთო გარკვეული იდეით არ არის გატაცებული, თუ მან არ იცის თუ რისთვის იბრძვის, ასეთი ჯარი მეტადრე ხანგრძლივი სამხედრო მოქმედების დროს, ბოლოს და ბოლოს იძულებული იქნება აუჯანყდეს თავის სარდლობას, ანდა გახრწნილების და გათახსირების გზას დაადგეს.

რა წამს ჯარი ძარცვა-გლეჯას მიჰყოფს ხელს, ის უკვე ორგანიზაციულად მოწყობილ სამხედრო ძალას აღარ წარმოადგენს.

არის ნიშნები, რომ არა მარტო ჩან-კაი-შის ჯარში, არამედ ისეთ ჯარის ნაწილებშიც კი, როგორიც არიან ჩინეთში გაგზავნილი უცხოელ იმპერიალისტთა ჯარის ნაწილებში გახრწნილებამ იჩინა თავი. დეპეშამ ცნობა გადმოგვცა, თუ რა საზიზღარ ამბებს ჩადიან ეს ნაწილები ნანკინში და შანხაიში. ძარცვა-გლეჯა, ჩინელ ქალების გაუპატიურება და ყოველგვარი საზიზღარი ძალმომრეობა, აი, რით ხასიათდება „განათლებულ“ ევროპიელთა და ამერიკელთა ჯარები ჩინეთში. ძალით მოყვანილი, შორიდან გადმოსროლილი ჯარისკაცები, რომელთაც არავითარი იდეა არ აკავშირებს ჩინელთა წინააღმდეგ ბრძოლაში, შეიარაღებული ბრბოები უსაქმოდ ყოფნით [illegible] ადვილად მიეცემიან გახრწნილებას და დეზორგანიზაციას.

ყველა ამას, რომ დაუპირისპიროთ რევოლიუციონურ ჯარების განმათავისუფლებელ მოძრაობის იდეით გატაცება, რევოლიუციონურად განწყობილ ჩინელ მუშების და გლეხთა მასების თავდადება და აღფრთოვანება, უნდა ვსთქვათ, რომ საბოლოო ანგარიშით უფრო მეტი შანსი სრული გამარჯვებისა, ჩინეთის რევოლიუციის მხარეზეა.

ამის დამამტკიცებელი ფაქტები უკვე მოგვეპოვება. გუან-დუნის პროვინციაში შეიარაღებული გლეხთა რაზმები, არამც თუ აკავებენ კანტონის ეხლანდელ რეაქციონურ მთავრობის ჯარებს და არ აძლევენ საშუალებას უკანასკნელთ ხანკოუს წინააღმდეგ გალაშქრებისა, არამედ თვით კანტონის მთავრობას უმწარებენ დღეს და ურთულებენ მდგომარეობას. გუან-დუნის გლეხობას, როგორც ეტყობა, მეტად მტკიცე, კარგად მოწყობილი ორგანიზაცია აქვს. ამ გლეხობამ შესძლო და დაამარცხა კანტონის მთავრობის ორი რეგულიარული დივიზია და თვით რეაქციონერების სიტყვით ამ მთავრობას სამხედრო ძალები არ ჰყოფნის პარტიზანულ რაზმების წინააღმდეგ მოქმედებისათვის, გლეხთა რაზმები მედგარ წინააღმდეგობას უწევენ: კანტონ - ხანკოუს რკინის-გზა მათ მიერ გადაჭრილია და ამრიგად იმ მთავარ მიზანს, რომელიც აქეთ დასახული გუან-დუნის რევოლიუციონერებს,—შეუკრან გზა კანტონის რეაქციონერებს უხანისაკენ და ამრიგად, უზრუნველჰყონ უხანის რევოლიუციონური მთავრობის და მისი ჯარის ზურგი,—ამ მიზანს ბრწყინვალედ ასრულებს გუან-დუნის რევოლიუციონური გლეხობა.

ბრწყინვალედ იმარჯვებს ფინ-იუ-სიანის ჯარი ხენანის პროვინციის ჩრდილოეთ ნაწილში, კაიფინის მიმართულებით. უკანასკნელ დეპეშის ცნობით, ამ ჯარს აუღია ლოიანი და ჩქარი ნაბიჯით მიდის ხანკოუ-პეკინის რკინის-გზით, რათა შეუერთდეს ტან-შენ-ჩის ჯარებს და მათთან ერთად გაილაშქროს პეკინისაკენ. ტან-შენ-ჩი, როგორც ვიცით, მთავარ-სარდლის ფინ-იუ-სიანის მოადგილედ იყო დანიშნული ხანკოუს მთავრობის მიერ და გაგზავნილი ჩან-კაი-შის ჯარების წინააღმდეგ ძიუ-ძიან-ნანჩანის ფრონტით. ზემოდმოყვანილი ცნობა ალბად ეხება ხანკოუს მთავრობის ჯარის იმ ნაწილებს, რომელნიც მოქმედებდნენ ჩრდილოეთისაკენ კაი-ფინის მიმართულებით. საქმე იმაშია, რომ ლოიანიდან, რომელიც დეპეშის ცნობით, ფინ-იუ-სიანის მიერ არის აღებული, რკინისგზების ორი ხაზი მიდის,—ერთი აღმოსავლეთით ჩენ-ჯოუ-კაი-ფინის მიმართულებით და მეორე შტო კიდევ ჩრდილოეთისაკენ ცინ-ხუა-ვეი-ხაისაკენ. უკანასკნელ ქალაქთან ეს რკინის-გზის შტო უერთდება ხანკოუ-პეკინის რკინისგზას, მაშინ როდესაც პირველი შტო ლოიან-კაი-ფინის მიმართულებით, პეკინ-ხანკოუს რკინის-გზას სჭრის ჩენ-ჯოუსთან კაი-ფინის დასავლეთით. თუ ლოიანის აღების შემდეგ ფინ-იუ-სიანის ჯარი დეპეშის ცნობით ეხლა მიდის ხანკოუს ჯარების ნაწილებთან შესაერთებლად, მაშინ უნდა ვიფიქროთ, რომ ამ უკანასკნელ ჯარს აღებული აქვს როგორც ჩენ-ჯოუ, ისე კაი-ფინი, წინააღმდეგ შემთხვევაში ფინ-იუ-სიანი პეკინ-ხანკოუს რკინის-გზაზე ვერ გამოვიდოდა. ყოველ შემთხვევაში ამ დეპეშის ცნობა ცოტა არ იყოს ბუნდოვანია და ნათლად არ ხატავს ხენანის ფრონტზე მომხდარ ამბებს და შექმნილ მდგომარეობას.

უფრო საეჭვოა შანხაიდან მოსული დეპეშა, რომლის ცნობით მემარჯვენე გომინდანელების გაზეთების სიტყვით ჩან-კაი-შიმ დაიწყო შეტევა ჩრდილოელ მილიტარისტების წინააღმდეგ, ვითომ მას უკვე აუღია შიხერ-ხუ-ეია, ნანკინის აღმოსავლეთით 70 კილომეტრის დაშორებით, მდ. იან-ცე-ციანის მარცხენა ნაპირზე. სუნ-ჩუან-ფანის ჯარი უკან იხევს იან-ჩოუსაკენ. ჩან-კაი-შის ჯარების მეორე ნაწილი ვითომ პუკოუს გასცდენია და წაუწევია აქედან ჩრდილოეთისაკენ 45 კილომეტრით. იმავე წყაროს ცნობით ჩან-კაი-შის ჯარი სამი მხრით უვლის სუნ-ჩუან-ფანის ჯარს. რამდენად სწორია ეს ცნობები ძნელია ამის გამორკვევა, მაგრამ გასაკვირი მაინც არ უნდა იყოს, რომ ჩან-კაი-შიმ განახლოს მოქმედება ჩრდილოელ მილიტარისტების წინააღმდეგ. შეიძლება ჩან-კაი-შიმ საბოლოოდ დაკარგა იმედი ნანკინის მთავრობისა, იგრძნო რომ ჩინეთის ნაციონალურ იდეასთან სრულიად გათიშვა, მას საბოლოოდ მოსპობს პოლიტიკურად, მორალურად და ფიზიკურად და იძულებული გახდა ამიტომ მიმართოს ერთნაირ ხერხს. დეპეშები აგრეთვე იუწყებიან, ვითომ ჩან-კაი-შიმ განაცხადა, რომ იგი საჭიროდ არა სთვლის უხანის მთავრობის წინააღმდეგ შეიარაღებულ ბრძოლას. ყველა ამ ცნობების გამო ჯერ-ჯერობით ძნელია ნათელი წარმოდგენა ვიქონიოთ შექმნილ მდგომარეობაზე.

ი. [illegible]

### ჟენევის კონფერენციაზე

**საბჭოთა და ამერიკის დელეგაციების შეხვედრა.**

**ჟენევა,** 15 მაისი. 13 მაისს საბჭოთა დელეგაცია დაესწრო ამერიკის დელეგაციის მიერ გამართულ ნადიმს. საუბარს ამერიკის და საბჭოთა კავშირის დელეგატების შორის საინფორმაციო ხასიათი ჰქონდა. ამერიკელები ეხებოდენ ცნობას ლონდონის პოლიციის თავდასხმის შესახებ არკოსზე და საბჭოთა მრეწველობაში კაპიტალების დაბანდების რეალურ შესაძლებლობას. ამერიკელ კორესპონდენტების ცნობით, საუბარმა კარგი შთაბეჭდილება მოახდინა ამერიკის დელეგატებზე და შესაძლოა, რომ მას რეალური შედეგები მოჰყვეს ამერიკელთა განწყობილების შეცვლის მხრივ.

14 მაისს მოხდა ოსინსკის შეხვედრა ინგლისის დელეგაციის წევრთან—ლეიტონთან (ადს).

**„ბუნდ“-ის წერილი.**

**ჟენევა,** 15 მაისი. მოჰყავს რა საბჭოთა დელეგაციის საუბარი ჟურნალისტებთან, შვეიცარიის ოფიციალური გაზეთი „ბუნდ“-ი სწერს:

„ყალბია ის აზრი, რომ თითქოს ბოლშევიკები იცვლებიან, რომ თითქოს ისინი ახდენენ იდეურ რევოლიუციას და კომპრომისების გზით ცდილობდენ ჩვენთან შეგუებას. ყველაფერი ეს ტყუილი იმედებია. თუ რაიმე შეიცვლება, ეს მხოლოდ ბოლშევიზმის გარეგანი სახე და არა მისი შინაბუნება, რომელიც სამუდამოდ ჩვენი მსოფლმხედველობის ანტიპოდი დარჩება. საბჭოთა კავშირს სურს თანამშრომლობა და ითანამშრომლებს კიდეც საზღვარგარეთთან იმდენად, რამდენადაც ეს თანამშრომლობა ზიანს არ მიაყენებს მის არსებობას (ადს).



ლუშერი
ტენისი
ჟოუ
(შარჟი „ლიუმანიტე“-დან)

### საბჭოთა კავშირის ცნობას მოითხოვენ

**ბერლინი,** 15 მაისი. შვეიცარიიდან მიღებული ცნობით, ბაზელის კანტონიალურ საბჭოს კონფერენციამ შეიტანა წინადადება, რომ ბაზელის საბჭომ მიმართოს მისასალმებელი წერილით შვეიცარიის საკავშირო საბჭოს რუსეთ-შვეიცარიის კონფლიქტის მოწესრიგების გამო და ურჩიოს მას —ისარგებლოს საბჭოთა დელეგაციის ყოფნით ჟენევაში და მოაწესრიგის დიპლომატიური და სამეურნეო ურთიერთობა საბჭოთა კავშირთან. (ადს).

### კომუნისტების დევნა ჰუნგრეთში

**ვენა,** 15 მაისი. ჰუნგრეთის პარლამენტის სხდომაზე, შინაგან საქმეთა სამინისტროს ბიუჯეტის გარშემო გამართულ კამათის დროს, ქრისტიან-სოციალისტების ლიდერმა ვოლფმა მოუწოდა მთავრობას ბრძოლისაკენ კომუნისტური პროპაგანდის წინააღმდეგ არმიასა და პოლიციაში.

ვოლფმა განაცხადა, რომ გუსართა პოლკში ედინბურები გამოცხადდა მოხალისე ყალბი სარეკომენდაციო წერილით სამხედრო მინისტრ ჩაკისაგან. რამდენიმე დღის შემდეგ ეს მოხალისე გამოაშკარავებულ იქნა და ის აღმოჩნდა როგორც ვოლფი ამტკიცებს, მუშათა სოციალისტური პარტიის წევრი, გაგზავნილი არმიაში ანტიმილიტარისტული პროპაგანდის საწარმოებლად.

შინ. საქ. მინისტრმა სციტოვსკიმ განაცხადა, რომ მთავრობა განსაკუთრებულ ზომებს მიიღებს პროპაგანდის წინააღმდეგ. თუ ეს ზომები საკმაო არ აღმოჩნდება, მაშინ მთავრობა მოსთხოვს პარლამენტს განსაკუთრებულ რწმუნებებს უფრო გადამჭრელი ზომების მისაღებად. (ადს).

### წაერთმევა თუ არა დორიოს

**დეპუტატის ხელშეუხებლობის უფლება**

**პარიზი,** 15 მაისი. კომისიაში, რომელიც არჩევს დორიოსათვის დეპუტატის ხელშეუხებლობის უფლების წართმევის საკითხს, შედის მთავრობის მოთხოვნილების ექვსი მოწინააღმდეგე, ორი მომხრე და სამიც მერყევ პოზიციაზე მდგომი. ხოლო ვაიანკუტიურესათვის დეპუტატის ხელშეუხებლობის უფლების წართმევის განმხილველ კომისიაში შედის მთავრობის მოთხოვნილების 8 მოწინააღმდეგე და სამი მომხრე. მემარჯვენე პრესამ ამის გარშემო ატეხა განგაში და აცხადებს, რომ კომისიის შემადგენლობა წარმოადგენს მთავრობის გამოწვევას და კომუნისტების წინააღმდეგ დაწესებული ბრძოლის ჩაშლას. (ადს).

### ავსტრიის პარლამენტში

**ვენა,** 15 მაისი. პარლამენტის პარტიული ფრაქციები შეთანხმდენ იმის შესახებ, რომ ავსტრიის პარლამენტის პირველი თავმჯდომარე იქნება ქრისტიანი-სოციალისტი, მეორე—სოციალ-დემოკრატი და მესამე—პანგერმანელი. გადადგა ეხლანდელი შემადგენლობის მინისტრთა საბჭო. ახალი კაბინეტის არჩევნები გაიმართება 19 მაისს. (ადს).

## საბჭოთა კავშირში

**ამერიკის სტუდენტობის წარმომადგენელი მოსკოვში**

**მოსკოვი,** 16 მაისი. ჩამოვიდა ნიუ-იორკის სტუდენტთა საბჭოს წარმომადგენელი დევისი, რომელიც პროლეტარული სტუდენტობის ცენტრალურ ბიუროსთან აწარმოებს მოლაპარაკებას ამერიკელ სტუდენტთა დელეგაციის ჩამოსვლის შესახებ საბჭოთა კავშირში. დელეგაციის გამოგზავნას აწყობს ნიუ-იორკის სტუდენტთა საბჭო. (ადს).

**148 მილ. მან. კაპიტალურ მშენებლობაზე**

**მოსკოვი,** 16 მაისი. სამთამადნო მუშათა კავშირის პლენუმზე საწვავი მასალის მთავარ სამმართველოს მოხსენებიდან გამოირკვა, რომ საწვავი მასალის გეგმა მთლიანად იქნება შესრულებული, კაპიტალური მშენებლობისათვის საწვავი მასალის მეურნეობაში გადადებულია 143 მილ. მანეთი. შარშანდელთან შედარებით ნავთის ექსპორტი გადიდებული იქნება 43 პროცენტით. (ადს).

### ჩვენი ბიუჯეტი

**მოსკოვი,** 16 მაისი. საკავშირო სახალხო კომისართა საბჭომ მოისმინა საბჭოთა კავშირის ფინანსთა სახალხო კომისარის მოადგილის ამხ. კუზნეცოვის მოხსენება მიმდინარე წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ პირველ ნახევარში. ამხ. კუზნეცოვმა აღნიშნა, რომ წარსული წლის პირველ ნახევარში, ფულის რაოდენობა გაიზარდა 65 მილ. მანეთით, მიმდინარე წლის პირველ ნახევარში კი მხოლოდ 3 მილ. მანეთით. იმავე დროს წარსული წლის პირველ ნახევარში სახელდახელო ანგარიშები 833 მილ. მან.-დან შემცირდა 813 მილ. მან-დე. მიმდინარე წლის პირველ ნახევარში კი სახელდახელო ანგარიშები, პირიქით; გაიზარდა. ხელსაყრელი ფინანსიური კონიუნქტურის გამო, რომელიც არსებობდა მიმდინარე წელში, კიდევ უფრო განმტკიცდა.

განვლილი წლის პირველი ნახევრის ხელსაყრელმა სამეურნეო ფინანსიურმა კონიუნქტურამ შესაძლებელი გახადა სახელმწიფო ბიუჯეტის ნორმალური შესრულება. ცნობები, რომელნიც ახასიათებენ ბიუჯეტს, შესრულებს მოკავშირე რესპუბლიკებში, გვიმტკიცებენ; რომ ეს შესრულება კარგად მიმდინარეობს. მოკავშირე რესპუბლიკების ბიუჯეტისა და ადგილობრივი ბიუჯეტების შესრულება უფრო უკეთესად მიმდინარეობს; ვიდრე ბიუჯეტის საკავშირო ნაწილის შესრულება. სახელმწიფო ბიუჯეტის ნორმალური შესრულება აიხსნება ხელსაყრელი ფინანსიური კონიუნქტურით და აგრეთვე იმით; რომ მიმდინარე წლის ბიუჯეტში შეტანილ იქნა წარსული წლის ოგიერთი შემოსავალი. ასეთი შემოსავალი მიმდინარე წლის პირველ ნახევარში აღწევს 45 მილ. მან.-მდე. სახელმწიფო ბიუჯეტის შედგენის დროს გათვალისწინებული იყო განსაკუთრებული სახელმწიფო რეზერვის შექმნა 100 მილ. მან. რაოდენობით. ბიუჯეტის შესრულების წინასწარი ცნობები გვიჩვენებენ; რომ აპრილამდე უკვე შექმნა 50 მილ. მან. რეზერვი. აპრილის პირველ რიცხვებში კიდევ იქნა შეტანილი 25 მილ. მან. ამა წლის პირველ ნახევარში სახელმწიფო მრეწველობისათვის გაღებულ იქნა 215 მილ. 700 ათასი მან. უმუშევრობასთან ბრძოლისათვის ბიუჯეტით გათვალისწინებულია 8.100.000 მ. თუ მხედველობაში მივიღებთ სოცდაზღვევისათვის გადადებულ თანხას 66 მილ. მან.; მაშინ უმუშევართათვის დახმარების რაოდენობა შეადგენს 75 მილ. მან.

საბჭოთა კავშირის სახალხო კომისართა საბჭომ აღნიშნა ბიუჯეტის შემოსავლის შესრულების ნორმალური მსვლელობა 1926—27 წლის პირველ ნახევარში.

სახალხო კომისართა საბჭომ ფინანსთა სახალხო კომისარიატს დაავალა მიიღოს გადამჭრელი ზომები საგადასახადო ნარჩენის მაქსიმალურად შემცირებისათვის. (ადს).

### ნავთის მრეწველობა

**დამატებითი თანხები „აზნეფტისათვის“**

**მოსკოვი,** 16 მაისი. საკავშირო სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს პრეზიდიუმმა შრომისა და თავდაცვის საბჭოში წარადგინა მოხსენება სამრეწველო აღმშენებლობის შესახებ 27 წ. საკავშირო სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს პრეზიდიუმი სთხოვს შრომისა და თავდაცვის საბჭოს, აღმშენებლობის გეგმით გაუთვალისწინებელ დამატებითი კაპიტალური სამუშაოების შესრულების ნებართვას. სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს აზრით, ბაქოს ნავთის მრეწველობა აუცილებლად საჭიროებს 7,5 მილიონ მანეთს კაპიტალურ სამუშაოებისათვის. სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო აღნიშნავს, რომ ამობურღვის პროგრამა უნდა გადიდდეს 40.00 მეტრამდე, ხოლო დაზგებისა და მუშათა რიცხვი უცვლელი უნდა დარჩეს. გარდა ამისა, ნავთის გადამუშავების დაჩქარება მოითხოვს სასწრაფო ზომების მიღებას ნავთის გადამმუშავებელი ქარხნების მოსაწყობად, რაიც მოითხოვს დამატებითი კაპიტალურ მუშაობას, რომელიც დაჯდება 2 მილ. მანეთი. შემდეგ გათვალისწინებულია 1½ მილ. მანეთის კრედიტი ბაქო-ბათომის ნავთსადენის აგებისათვის წინასწარი მუშაობის შესასრულებლად.

### აკადემიკოს იპატიევის იუბილე

**აკადემიკის იპატიევის იუბილე**

**მოსკოვი,** 16 მაისი. 12 მაისს აკადემიკოს იპატიევს მისი 25 წლის სამეცნიერო მოღვაწეობის აღსანიშნავად გადაუხადეს იუბილე, რამაც საბჭოთა მეცნიერების და საზოგადოებრიობის დიდი დღესასწაულის ხასიათი მიიღო. იუბილეს დაესწრნენ მეცნიერების, სამეურნეო, პროფესიონალურ, სამხედრო და მუშათა ორგანიზაციის წარმომადგენლები.

საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს პრეზიდიუმის სახით აკადემიკოსს მიესალმა ამხ. სერებრიაკოვი, რომელმაც აღნიშნა იპატიევის დამსახურება საკავშირო ქიმიური მრეწველობის მოწყობის საქმეში.

შემდეგ წაკითხულ იქნა მიღებული მისალმებები. ამხ. სვერდლოვმა გამოაქვეყნა საკავშირო სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილება, რომლის თანახმად აკადემიკოს იპატიევს ენიჭება მეცნიერების დამსახურებულ მოღვაწის სახელწოდება. (ადს).

### აეროსტატის ავარია

**დაწვრილებითი ცნობები**

**უსტ-სისოლსკი,** 16 მაისი. მიღებულია დაწვრილებითი ცნობები თავდაცვის ხელის შემწყობ საზოგადოება—ავიაქიმის ჰაეროსტატის ავარიის შესახებ. ჰაეროსტატი მოექცა ქარში, რომელსაც თანსდევდა წვიმა და თოვლი. მფრინავებმა დაჰკარგეს გზის გამორკვევის შესაძლებლობა და ამიტომ ურალის მიმართულებით სიბნელეში ფრენის დროს, ვერ აიღეს სწორი გეზი, დაეჯახნენ მთას და გადმოვარდნენ ჰაეროსტატიდან. ჰაეროსტატი გაფრინდა. ჰაეროსტატში დარჩა სურსათი და თბილი ტანისამოსი. მფრინავები ხუთი დღე დაეძებდენ ბინას და აუტანელ გაჭირვებას განიცდიდენ. მეხუთე დღე სემიონოვს ფეხი დაუზიანდა და ჩამორჩა. ზიკოვი წავიდა წინ ხალხის მოსაძებნად. ხუთ მაისს ზიკოვი შეხვდა მოხუც მეთევზეს მეზენცევს, რომელთან ერთად იგი წავიდა სემიონოვის მოსაძებნად. სემიონოვი მონახეს ერთი დღის შემდეგ. სემიონოვი სიკვდილის პირას იყოს. ამჟამად მფრინავები იმყოფებიან ტროიცკო-პეჩორსკში და მალე განიკურნებიან. (ადს).

## ღამის ცნობები

**დუმერგი და ბრიანი მიემგზავრებიან ლონდონში**

**ლონდონი,** 15 მაისი. 16 მაისს ლონდონში მიემგზავრება პრეზიდენტი დუმერგი ბრიანის თანხლებით. (ადს).

**„მიდლენდ-ბანკ-“თან მოლაპარაკების გარშემო**

**ლონდონი,** 16 მაისი. „ვესტმინსტერ გაზეტ“ ეხება „მიდლენდ-ბანკ-“ის მიერ გამოქვეყნებულ ცნობას, რომელშიაც უარყოფილია სავაჭრო წარმომადგენლობასთან შეთანხმება საბჭოთა სავაჭრო ორგანიზაციებისათვის ახალ კრედიტების მიცემის შესახებ. გაზეთი სწერს: „შეთანხმება სავაჭრო წარმომადგენლობასა და „მიდლენდ-ბანკ“-ს შორის უკანასკნელ სტადიაში იყო, როცა ჩხრეკა დაიწყეს არკოსში „მიდლენდ-ბანკი“ შეეკითხა შეთანხმების გამო ინგლისის ბანკს და მიიღო პასუხი—უკანასკნელ სტადიამდე არ მიიყვანოს მოლაპარაკება, სანამ ჩხრეკის შედეგები არ გამოირკვევა. გაზეთის ცნობით მოლაპარაკება კრედიტების შესახებ მალე განახლდება. (ადს).

**„წინდახედული“ სამინისტრო**

**ლონდონი,** 16 მაისი. რეიტერის სააგენტო აქვეყნებს პეკინიდან მიღებულ შემდეგ დეპეშას:

„რამოდენიმე ინგლისელს ამ კვირაში განზრახული ჰქონდა ინგლისში გამგზავრება ციმბირის გზით. მაგრამ ინგლისის გარეშე საქმეთა სამინისტრომ დეპეშით წინადადება მისცა პეკინის საელჩოს აცნობოს აღნიშნულ ინლგისელებს, რომ ამჟამად ამ მარშრუტით გამგზავრება არ არის მიზანშეწონილი“. (ადს).

**სიფრთხილისაკენ მოუწოდებენ**

**ნიუ-იორკი,** 16 მაისი. საქმიან წრეების ორგანო „ჯორნალ ოფ კომერს“ მოუწოდებს მკითხველებს სიფრთხილით მოეპყრან ცნობას არკოსზე თავდასხმის შესახებ და დასძენს, რომ წინანდელი ბრალდებები, რომლებიც ინგლისმა წაუყენა საბჭოთა კავშირს, უსაფუძვლო აღმოჩნდენ: ინგლისის „ლურჯი წიგნი“, რომელსაც დოკუმენტებით უნდა დაემტკიცებია საბჭოთა პროპაგანდა,—სწერს გაზეთი—პირდაპირ სასაცილო აღმოჩნდა. (ადს).

**კონსერვატორები არჩევნებისათვის ემზადებიან**

**ბერლინი,** 16 მაისი. „ლონდონის წრეებში—სწერს „კელნიშე ცეიტუნგ“-ის კორესპონდენტი,—მოელიან, რომ შინაური პოლიტიკის დარგში ჩხრეკა აღმოაჩენს ისეთ მასალას, რომელსაც მთავრობა გამოიყენებს მუშათა პარტიის წინააღმდეგ პარლამენტის მომავალ არჩევნების დროს, როგორც ეს მან ჩაიდინა ზინოვიევის ყალბი წერილის საშუალებით“. (ადს).

**დაკარგული „საბუთი“**

**ლონდონი,** 16 მაისი. „ტაიმს“-ში გამოქვეყნებულია როგორც სჩანს სათანადო წყაროებიდან ნაკარნახევი ცნობა, „არკოსში“ და სავაჭრო წარმომადგენლობაში მოხდენილ ჩხრეკის შესახებ. „ჩხრეკა გრძელდება,—ნათქვამია ცნობაში: მოსალოდნელია ის რამოდენიმე დღის გაგრძელდეს, ასე რომ დაკარგული საბუთი შეიძლება აღმოჩნდეს. თუმცა საბუთის აღმოჩენას არ სთვლიან მოსალოდნელად, რადგან ის ალბათ დასწვეს“. (ადს).

**ჩან-ძო-ლინი გახარებულია**

**ლონდონი,** 16 მაისი. გაზეთ „მორნინგ პოსტი“-ს პეკინელი კორესპონდენტი აცხადებს, რომ ჩან-ძო-ლინი ძლიერ გახარებულია „არკოს“-ზე მოხდენილ თავდასხმის გამო. (ადს).

**„იმედ გაცრუებულნი“**

**სტოკჰოლმი,** 16 მაისი. კოპენჰაგენის „პოლიტიკენ“-ის (ლიბერალების ორგანო) ლონდონელი კორესპონდენტი აღნიშნავს, რომ არკოსის გაჩხრეკამ ლონდონის პოლიცია დიდ სასოწარკვეთილებაში ჩააგდო, ვინაიდან მრავალ ათასობით გატაცებულ დოკუმენტებიდან, რომელთა დათვლა დიდის გაჭირვებით შეძლეს პოლიციის აგენტებმა, არც ერთი არ აღმოჩნდა ყურადღების ღირსი (ადს).

**ჩეხო-სლოვაკიის კოოპერატორთა დელეგაცია**

**მოსკოვი,** 16 მაისი. მოსკოვში ჩამოვიდა ჩეხო-სლოვაკიის კოოპერატორთა დელეგაცია, რომელშიაც შედის ათი სოციალ-დემოკრატი და ხუთი კომუნისტი (ადს).

**საბჭოთა ბენზინის შესყიდვა**

**დონი-როსტოვი,** 16 მაისი. ჩამოვიდა სამხრეთ-აფრიკის ფირმის წარმომადგენელი კუპერი, რომელმაც შეისყიდა საბჭოთა ბენზინის დიდი პარტია. ფირმა ამჟამად ნავთსადგურ დურბანში (სამხრეთ აფრიკა) აშენებს საწყობს საბჭოთა ბენზინის მისაღებად. (ადს).

### საუბარი ამხ. დიბენკოსთან

16 მაისს ლენინაკანიდან თბილისში დაბრუნდენ მუშურ-გლეხური წითელი არმიის მთავარ სამმართველოს უფროსის მოადგილე ამხ. ლევიჩევი და არმიის მომარაგების უფროსი ამხ. დიბენკო.

ამიერ-კავკასიის დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელთან საუბარის დროს ამხ. დიბენკომ განაცხადა:

„ბაქოს და თბილისის გარნიზონების მეთაურთა შემადგენლობის და წითელ არმიელების ცხოვრების პირობები, მიუხედავად სიძვირისა, სავსებით დამაკმაყოფილებელია, რაც აიხსნება მით, რომ ამ გარნიზონებს სათანადო ყურადღებას აქცევენ არმიის სარდლობა და ადგილ. ხელისუფლების წარმომადგენლები, მაგრამ არის უარყოფითი მხარეებიც, მართალია, მოიპოება მშვენივრად მოწყობილი ყაზარმები, მაგრამ თბილისში არის მსროლელი ბათალიონი, რომელიც მეტად საპასუხისმგებლო დავალებებს ასრულებს უყოველგვარ ყაზარმულ მოწყობილობის გარეშე. ამ ბათალიონის ყაზარმების შესაკეთებლად და მოწყობილობის შესაძენად მე ნება დავრთე დახარჯულ იქნეს 10.000 მანეთი.

ლენინაკანის გარნიზონს მძიმე ბინათა პირობებში უხდება ცხოვრება: იქ სრულებით არ მოიპოება კულტურული გასართობები: თეატრი, კინო, კლუბები. ამჟამად სამხედრო უწყება სდებს ლენინაკანის გარნიზონისათვის ყაზარმების მოსაწყობად 10.000 მანეთს, ხოლო ახლო მომავალში ცენტრი გაიღებს ყაზარმების შესაკეთებლად 850.000 მანეთს.

რაც შეეხება ტანისამოსს, ახლო მომავალში შესაძლებელია მთელს არმიაში მაუდის ტანისამოსის შემოღება. 1 ოქტომბრიდან მთელი არმია მიიღებს ჩექმებს და უმცროს მეთაურთა შემადგენლობას დაურიგდება მაუდის ტანისამოსი“.

16 მაისს საღამოს, ამხ. ლევიჩევი და დიბენკო თბილისიდან გაემგზავრენ მოსკოვში. (ადს).

### ავტობუსის კატასტროფის მიზეზები

აფხაზეთში მომხდარ ავტობუსის კატასტროფის მიზეზების გამოსარკვევად დანიშნულმა კომისიამ გამოიტანა შემდეგი დასკვნა:

დაზიანებული მანქანა, სამი კვირის განმავლობაში შეუჩერებელი მუშაობის მიუხედავათ, ერთხელაც არ ყოფილა დათვალიერებული; ამის გამო შეუმჩნეველი დარჩენიათ ცენტრო-ბოლტის დაზიანება. მანქანის ხელის მუხრუჭი სრულიად გაფუჭებული და უმოქმედო ყოფილა. გაფუჭებული ყოფილა აგრეთვე ჰაერის საქაჩი, სიგნალის მომცემი მილი, დანის მუხრუჭი და ავტომობილის შესავალი კარების ხელი, რის გამოც მგზავრებმა ვერ მოახერხეს ავტომობილიდან გადმოხტომა.

კატასტროფის ამ უშუალო მიზეზებს გარდა, კომისიამ აღნიშნა, რომ დარღვეული ყოფილა მანქანის ნორმალური ექსპლოატაციის და შინაგანი განწესრიგების წესები.

გამოძიების მასალები გადაეგზავნა პროკურორს დამნაშავეთა პასუხისგებაში მისაცემად.

### თავდამსხმელების დაპატიმრება

**სოხუმი,** 16 მაისი. სისხლის სამართლის მილიციამ დააპატიმრა სამი ბანდიტი, რომლებიც 3 მაისს თავს დაესხნენ ავტობუსს ოჩემჩირის მახლობლად. ორი მათგანი ზუგდიდის მაზრის მცხოვრებია, ერთი სოხუმის. დაპატიმრებულები დანაშაულში გამოტყდენ. დაპატიმრებული არიან მათი დამფარველები და ხელისშემწყობნი.

სწარმოებს გამოძიება (ადს).

# პარტიული ცხოვრება

### აგიტაცია წარმოების რაციონალიზაციისათვის

(საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკ ას დადგენილება).

**მოსკოვი,** 16 მაისი. საკავშირო კომპარტიის ცეკამ გამოიტანა დადგენილება, რომელიც შეეხება ზეპირ და ბეჭდვითი აგიტაციას წარმოების რაციონალიზაციისათვის და მუშათა ფართო მასების ჩაბმას წარმოების რაციონალიზაციის კამპანიის გატარებაში.

ცეკა აღნიშნავს, რომ წარმოების რაციონალიზაციის ამოცანების წარმატებით გადაჭრისათვის მთავარი პირობაა მუშათა მასების შეგნებული დამოკიდებულება ამ საქმისადმი, აქტიურად ხელის შეწყობა მისთვის და ფართო ინიციატივის გამოჩენა; პროპაგანდა-აგიტაციის დარგში ცეკას საჭიროდ მიაჩნია შემდეგი: გაშუქებული უნდა იქნეს სოციალისტური რაციონალიზაციის ძირითადი განსხვავება (კაპიტალისტური რაციონალიზაციისაგან), რამდენადაც ის მიზნად ისახავს სოციალისტური მშენებლობის ტემპის გაძლიერებას მუშების მატერიალური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად; განსაკუთრებით საჭიროა წარმოების რაციონალიზაციის შედეგად მიღებულ მიღწევების გამოყენება. რაციონალიზაციის აგიტაცია არ უნდა ატარებდეს ყველა საწარმოო დაწესებულებებისათვის საერთო ხასიათს, პირიქით, სააგიტაციო მუშაობა დაყენებული უნდა იქნეს იმრიგად, რომ შუქდებოდეს სარაციონალიზაციო ობიექტი და სარაციონალიზაციო ღონისძიებები, რომლებიც რეალურად დასახული არიან ამა თუ იმ რაიონის წარმოებაში ამა თუ იმ დარგისათვის. ბეჭდვ. სიტყვის ერთ-ერთი ძირითადი ამოცანა რაციონალიზაციის გატარების საქმეში არის ზედმიწევნით შემოწმებული ინფორმაცია და რაციონალიზაციის გატარების საქმეში მიღწეულ წარმატებების და დაშვებულ შეცდომების გულდასმით შესწავლა.

ბეჭდვითი სიტყვამ მაქსიმუმი ინიციატივა უნდა გამოიჩინოს იმ ახალ საკითხების წამოყენებაში, რომლებიც წარმოიშვებიან რაციონალიზაციის გატარების და პრაქტიკულ ღონისძიებათა გამოყენების პროცესში. იმ მიზნით, რომ რაციონალიზაციის საქმეში მასების ჩაბმას უფრო გაძლიერებული პარტხელმძღვანელობა გაეწიოს, პარტუჯრედებმა სამეურნეო დარგის მუშაკებთან და პროფაქტივებთან ერთად უნდა დასახონ პრაქტიკული ღონისძიებები, რაციონალიზაციის კონკრეტიულ ამოცანებთან შეფარდებით ამა თუ იმ წარმოებაში; ეს ღონისძიებები შეფარდებული უნდა იქნენ აგრეთვე მუშების პოლიტიკურ მომზადების ამოცანებთან.

რაციონალიზაციის საქმეში მუშათა მასების ჩასაბმელად გადამწყვეტი როლი უნდა ითამაშონ პროფკავშირებმა, რომლებიც უნდა ზრუნავდენ იმაზე, რომ სათანადოთ დაცულ იქნეს მუშათა ინტერესები; მათ თავიდან უნდა აიცდინონ რაციონალიზაციის გატარებაში შესაძლებელი ბიუროკრატიული გადამახინჯებანი სამეურნეო ორგანოების მხრივ, თავის დროზე უნდა გაითვალისწინონ და დასვან განსახილველად მუშების მიერ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად წამოყენებული წინადადებები, უნდა გააძლიერონ მუშაობა ახალი აქტივის აღზრდისა და საწარმოო თათბირების გამოცოცხლებისათვის.

წარმოებისა და შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესების საკითხებს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ სამეურნეო დარგის მუშაკებმა, რომელთაც ევალებათ: თავის დროზე აცნობონ პარტიულ და პროფესიონალურ ორგანიზაციებს იმ ღონისძიებათა შესახებ, რომელთაც ატარებენ რაციონალიზაციის დარგში, მათ აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ საწარმოო თათბირებში, ხელი უნდა შეუწყონ ადმინისტრატიულ-ტექნიკურ პერსონალის აქტიურ მონაწილეობას საწარმოო თათბირებში, განსაკუთრებული ყურადღებით მოეპყრან იმ საკითხებს, რომელთაც აყენებენ ცალკე მუშები და ტექნიკური პერსონალის პირები წარმოების ნაკლოვანებებთან დაკავშირებით (ადს).

### ამხ. ზინოვიევის გამოსვლის წინააღმდეგ

**დეზორგანიზატორებს თავის ადგილს მიუჩენთ**

(ხარკოვის ორგანიზაციის დადგენილება)

**ხარკოვი,** 14 მაისი. ხარკოვის ორგანიზაციის პარტკომის პლენუმი, მოისმინა რა მან ცნობა ამხ. ზინოვიევის დეზორგანიზატორული გამოსვლის შესახებ ბეჭდვითი სიტყვის დღეს, გადაჭრით გმობს ამხ. ზინოვიევის ანტიპარტიულ საქციელს, სავსებით და მთლიანად უერთდება საკავშირო კომპარტიის (ბ) მოსკოვის კომიტეტის და რაიკომის დადგენილებებს და იწონებს საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას პოლიტბიუროს მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებას, რომლის მიხედვითაც ამხ. ზინოვიევის საქმე განსახილველად გადაეცა საკავშირო კომპარტიის (ბ) ცენტრ. საკონტროლო კომისიას. პლენუმი აღნიშნავს, რომ ხარკოველი ოპოზიციონერების გამოსვლა რაიონულ პარტიულ კონფერენციაზე და წინედ—კომკავშირთა კონფერენციებზე უმთავრესად იმავე საკითხის—კომინტერნის პოლიტიკის შესახებ, ააშკარავებს, რომ არსებობს კავშირი ამ ფაქტებსა და ოპოზიციის მუშაობის შორის, რომელიც ფრაქციულ ხასიათს ატარებს. პლენუმი აუცილებლად სცნობს, რომ ყველა პარტიულმა უჯრედებმა და ორგანიზაციის ყველა წევრმა მომავალშიაც ფხიზლად ადევნოს თვალყური პარტიის რიგების მთლიანობის შერყევის ყოველგვარ ცდას. კრებაზე ამხანაგებმა ღირსეული პასუხი გასცეს ამგვარ ცდებს და გამოაშკარავეს ოპოზიციის შეხედულებათა შეცდომა და მავნებლობა. (ადს).

**შუა - აზიის ბიუროს დადგენილება**

**ტაშკენტი,** 16 მაისი. საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას შუა-აზიის ბიურო, რომელიც გაეცნო ამხ. ზინოვიევის გამოსვლას ცეკას და კომინტერნის პოლიტიკის წინააღმდეგ უპარტიოთა კრებაზე, აცხადებს, რომ ასეთი უხეშად დარღვევა და დანაშაული პარტიისა და კომინტერნის წინაშე. ბიურომ მიმართა საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას და ცენტრალურ საკონტროლო კომისიას თხოვნით მიიღონ გადამწყვეტი ზომები პარტიული დისციპლინის ასე უხეშად დარღვევის წინააღმდეგ, გამოიყენონ პარტიის მე-10-ე ყრილობაზე მიღებულ რეზოლიუციის თვით მე-7-ე მუხლიც პარტიის მთლიანობის შესახებ.

ასეთივე დადგენილებები გამოიტანეს უზბეკისტანის კომპარტიის ცეკამ და ტაშკენტის საოლქო კომიტეტმა (ადს).

**თურქმენისტანის კომპარტიის (ბ) ცეკას დადგენილება**

**აშხაბადი,** 16 მაისი თურქმენისტანის კომპარტიის (ბ) ცეკას აღმასრულებელი ბიურო ამხ. ზინოვიევის გამოსვლის სთვლის პარტიული დისციპლინის ისტორიაში გაუგონარ დარღვევად და აღიარებს, რომ წინააღმდეგ ბრძოლაში სცადა უპარტიოების გამოყენება. თურქმენისტანის კომპარტიის ცეკა სთხოვს საკავშირო კომპარტიის (ბ) ცენტრალურ საკონტროლო კომისიას მიიღოს გადამწყვეტი ზომები იმ გამოსვლების აღმოსაფხვრელად, რომლებიც მიმართული არიან ლენინური პარტიის წინააღმდეგ.

**სხვადასხვა ორგანიზაციების ხმა**

**მოსკოვი,** 16 მაისი. ლენინგრადიდან, სამარიდან; კოსტრომიდან; სვერდლოვსკიდან; ტიუმენიდან და სხვა ქალაქებიდან მოდის პარტიული კრებების საპროტესტო რეზოლიუციები ამხ. ზინოვიევის მიერ პარტდისციპლინის დარღვევის წინააღმდეგ. რეზოლიუციები მოითხოვენ მკაცრი ზომების მიღებას ამხ. ზინოვიევის წინააღმდეგ. (ადს).

### ა.ლ.კ.კ. ამიერ-კავკასიის მეორე კონფერენცია

**კონფერენციის გახსნა**

გუშინ, საღამოს პროფსაბჭოს დიდ დარბაზში გაიხსნა ამიერ - კავკასიის კომკავშირის მეორე კონფერენცია. კონფერენციის გახსნის წინ ა.-კ. კომკავშირის საოლქო კომიტეტის მდივანი ამხ. რახმანოვი გამოვიდა მოკლე შესავალი სიტყვით.

ერთ წელზე მეტი გავიდა ა.-კ უკანასკნელ ყრილობის შემდეგ — იუწყებს მომხსენებელი.—ამ ხნის განმავლობაში ჩვენი კავშირი ცხოვრებაში ატარებდა პარტიის მე-14 ყრილობის და კომკავშირის მე-7 ყრილობის მიერ მოცემულ დირექტივებს. საჭიროა განვლილ მუშაობას თვალი გადავავლოთ, მისი შედეგები შევაჯამოთ და გამოვარკვიოთ, როგორი ბალანსით მოვედით ჩვენ დღევანდელ კონფერენციაზე.

განვლილ მუშაობის პერიოდში — ჩვენს კავშირს აქვს მთელი რიგი მიღწევათა და ამიტომ თამამათ შეგვიძლია ვსთქვათ, რომ მე-2 კონფერენციის წინაშე ა.-კ. კომკავშირი წარსდგა აქტიური ბალანსით. ოპოზიციის გამოსვლების დროს კომკავშირი მტკიცედ ამოუდგა მხარში პარტიას და მან დაამტკიცა, რომ ის, როგორც ლენინური ორგანიზაცია, იდეოლოგიურად შეურყეველია.

ა.-კ. კომკავშირმა გაანადგურა საქართველოს ცალკე ოპოზიციონერთა გამოსვლები და სომხეთში ტროცკის ჯგუფის გამოსვლები.

ამის შემდეგ კომკავშირი უფრო შემჭიდროვდა და განმტკიცდა. ჩვენი კავშირი არასოდეს ისე თამამად არ მისულა ფრიად სერიოზულ საკითხების გადასაჭრელად, როგორც დღეს. ეს საკითხებია ერთის მხრით — წარმოების რაციონალიზაცია — ჩვენი ქვეყნის შემდგომი ინდუსტრიალიზაციისათვის და მეორე მხრივ სასოფლო მეურნეობის გაუმჯობესება და მისი შემდგომი განვითარება გლეხობის კოოპერაციაში ჩაბმით. წარმოების რაციონალიზაციის ამოცანები წამოყენებულია საკავშ. კ. პ. (ბ) ც. კ. უკანასკნელ დადგენილებით და აგრეთვე საქ. ა. ლ. კ. კ. მე-5 კონფერენციის მიერ ვალდებულად ხდიან კომკავშირს გამოიჩინოს მან აქტივობა ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის საქმეში — როგორც სოციალისტური აღმშენებლობის ძირითად პრობლემას წარმოადგენს. საქართველოს კომკავშირმა ფართოდ გააშუქოს მშრომელი მასების წინაშე წარმოების სოციალისტური რაციონალიზაციის აზრი და მნიშვნელობა.

ამასთან ერთად უნდა აშკარად ითქვას, რომ ჩვენ გვაქვს ბევრი ნაკლოვანებანიც, რომელთა გამოსწორებაზედაც შეჩერდება მე-2 კონფერენცია. დღევანდელ კონფერენციის დღის წესრიგში კავშირის ძირითადი საკითხები სდგას და მე სრულ იმედს გამოვსთქვამ, რომ ყველა ამ საკითხებს კონფერენცია დადებითად გადასჭრის —ათავებს ამხ. რახმანოვი.

**კონფერენციის ორგანოების არჩევნები**

შემდეგ კონფერენცია შეუდგა პრეზიდიუმის არჩევნებს. პრეზიდიუმში არჩეულ იქნენ: ამხ. ნაზარეტიანი, ქართველიშვილი, კახიანი, რუბენი, რახმანოვი, გუმედინი, გოგიჩია, პალერი, გავრიში, გეგეჭკორი, სალუქვაძე, ახუნდ-ზადე, კოვალევი, მარტიროსიანი, არზუმანიანი, ჯავახიძე, მელიხოვი, პერუშინი, ნურიევი, კაუზოვი და სხვები. სამდივნოში არჩეულ იქნა: 6 კაცი. სამანდატო კომისიაში: 5 კაცი. სარედაქციო კოლეგიაში: 5 კაცი.

საპატიო პრეზიდიუმში—მქუხარე — ხანგრძლივი ტაშის ქვეშ არჩეულ იქნენ ამხ. სტალინი, რიკოვი, კალინინი, ბუხარინი, ორჯონიკიძე, ვოროშილოვი, ორახელაშვილი მამია, ცხაკაია, ჩაპლინი, კიროვი და შაცკინი.

**დღის წესრიგი**

კონფერენციამ დაამტკიცა შემდეგი დღის წესრიგი:

1. საერთო - პოლიტიკური მოხსენება—მომხსენებელი ამხ. მამია ორახელაშვილი, 2. საკ. ა. ლ. კ. კ. ა.-კ. საოლქო კომიტეტის მოხსენება—ამხ. რახმანოვი, 3. სასოფლო მეურნეობის და სოფლის კოოპერაციაში კომკავშირის მონაწილეობა—ამხ. გუმედინი და თანამომხსენებელი ა.-კ. სასოფლო - სამეურნეო ბანკის თავმჯდომარე ამხ. ჩხენკელი. ამის შემდეგ საერთო პოლიტიკური მოხსენებით გამოვიდა მამია ორახელაშვილი, რომელსაც კონფერენცია—ხანგრძლივი ტაშით შეხვდა.

## ფასების დაკლებისათვის

### როგორ მიმდინარეობს ფასების დაკლება

საქართველოს სტატისტიკურ სამმართველოს ცნობებით კერძო ბაზარზე 1-ლ იანვართან შედარებით 1 მარტისათვის საცალო ფასები სამრეწველო საქონელზე თბილისში შემცირებულ იქნა 3 პროცენტით, ხოლო სასოფლო-მეურნეობის პროდუქტებზე რამოდენიმე პროცენტით გადიდდა. იმავე სტატ. სამმართველოს ცნობებით ასეთივე მდგომარეობა იყო პირველი მარტისათვის საქ. სხვა მთავარ ქალაქებში—ქუთაისში, ბათომში, სოხუმში და ფოთში. სამრეწველო საქონლის ყველა ჯგუფებზე ფასები დაკლებულ იქნა 3 პროც. და ამავე პროცენტით გაიზარდა ფასები სასოფლო მეურნეობის პროდუქტებზე.

1 მარტთან შედარებით 1 აპრილისათვის კერძო ბაზარზე საცალო ფასების საერთო ინდექსი შემცირებულ იქნა 3 პროცენტით. ფასების შემცირება მოხდა უმთავრესად სამრეწველო საქონლის ხარჯზე (6 პროც.), ხოლო სასოფლო სამეურნეო საქონელზე ფასები თითქმის უცვლელი დარჩა.

სასოფლო-სამეურნეო საქონლის ჯგუფების მიხედვით ფასებმა მოიმატეს პურის პროდუქტებზე—2 პროც., ხორცზე—13 პროც., დაიკლეს ბოსტნეულზე—12 პროც., რძის პროდუქტებზე—5 პროც. და შეშაზე—8 პროც. ღვინოზე ფასები უცვლელი დარჩა.

სამრეწველო საქონლის ჯგუფების მიხედვით ფასებმა დაიკლეს მანუფაქტურაზე—13 პროც., ლითონის საქონელზე—5 პროც. და შაქარზე—2 პროც., ფასები ჩაიზე, თამბაქოზე, ფეხსაცმელზე, ნავთზე და სხვა ფართო მოხმარების საქონელზე უცვლელი დარჩა.

ასეთივე მდგომარეობაა საქართველოს დანარჩენ მთავარ ქალაქებში, სადაც საცალო ფასების საერთო დონემ დაიკლო 2 პროც. ფასები კლებულობს უმთავრესად სამრეწველო საქონელზე და უცვლელი რჩება სასოფლო-მეურნეობის პროდუქტებზე. სამრეწველო საქონლის ფასების საერთო ინდექსი ამ ქალაქებში დაკლებულია 5 პროც. ცალკე ჯგუფების მხედვით ფასები დაკლებულია მანუფაქტურაზე—9 პროც., ლითონის საქონელზე—5 პროც., ფართო მოხმარების საქონელზე—2 პროც., თამბაქოზე—1 პროც., ზეთზე—4 პროც., შაქარზე—1 პროც.; უცვლელი დარჩა ფასები—მარილზე, ჩაიზე და ფეხსაცმელზე. სასოფლო მეურნემობის საქონლის ჯგუფების მიხედვით ფასები გადიდდა ხორცზე 9 პროც. უცვლელი დარჩა პურზე და ღვინოზე. დაიკლო ბოსტნეულზე—9 პროც., რძის პროდუქტებზე—4 პროც., და შეშაზე—5 პროცენტით.

### კერძო ვაჭრობა ეცემა

(ფოთი)

ფასების დაკლების კამპანიამ ფოთშიაც ჰპოვა სათანადო გამოხმაურება.

ჩვენ აქ აღვნიშნავთ თუ როგორი იყო ფასები ფოთში 1-ლ იანვრისათვის და როგორია ისინი 1-ლ აპრილისათვის.

დაიკლო 1-ლ იანვრიდან 1-ლ აპრილამდე: 1 ხარისხის პურის ფქვილმა 9 პროც., ბრინჯმა 8 პროც., ნარმამ 10 პროც., მარილმა 7,9 პროც., ნატეხ შაქარმა 3,9 პროც., ფხენილმა, ჩითმა № 10 კოოპერატიული და სახელმწიფო ვაჭრობაში დაიკლო 10 პროც., კალოშების ფასი კოოპერატიულ და სახელმწიფო ვაჭრობაში იგივე დარჩა, კერძოთ კი ამ საქონელმა დაიკლო 3 პროც.. „ბატინკებმა“ კოოპერატიული ვაჭრობაში დაიკლო 16 პროც., სახელმწიფო ვაჭრობის მაღაზიებში 14,6 პროც., კერძოთ 3 პროც., საპონმა კოოპერატიული ვაჭრობაში 18 პროც., სახელმწიფოში 10,5 პროც., კერძოთ 3 პროც., მზესუმზირას ზეთი კერძოთ არ იშოვება, კოოპერატიულ ვაჭრობაში მან დაიკლო 28 პროც., სახელმწიფო ვაჭრობის ორგანოებში ფასი იგივე დარჩა.

კოოპერატიული ვაჭრობა სწრაფი ტემპით ვითარდება. რასაც ნათელ ყოფს კოოპერატივის სავაჭრო ბრუნვები. კოოპერატიული ბრუნვა წინა პერიოდთან შედარებით გაიზარდა 17,8 პროცენტით.

სწრაფი ტემპით იზრდება სახელმწიფო ვაჭრობა, თუმცა სავაჭრო ბრუნვამ 1924-25 წლის მეორე ნახევრის წინა პერიოდთან შედარებით დაიკლო 0,9 პროც., მაგრამ 1925-26 წლის მეორე ნახევრის წინა პერიოდთან შედარებით ის გაიზარდა 1924-25 წლის 1-ლ ნახევართან შედარებით 19,2 პროცენტით.

ნელი ტემპით ვითარდება კერძო საცალო ვაჭრობის ბრუნვები 1924-25 წლის მეორე ნახევარში, 1925-26 წლის 1-ლ ნახევართან ამ ბრუნვამ დაიკლო 23,9 პროცენტით.

საერთოდ, როგორც სახელმწიფო და კოოპერატიული, ისე კერძო ვაჭრობა 1924-25 წლის მეორე ნახევარში 1-ლ ნახევართან შედარებით გაზრდილა 7,2 პროცენტით.

1925-26 წლის მეორე ნახევარში წინა პერიოდთან შედარებით ვაჭრობა გაზრდილა ფოთში 26,8 პროცენტით.

ამრიგათ, ვაჭრობის განუწყვეტელ ზრდასთან ერთად კერძო კაპიტალის მონაწილეობა აღებ-მიცემობაში თანდათან მცირდება. სამაგიეროთ ძლიერდება კოოპერატიული და სახელმწიფო ვაჭრობა.

შ. კუხალეიშვილი.

### უკლებენ სიტყვით და არა საქმით

(გორის მაზრა).

გორის სათემო პარტიულმა კომიტეტმა მიზნათ დაისახა, რომ გამოეკვლია გორის თემში და ქ. გორში ფასების დაკლების კამპანიის მსვლელობა. ამ მიზნით მან მოიწვია პლენუმზე კოოპერატივის გამგეობის თავმჯდომარე, რომ მას გაეკეთებინა კოოპერატივის მდგომარეობაზე მოხსენება. წინასწარ სათემო კომიტეტის მიერ დამუშავებული იყო კითხვარი კოოპერატივის გამოკვლევისათვის. გამგეობის თავმჯდომარემ თავის მოხსენებაში განაცხადა, რომ ფასების დაკლება ნორმალურათ მიმდინარეობს. პლენუმის შემდეგ, რომ სათემო პარტიული კომიტეტი დარწმუნებულიყო მოხსენების სინამდვილეში—10 აპრილს კოოპერატივის თავმჯდომარესთან ერთად თემკომის პ.-მგ. მდივანი გაემგზავრა სოფ. ზეღდულეთში, სადაც იმყოფება [illegible] გორის ეპოსი. გამოკვლევიდან აშკარად აღმოჩნდა, რომ ფასების დაკლების შესახებ გორის ეპოს გამგეობას არავითარი დირექტივა სოფელ ზეღდულეთის განყოფილებისათვის არ მიეცა და ადგილობრივი გლეხობა საუბარში აცხადებდა: „საბჭოთა ხელისუფლებამ გამოსცა კანონი ფასების დაკლების შესახებ და ჩვენ კი აქ არაფერი შეგვიტყვია კოოპერატივისათვის“. მთავრობის დადგენილება ფასების დაკლების შესახებ გლეხობას გაეგო კომკავშირელ და პარტიის წევრების საშუალებით.

ასეთ მდგომარეობას გორის სამაზრო კომიტეტმა უნდა მიაქციოს სათანადო ყურადღება. მან უნდა მიიღოს ზომები, რათა კოოპერატივებმა საქმით დაუმტკიცონ გლეხკაცობას, რომ გორის კოოპერატივებიც მტკიცეთ ატარებენ ფასების დაკლების კამპანიას.

ა. [illegible]

# საბჭოთა საქართველო

## დეპეშები

### ცხენის-წყალის ნაპირების გამაგრება

**ახალსენაკი**, 16 მაისი. გაზაფხულის დადგომის გამო სოფ. მარტვილის, ხუნწის, ლეხაინდრაოს და სამიქაოს კვლავ ელის საფრთხე მდინარე ცხენის წყალის მხრივ. ამ სოფლებთან შარშან აგებული ჯებირები მდინარემ დაანგრია მაისში. მდინარის ადიდება დიდ საფრთხეს უმზადებს ნათესებს, თუ დროზე არ იქნება მიღებული ზომები ახალი უფრო მტკიცე ჯებირების ასაგებად. სამაზრო აღმასკომმა დაადგინა დაუყოვნებლივ შეუდგეს დანგრეული ჯებირების აღდგენას და მუშაობის ხელმძღვანელობისათვის გაგზავნოს ტეხნიკოსები. ლეხაინდრაოს სათემო აღმასკომს დაევალა დაუყოვნებლივ შეუდგეს მასალების ზიდვას ჯებირების ასაგებად. მასალები უნდა ჩაზიდოს სოფელ აბაშის, ონტოფო - სეფიეტის, მარტვილისა და ლეხაინდრაოს მოსახლეობამ. ა.-კ. რკინისგზების სამმართველოს წინაშე აღძრულ იქნა შუამდგომლობა, რომ რკინისგზამ მიიღოს ჯებირების აგებისათვის საჭირო ხარჯების ნახევარი. საქართველოს წყალთა მეურნეობის წინაშე აღძრულია შუამდგომლობა, რათა სამაზრო აღმასკომს ამ საქმეში აღმოეჩინოს დახმარება (ადს).

### ქალაქის გაფართოება

**ახალსენაკი**, 13 მაისი. ახალსენაკის ქალაქის საბჭომ ქალაქს შემოუერთა ახლო მდებარე სოფლები საკალანდარაშვილო, ნატოჩაო და ხაჩაჩიბაო, სულ 250-300 კომლი; ამის გამო ეს სოფლები გამორიცხული არიან თეკლათის თემიდან (ადს).

### ნათესების მდგომარეობა

**ახალსენაკი**, 16 მაისი. სასოფლო - სამეურნეო კულტურების სამაზრო საექპორტო კომისიამ შემდეგნაირად შეაფასა ნათესების მდგომარეობა: სიმინდი 2,9, თხილი 3, ქვავი 3,2, ხორბალი 3, ბამბა 2,1, თამბაქო 2,5, ბაღები 3, ბაღჩები 3,1 ბოსტნები 3,7. (ადს).

## აჭარისტანი

### ახალი ვენახები

**ბათომი**, 16 მაისი. აჭარის ცენტრალურმა გლეხკომმა ხულოსა და ქედის მაზრის საფონდო მიწებზე გააშენა 60 დესეტინა ვენახი (ადს).

### სახალხო სახლის გახსნა

**ოზურგეთი**, 16 მაისი. სოფელ ჩოჩხათში ზეიმით გაიხსნა კ. ხომერიკის სახელობის სახალხო სახლი, აგებული ადგილობრივი გლეხობის საშუალებებით (ადს).

## სამხრეთ-ოსეთი

### ნაპირების გამაგრება

**ცხინვალი**, 16 მაისი. საქართველოს გზატკეცილების სამართველო ამაგრებს მდ. ლიახვის მარჯვენა ნაპირს სოფ. ჯავას ზევით, სადაც მდინარე ემუქრება გზას. ნაპირების გამაგრებით დაცული იქნება, აგრეთვე, ჯავის მინერალური წყარო, რომელიც თავის სამკურნალო თვისებებით განთქმულია მთელს ოსეთში (ადს).

## წერილები

### ყურადღება საგზაო მშენებლობას სოფლად

სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს გზებს. გზა არის შემაერთებელი ხიდი სოფლისა და ქალაქის დაახლოვების, სასოფლო მეურნეობის და მრეწველობის დამეგობრების. სასოფლო მეურნეობის ზრდა უშუალოდ დამოკიდებულია სასოფლო-სამეურნეო გზების კეთილ მოწყობაზე.

დღეს საგზაო მშენებლობა სოფლად ვერ სდგას სათანადო ნიადაგზე. ის საგრძნობლად მოიკოჭლებს. თითქმის ყველა მნიშვნელოვანი სამეურნეო გზები ამჟამად იმდენად გაცვეთილია, რომ შეუძლებელია მაზე თავისუფალი მიმოსვლის წარმოება. ამის გამო მრავალი სოფელი მოწყვეტილია ქალაქს, სოფლის ნაწარმოები თავისუფლად ვერ გადის ქალაქის ბაზარზე, ვერ გადის, ვამბობ მე, იმდენად; რამდენად სოფლის გლეხკაცობას უგზოობის გამო არა აქვს საშუალება თავისი ნაწარმოები; თავისი ოფლით მონაპოვარი უშუალოდ მიაწოდოს ქალაქს. ამ დროს, უეჭველია, სოფლად იჩენენ ამოძრავებას კოლაკები და ჩარჩები, რომლებიც სარგებლობენ ყველა ამ შემთხვევებით და გლეხობის სიმდიდრეს ჩალის ფასად იტაცებენ. ამრიგად, სოფლის ნაწარმოების მიმწოდებლად ქალაქისათვის ითვლება. არა თვით შემქნელი ნაწარმოებისა, არამედ ჩარჩი-ვაჭარი. სასოფლო მეურნეობის ზრდა-განვითარებაზე ლაპარაკი შეუძლებელია რის გარეშე საგზაო მშენებლობის სათანადო ნიადაგზე დაყენებისა, რაც ჩვენს სინამდვილეში, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ძლიერ მოიკოჭლებს. თუმცა ზოგიერთ კუთხეებში სწარმოებს საგზაო მშენებლობა, ხდება ახალი სასოფლო-სამეურნეო გზების გაყვანა, როგორიცაა; მაგალითად: სვანეთის გზა; რომელიც ახლო მომავალში დამთავრდება, მაგრამ ეს წვეთი არის ზღვაში, იმასთან შედარებით, რაც უნდა გაკეთდეს ამ დარგში. ერთადერთი საშუალება სოფლად საგზაო მშენებლობის მყარ ნიადაგზე დაყენების, არის გლეხობის კოლექტიური შრომა, რომელიც უნდა გადაიქცეს დასაყრდენ წერტილად საგზაო მშენებლობისათვის. აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს თვით გლეხობამ მიიღოს აქტიური მონაწილეობა ამ საქმეში, უდიდესი ნაწილი ჩვენი გლეხობისა უნდა ჩავაბათ საგზაო მშენებლობაში. ყველა საბჭოთა და პარტიულ ორგანოებმა კომუჯრედმა და კომკავშირმა სოფლად წინასწარი მოსამზადებელი მუშაობა უნდა აწარმოონ ამ მხრივ. აუხსნან გლეხობას, თუ რა მნიშვნელობა აქვს სასოფლო მეურნეობისათვის გზებს. ყველა ამ ღონისძიების ცხოვრებაში გატარებით, ჩვენ შევსძლებთ ჩვენი სასოფლო-სამეურნეო გზების აღდგენას; ამით ხელს შევუწყობთ სოფლისა და ქალაქის კავშირის განმტკიცებას და სოფლის მეურნეობის წინსვლას.

ილია ადეიშვილი.

### მიხედეთ გზებს და ხიდებს

(თავასის თემი, შორაპ. მაზ.)

ჩვენ თემში გზები ძალზე გაფუჭებულია, რომელსაც ყურადღებას არ აქცევენ. შარშან შეაკეთეს გლეხებმა მთავარი შარა გზა მუხურის თემის მიმართულებით, მაგრამ ეს ცოტაა. ეხლა ავდარში ზოგიერთ შარა გზაზე გავლა შეუძლებელია, ამხელა ღელეები მოჩქეფს ზედ.

ბოგირები არსად არ არის გაკეთებული. მუხურეთის ხიდი ძალზე დაზიანებულია, მისი საფუძვლიანად შეკეთება აუცილებელია.

ღალაბოურში მდინარე ძუსაზე ხიდი ასაგები არის. საჭიროა ახალმა აღმასკომმა ხელი შეუწყოს საგზაო სექციას და გლეხები სიამოვნებით გამოვლენ გზების გასაკეთებლად. იმედია შორაპნის სამაზრო აღმასკომი დაგვეხმარება ასაფეთქებელი მასალით და ხიდების აშენებაშიაც შეგვეწყობს ხელს.

ბლ. ცინცაძე.

### ქოხ-სამკითხველო გვინდა

(ს. ჭანდრის უბანი, სიღნაღის მაზ.)

სოფელ ჭანდრის უბანსა და ზემო უბანს არა აქვთ ქოხ - სამკითხველო.

მცხოვრებლები სარგებლობენ გურჯაანში არსებულ ქოხ -სამკითხველოთი, მაგრამ ეს სიშორის გამო მათთვის ერთობ უხერხულ მდგომარეობას ჰქმნის.

ადგილობრივი მოსახლეობა ძლიერ მოწადინებულია, რომ ქოხ - სამკითხველო გაიხსნას ს. ჭანდრის უბანში.

იმედია ყურადღებას მოგვაქცევს სამაზრო პოლიტგანის განყოფილება ამ სასარგებლო საქმის მოგვარებაში.

ჭანდრის უბნელი.

### ტყეს მოუარეთ — წყარო შრება

(საგარეჯო, გარე-კახეთი)

სოფ. საგარეჯო მთელ თბილისის მაზრაში ნაქებია თავისი საუკეთესო ღირსების წყლით. ეს წყალი გამოყვანილია მილებში, რომლის რიცხვი დაახლოვებით აღწევს 40-მდე. წყალი ეს არა მარტო სასმელად იხმარება, არამედ სარწყავად — ბაღ - ბოსტნებისათვის და წისქვილების საბრუნავად, ხოლო კახეთის რკინისგზას კი აძლევს ყოველდღე რამოდენიმე ათასეულ ვედრო წყალს — ორთქლმავლებისთვის. ამ უკანასკნელ დროს „სათავი"-ს წყალმა, როგორც უწოდებენ აქაურები, საგრძნოდ — იკლო, რის მიზეზიც არის ტყის უწესრიგო ჩეხვა. საჭიროა განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს „სათავი"-ს ტყეს. დაუყოვნებლივ უნდა შემოიფარგლოს მისი მიდამოები, რათაც ეს არ უნდა დაგვიჯდეს, თორემ საგარეჯო ბოლოს უდაბნოდ გარდაიქცევა.

გ. გარსიაშვილი.

# საქ. ცაკის პრეზიდიუმში

### კომისიის დანიშვნა

ახალქალაქის და გორის მაზრებს შორის არსებულ დავის მოსაწესრიგებლად საქართველოს ცაკის პრეზიდიუმმა დაადგინა დაარსდეს კომისია **ნიკ. ნიკიტინის** (ცაკის წარმომადგენელი, კომისიის თავმჯდომარე), **რომანიშვილის** (მიწად-მოქმედების სახალხო კომისარიატი), გორის და ახალქალაქის სამაზრო აღმასკომის წარმომადგენელთა შემადგენლობით, რომელსაც დაევალა ადგილობრივ შეისწავლოს საქმის ვითარება და თავისი დაწვრილებითი დასკვნა განსახილველად წარმოუდგინოს საქ. ცაკის პრეზიდიუმს.

### გაერთიანებული ბიუჯეტები

საქართველოს ცაკის პრეზიდიუმმა დაადგინა საქართველოს ცაკისა და სახალხო კომისართა საბჭოს ა. წ. იანვრის 25 თარიღისა და № 7 გამოცემულ დადგენილების თანახმად დაარსებულ თელავის, ახალციხის, ახალქალაქის თემსაბჭოებს მასში შემავალ სოფლებით ნება დაერთოთ შეადგინონ გაერთიანებული ბიუჯეტები.

### შეცდომის გასწორება

ჩვენი გაზეთის გუშინდელ ნომერში მოთავსებულ ცნობაში—„სოფ. მალხაზოვკის მცხოვრებთა დასახლება ახალ ადგილზე" მეორე აბზაცში სწერია „...სოფ. მალხაზოვკას მცხოვრებთა თხოვნა შეიტანოს კომისარიატის მიერ შემუშავებულ **გადასახადების გეგმაში**", უნდა იყოს **„გადასახლების გეგმაში"**.

## ცაკის სოციალური უზრუნველყოფის განყოფილება

### პენსიები

სრულიად საქართველოს ცენტრ. აღმასრულებელი კომიტეტის სოც. უზრუნველყოფის განყოფილებამ მიმდინარე თვეში (მაისში) განათლების სახალხო კომისარიატიდან მასზე გადმორიცხულ პირებს—საზოგადო მოღვაწეებს პენსიების სახით მისცა 2.415 მანეთი, ყოფილი სოციალურ უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატის პენსიონერებს (რევოლიუციონერებს, საზოგადო მოღვაწეებს, მეცნიერებს და სხ). დაურიგა 4.000 მანეთი, შრომის, ომის ინვალიდებს და სხვა ნივთიერათ გაჭირვებულ მდგომარეობაში ჩავარდნილ პირებს ამ თვეში დაურიგდა ჩვეულებრივი პენსიების სახით—3.300 მანეთი.

### გლეხკომების მუშაობა

საქ. ცაკის სოც. უზრ. განყოფილებაში მიღებული ცნობით: წინანდალის (კახეთშია) გლეხკომმა ღარიბ გლეხებს უფასოთ მისცა 6.000 ძირი ნამყენი ვაზი, საშუალო შეძლების გლეხებს შეღავათიან ფასებში მისცა—9.000 ნამყენი ვაზი, ადგილობრივ სკოლას შენობისათვის რემონტის გასაკეთებლად დახმარებათ მისცა—300 მანეთი და კოოპერატივს თავისი საქმიანობის გასაძლიერებლათ სესხათ მისცა—2.000 მანეთი.

### პენსიები და დახმარებები

ცაკის სოც. უზრუნველყოფის განყოფილებაში მიღებული ცნობით:—რაჭის სამაზრო აღმასკომის სოც. უზრუნველყოფის განყოფილებამ მიმდინარე წლის უკანასკნელ სამ თვეში თავის საშვალებებიდან პენსიების და დახმარებების სახით ომის და შრომის ინვალიდებს ფულათ მისცა—1.792 მანეთი.

### გლეხკომების პლენუმი

საქართველოს ცაკის სოც. უზრუნველყოფის განყოფილებაში მიღებული ცნობით: დღეს, 15 მაისს, გორში გაიხსნება გორის გლეხთა ურთიერთ დამხმარე საზოგადოებების (გლეხკომების) სამაზრო პლენუმი. პლენუმზე განხილული იქნება ბევრი საყურადღებო საკითხები. გორში გლეხკომების პლენუმის თათბირს თბილისიდან დაესწრება ცაკის სოც უზრუნველყოფის განყოფილების წარმომადგენელი.

### გლეხის სასახლეები და სახალხო სახლები

საქართველოს ცაკის სოც. უზრუნველყოფის განყოფილებაში მიღებული ცნობით: 8 მაისს გურიაში სოფელ **ჩოჩხათში ეგნატე ნინოშვილის** სამშობლო სოფელში დიდი ზეიმით გახსნეს **სახალხო სახლი**. ეხლა საქართველოში ცოტაა დარჩენილი ისეთი ალაგი, სადაც მოწყობილი არ იყოს გლეხის სასახლეები და სახალხო სახლები.

# ფიზკულტურის დღესასწაული

(თათბირი ა.-კ. პროფსაბჭოში)

გუშინ საღამოს ა.-კ. პროფსაბჭოს კულტგანყოფილებაში შესდგა ამიერ-კავკასიის პროფსაბჭოების ფიზკულტურის ბიუროების წარმომადგენელთა თათბირი, რომელმაც განიხილა ამიერ-კავკასიის ფიზკულტურის დღესასწაულის მოწყობის საკითხი.

თათბირმა დაადგინა ამიერ-კავკასიის პირველი საკავშირთაშორისო ფიზკულტურის დღესასწაული ჩატარებული იქნეს სექტემბრის მეორე ნახევარში ბაქოში. დღესასწაულში მონაწილეობას მიიღებენ სამთამადნო, მელითონეთა, მზიძღვითა, გემთ-კავების, აღმშენებელთა, რკინიგზელთა, წყალზე მომუშავეთა, ფეიქართა, საბჭოთა და სავაჭრო მუშაკთა და მიწისმუშათა მუშაკთა კავშირების ფიზკულტურის წრეები.

დღესასწაულის მიზანია ამიერ-კავკასიის ფიზკულტურელების ინტერნაციონალური დაახლოვება, მასალების მიღება ფიზკულტურელების ჯანმრთელობაზე და პროფკავშირების წევრების იმ ნაწილის ჩაბმა ფიზკულტურულ მუშაობაში, რომელიც ჯერ კიდევ არ არის ჩაბმული.

დღესასწაულის მონაწილეთათვის ბაქოში მოწყობილი იქნება კარვები, სადაც ისინი იცხოვრებენ დღესასწაულის განმავლობაში.

თვითეული კავშირიდან დღესასწაულში მონაწილეობას მიიღებს კოლექტივი 15 კაცისაგან, მათ შორის 8 მამაკაცი, 6 ქალი და 1 მსაჯი, კოლექტივი ვალდებულია მონაწილეობა მიიღოს მსუბუქ ატლეტიკაში, თავისუფალ ჭიდაობში და ესტაფეტურ რბენაში.

სხვა დარგებიდან პროფსაბჭოების ბიუროებმა უნდა გამოჰყონ საკავშირთაშორისო კოლექტივები მძიმე ატლეტიკაში, ფეხბურთში, კალათბურთში და წყალის სპორტში.

პროფსაბჭოების ფიზკულტურის ბიუროებმა წინასწარ უნდა ჩაატარონ თავისი შეჯიბრები და საუკეთესო მოთამაშენი გამოყოფილი უნდა იქნენ დღესასწაულზე გასაგზავნად. კოლექტივებში მიღებული უნდა იქნენ ვაჟები 17 წლიდან, ქალები—16 წლიდან. ფიზკულტურის ინსტრუქტორებს მონაწილეობის მიღება დღესასწაულში არ შეუძლიათ.

დღესასწაულის პროგრამაში შეტანილია: მასიური სვლა პლაკატებით, ლოზუნგებით და დროშებით, ველოსიპედისტების და მსუბუქ ატლეტების გადარბენა, მასიური თავისუფალი ვარჯიშობა, კოლექტივების შეჯიბრი მძიმე ატლეტიკაში, სპორტ-თამაშობებში, საესპორტო-გიმნასტიური საღამოები, ცეკვა, სიმღერა და სხვა.

დღესასწაულში საქართველოდან, სომხეთიდან და აზერბეიჯანიდან მონაწილეობას მიიღებს 500-მდე ფიზკულტურელი. დღესასწაული ჩატარებული იქნება ბალახანის სტადიონზე და გასტანს 7 დღე.

## საექსკურსიო თათბირის შედეგები

ამიერ-კავკასიის პროფსაბჭოს კულტგანყოფილების გამგემ **ამხ. პოდოლსკიმ** ეხლახან დამთავრებულ ამიერ-კავკასიის საექსკურსიო თათბირის შედეგების შესახებ განაცხადა შემდეგი.

უნდა აღინიშნოს, რომ თათბირმა ჯამი გაუკეთა პროფსაბჭოების მიერ ჩატარებულ მუშაობას და შეიმუშავა გზები, თუ როგორ უნდა განვითარდეს საექსკურსიო მუშაობა მიმდინარე ზაფხულში.

უმთავრესი მუშაობა აქ ეკისრება საქართველოს პროფსაბჭოს კულტგანყოფილებას, რადგან საქართველოს, კერძოდ თბილისს, აურაცხელი ექსკურსანტები აწყდება ცენტრალურ გუბერნიებიდან. ექსკურსანტების მიღების და გაგზავნის მხრივ წელს მდგომარეობა გაცილებით უკეთესი იქნება, ვიდრე წასულ წლებში.

პოლიტ-განის მთავარ მმართველობასთან დადებულ ხელშეკრულების მიხედვით, წელს ეწყობა საექსკურსიო ბაზები თბილისში—200 კაცისათვის, ბათომში—100 და ბორჯომში—100; ამას გარდა ორი ბაზა ეწყობა ბაქოში, ერთი ქალაქში და მეორე მის რაიონში.

დამყარებულია კონტაქტი რუსეთის გაერთიანებულ საექსკურსიო ბიუროსთან, რომლის მარშრუტებითაც ვისარგებლებთ ექსკურსანტების რუსეთში გაგზავნის დროს.

თათბირმა შეიმუშავა მთელი რიგი პრაქტიკული წინადადებები, რომლებიც რეზოლიუციის სახით დაეგზავნება ადგილებს ცხოვრებაში გასატარებლად.

დასასრულ, უნდა აღინიშნოს, რომ წელს საექსკურსიო მუშაობა ფართოდ იქნება წარმოებული. განზრახულია ექსკურსიებში მეზობელ რესპუბლიკების მუშების ჩაბმა. ექსკურსიები ჩატარებული იქნება ამიერ-კავკასიის ერების სოლიდარობის ლოზუნგის ქვეშ.

# მუშათა ცხოვრება

### რატომაა საჭირო ამერიკული მოძრაობა

ჩვენს სარკინისგზო მეურნეობაში დიდი მიღწევები არის. სწარმოებს ახალ ორთქლმავლების და რონოდების აგება, მაგრამ მიუხედავათ ამისა ირკვევა, რომ რკინის-გზას არ შეუძლია დააკმაყოფილოს ყველა ის მოთხოვნილება, რომელსაც მას უყენებენ ტვირთის გადაზიდვის დარგში.

ამ გარემოებამ გზათა კომისარიატის წინაშე წამოაყენა საკითხი, ორთქლმავლების უკეთ გამოყენების შესახებ. საუკეთესო საშუალებად იქნა ცნობილი — ორთქლმავლების ამერიკული წესით მოძრაობაზე გადაყვანა.

ახალ წესზე გადასვლამ საერთოდ და კერძოდ ა.-კ. რკინისგზებში დიდი მითქმა - მოთქმა გამოიწვია. აღმოჩნდენ როგორც მომხრენი, ისე მოწინააღმდეგენიც.

— რაში მდგომარეობს ახალი წესი?

— საჭიროა იგი ჩვენთვის თუ არა?

ჩვენში, ორთქლმავლების გამოყენების დარგში ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი. ამჟამად არსებული წესი ორთქლმავლების მუშაობისა ისეთია, რომ მანქანა დღე-ღამის განმავლობაში მუშაობს არა უმეტეს 8—10 საათისა. დანარჩენ დროს იგი საყუდში სდგას.

ეს აიხსნება იმით, რომ დღეს ჩვენს გზებზე არსებობს, ორთქლმავლებზე მუდმივი ბრიგადების მუშაობის წესი. ე. ი. მანქანა სრულიად დამოკიდებულია განსაზღვრულ პირთა მუშაობისაგან. ბრიგადების დასვენება იწვევს ორთქლმავლების გაჩერებას.

გამოანგარიშებულია, რომ ასეთ პირობებში, რაც უნდა ნორმალურად არ იყოს დაყენებული საქმე, დღე-ღამეში ორთქლმავალს შეუძლია გაიაროს მხოლოდ 120 კილომეტრი.

ორთქლმავლების გარბენის გადიდების მიზნით, გზათა კომისარიატმა გადასწყვიტა, შემოიღოს ორთქლმავლებზე ბრიგადების მუშაობის ახალი წესი, რომელსაც უწოდებენ შეცვლით, ანუ ამერიკულ წესს.

ეს ახალი წესი მდგომარეობს იმაში, რომ ნაცვლად მუდმივი ბრიგადებისა, ორთქლმავლებზე წესდება ბრიგადების ცვლა.

ამგვარად, დამოკიდებულება ორთქლმავლებისა ბრიგადებთან და პირიქით ისპობა. მუშაობის ასეთ პირობებში, ორთქლმავლების დაყენებას იწვევს მხოლოდ მისი საჭირო ტეხნიკური შეკეთება. მათი გაჩერება ბრიგადების დასვენების გამო საჭირო აღარ არის.

პრაქტიკიდან სჩანს, რომ ამერიკული მოძრაობის დროს ორთქლმავალი დღე-ღამეში გადის 150 კილომეტრს; ანუ 25 პროცენტით მეტს, ვინემ ეხლა. ამასთანავე შეიძლება 42 საათის დასვენების გამოყენება ისე, რომ იგი საზარალო არ იყოს არც გზისა და არც ბრიგადებისათვის. ეხლა კი ბრიგადები, ნაცვლად 192 საათისა, თვეში მუშაობენ 130 საათს, რაც საზარალოა გზისთვისაც და ბრიგადებისათვისაც.

ახალი წესი გზისთვის სასარგებლოა დამატებითი შემოსავლის მიღების მხრივაც. ეს იმ მხრივ, რომ ორთქლმავალი დღე-ღამეში გადაიტანს გაცილებით მეტ ტვირთს და გზას ეძლევა სათბობ მასალის 15 პროც. ეკონომია. ამასთანავე შესაძლებელი ხდება ბრიგადების უფრო ეკონომიური და რაციონალური გამოყენება.

ინჟ. ფედოროვის გამოანგარიშებით, ამერიკული წესით მოძრაობის დროს, გზის შემოსავალი მით უფრო მეტია, რაც უფრო დიდია ორთქლმავალის სამუშაო უბანი. თუ უბნის სიგრძე უდრის—125 კილომეტრს შემოსავალი უდრის—11 მ. 09 კაპ., თუ 150 კილომეტრს — 14 მ. 53 კ., თუ 500 კილომეტრს — 49 მ. 13 კ. და ასე შემდეგ.

ახალი წესის ფართოდ გამოყენება ნაწილობრივ სწყვეტს ორთქლმავლების ნაკლებობის საკითხს.

მიუხედავათ აშ დადებითი მხარეების ახალ სისტემას აქვს თავისი უარყოფითი მხარეებიც.

ახალი წესის გამოყენება, მოითხოვს გადაზიდვათა გარკვეულ ინტენსივობას. თუ მოძრაობაში გაშვებულ იქნა 5—6 წყვილ მატარებელზე ნაკლები დღე-ღამეში, თვალსაჩინო შედეგის მიღება არ არის მოსალოდნელი, რადგან სუსტი მოძრაობის დროს მოსალოდნელია ორთქლმავლების გაჩერება, არა მარტო ტეხნიკური მიზეზების გამო, არამედ იმითაც, რომ ისინი უზრუნველყოფილნი იქნებიან მატარებლებით.

აღსანიშნავია აგრეთვე, რომ ამერიკული მოძრაობა იწვევს ორთქლმავლების მდგომარეობის გაუარესებას, რადგან მათ აღარ ეყოლებათ მუდმივი მეთვალყურე და მომვლელი — მუდმივი ბრიგადების სახით.

ამ მდგომარეობის თავიდან ასაცილებლად უკვე შემუშავებულია მთელი რიგი ღონისძიებები. ორთქლმავლებს ბრიგადებისაგან მიიღებენ სპეციალურად დანიშნული პირები, განსაკუთრებით კვალიფიციური მემანქანეები, მათი დასკვნის თანახმად მანქანებს გაუკეთდებათ საჭირო რემონტი.

უნდა ვსთქვათ, რომ ორთქლმავლების დაცვაში უდიდესი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ რამდენად კეთილსინდისიერად მოეპყრობა ბრიგადა მანქანებს. ამ მხრივ პროფორგანიზაციებს დიდი მუშაობის ჩატარება ესაჭიროებათ.

არ უნდა დავივიწყოთ ჩვენს რკინისგზელებს (განსაკუთრებით მათ, ვინც სკეპტიკურად უყურებს ამერიკული წესით მოძრაობაზე გადასვლას), რომ იგი ნაკარნახევია თვით ჩვენი ეკონომიური და სამეურნეო ცხოვრების პირობების მიერ და მისი გატარება აუცილებელია. ამის წინააღმდეგ რაიმეს თქმა შეუძლებელია.

ეს აზრი გაატარა თავის სიტყვაში ამხ. რუძუტაკმაც ა.-კ. რკ. გზ. გამგეობის სხდომაზე. იგი უფრო შორს წავიდა იმ საკითხში, რომელიც შეეხება რკ. გზის ტრანსპორტისადმი სახალხო მეურნეობის მიერ წაყენებულ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას, გადაზიდვის საქმეში. მან მოითხოვა მატარებლების წონისა და სიგრძის გადიდება.

როდესაც ასე სერიოზულად სდგას საკითხი, ჩვენ ვფიქრობთ, რომ რკინისგზელები ახალი სისტემით მოძრაობის შემოღებას, რომელიც სარგებლიანობის მეტს არას გვიქადის, შეგნებულად შეხვდებიან, უარჰყოფენ იმ შეხედულებას, რომელსაც ღრმად გაუდგამს ფესვები მათ შეგნებაში და ხალხის ქონებას (ორთქლმავლებს ვგულისხმობთ), რომელიც აწი გადავა ხელიდან ხელში. ისევე მოეპყრობიან, როგორც ეპყრობოდენ აქამდე.

ტონი.

### აირია დავთრები

(„უქსის" ბუხჰალტერია)

რამოდენიმე ხნის, წინად აღმასკომის მიერ გაიცა განკარგულება. რომლითაც ვაჭრები ვალდებულნი არიან ქირის ქვითარები გაატარონ რეგისტრაციაში უბნებში. ბუღალტერიას კი დაევალა სისტემატიურად აგზავნოს უბანში იმ მოიჯარადრეების სიები, რომლებმაც შეიტანეს სალაროში ქირები. ასეთი განკარგულებით უბანში მუშაობა ერთის მხრივ გამოკეთდა, მაგრამ მეორე მხრივ გაუარესდა. ამის მიზეზი აღმასკომის განკარგულება კი არ არის, არამედ „უქსის" ბუღალტერიის უთავბოლო მუშაობა. ბუღალტერია თავის დროზე არ აგზავნის სიებს უბანში. გარდა ამისა, ბუღალტერია ხშირად დარაბის ნომრებსაც სისწორით არ აღნიშნავს ქვითარებში.

ეს გარემოება ხელს უშლის უბნის კანტროლიორების წესიერ მუშაობას.

ნელი.

### სად უნდა გაიყვანონ წყალი პირველ რიგში

(კომუნალური სექციის საყურადღებოდ)

ლენინის უბანში, მეორე და მესამე ნაზარეთის და 1—2 და მესამე ტყე-კულტურის ქუჩებს ეწვია ამ დღეებში კომუნალური სექციის კომისია. ამ კომისიამ უნდა გამოიკვლიოს, რომელ ქუჩაზეა საჭირო წყლის გაყვანა პირველ რიგში. ბევრი ქუჩებია უწყლოდ ამ უბანში, მაგრამ არა გვგონია, რომ ნაზარეთის და ტყე-კულტურის ქუჩებზე უარეს მდგომარეობაში იყოს სხვა რომელიმე ქუჩა. რამოდენიმე ასი მცხოვრები ზემოდ დასახელებულ ქუჩაზე წვალობს 8—10 წელიწადია უწყლობის გამო. უწყლობას აქ ზედერთვის უგზობაც. სხვა ქუჩებზე კი წყალი თუ არ არის, გზა მაინც არის რიგიანი. მეორე და მესამე ტყე-კულტურის ქუჩებს უნდა მიეცეს წყალი პირველ რიგში. საჭიროა აგრეთვე ქუჩების შეკეთებაც. ამას მოითხოვს სამართლიანობა.

მუშკორი სიმართლის მთქმელი.

### სახლი ინგრევა

ჭავჭავაძის ქუჩაზე № 20 ეკუთვნის ვინმე მიძეს. სახლი თანდათან ინგრევა. ბოლო ხანებში სახლის პატრონმა სახურავიც გადააძრო მას და ამ რიგათ, მომავალში ის კიდევ უფრო მეტად დაინგრევა. სახლის პატრონის ეს ოინები გასაგებია: მას სურს განდევნოს ბინიდან საბჭოთა მოსამსახურეები და ამისათვის არაფერს ერიდება. სახლის კედლები დარწეულია. თუ დროზე არ იქნა მიღებული ზომები მოსალოდნელია უბედური შემთხვევა.

რამოდენიმეჯერ იყო დანიშნული კომისია ამ სახლის დასათვალიერებლად; მაგრამ შედეგი არ სჩანს.

აღმასკომმა უნდა გადასცეს ეს სახლი საბინაო ამხანაგობას, წინააღმდეგ შემთხვევაში ის სრულებით განადგურდება. სახლს იმდენი შემოსავალი აქვს, რომ მისი მოვლა ჩინებულად შეიძლება.

მდგმური.

### პასუხი დაგვიანდა

ორთაჭალის რაიონში არის მუშკოოპი. ეს ერთად ერთი კოოპერატიული დაწესებულებაა ამ რაიონში, სადაც მუშებს შეუძლიათ შეღავათიან ფასებში იყიდონ ყოველდღიური საჭიროების საგნები, სამწუხაროდ ეს მუშკოოპი კვირა-უქმე დღეებში დაკეტილია, რის გამო მუშა მოსამსახურენი იძულებულნი ხდებიან სანოვაგის და სხვა ასეთის საყიდლად მიმართონ კერძო ვაჭრებს. დიდი ხანია ამ რაიონის მუშათა ორგანიზაციებმა დაადგინეს, რომ მუშკოოპი კვირა-უქმეობითაც ღია იყოს, მაგრამ მუშკოოპი რატომღაც აგვიანებს პასუხს.

მუშკორი ნაპერწკალი.

### საყურადღებო წვრილმანი

— **დაუკლეთ ფასები.** სახ. უნივერსიტეტში არის სახელგამის კიოსკი, სადაც წიგნები იყიდება ძველ ფასებში. აქაც უნდა დაუკლოს სახელგამმა ფასები წიგნებზე.

მუშკორი გოგებაშვილი.

— **დაიცავით დისციპლინა.** თბილისის საყუდის და სარონდო ფარეხის ადგილკომის სადელეგატო კრებაზე ხშირად არ ესწრებიან სხდომებს, ზოგი კი იგვიანებს.

ამ მოვლენას ბოლო უნდა მოეღოს.

„სლედოტიპი".

— **გაიყვანეთ კანალიზაცია.** სამოვოლნაია ქუჩაზე (კოოპერატივის შემდეგ) კანალიზაცია არ არის გაყვანილი, რის გამო მცხოვრებლები აუტანელ მდგომარეობაში არიან.

ნ. ას-ლი.

— **შეაგნებინეთ დისციპლინა.** რკ. გზ. მთავარ სახელოსნოს სამჭედლო საამქროს მეტაბელეები სამსახურის დროს კერძო საქმეებს ანდომებენ.

იქაური.

### მუშათა ქრონიკა

— **რევიზია.** თბილისის უბნის ადგილკომების და კლუბების სარევიზიო კომისიების თათბირმა დაადგინა თვეში ერთხელ მოხდეს ადგილკომის და კლუბების მუშაობის რევიზია, რომლის ანგარიში გაკეთებულ იქნეს საერთო და სადელეგატო კრებაზე.

— **თანხის გაღება.** სადგ. საგარეჯოს ადგილკომმა სთხოვა უბკავშირს გაიღოს თანხა რადიო-აპარატის შესაძენად.

— **4210 კლ. წევრი.** თბილისის უბანში ითვლება 4210 კლ. წევრი.

— **კოლეგია.** საუბნო კომიტეტთან დაარსდა მუშათა კლუბების რეპერტუარების შემმუშავებელი კოლეგია.

— **„არაზინდო"-ში საფოსტო განყოფილების გახსნა.** ამ დღეებში სანატორიუმ „არაზინდო"-ში გაიხსნება საფოსტო განყოფილება, რომელიც აწარმოებს ყოველგვარ საფოსტო ოპერაციებს.

— **სექციის დაარსება.** საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს პრეზიდიუმმა მიზანშეწონილად სცნო ა. კ. შრომის სახალხო კომისარიატთან უმუშევარ მასწავლებლებისათვის დამოუკიდებელ სექციის დაარსება.

— **მოჯამაგირეთა კონფერენცია.** სასოფლო-მეურნეობის და ტყის მუშაკთა კავშ. ც. გ. სასურველად სცნო 25 მაისამდე მოიწვიოს ახალგაზრდა მოჯამაგირეთა სათემო კონფერენციები თბილისის მაზრაში.

# წითელ ჯარში

### 1904 წელში დაბადებულთა გაწვევა ჯარში

მიმდინარე წლის 18 მაისიდან დაიწყება 1904 წელში დაბადებულ ახალგაზრდების გაწვევა წითელი ჯარის ტერიტორიალურ ნაწილებში.

კანონის თანახმად, გაწვევის პირველ წელს ახალწვეულებმა უნდა დაჰყონ ყაზარმაში სამი თვე, რის შემდეგ ისინი გაშვებული იქნებიან შვებულებაში მორიგ შეკრებამდე.

ახალწვეულთა მომზადებას დიდი მნიშვნელობა აქვს ტერიტორიალურ ნაწილებისათვის მათი ბრძოლის უნარიანობის განმტკიცების მხრივ, მაშინ, როდესაც საკადრო ნაწილებში 1904 წელში დაბადებულნი მეცადინეობენ უკვე ნახევარ წელიწადზე მეტი. ტერიტორიალური ნაწილები მხოლოდ ეხლა იწყებენ ახალწვეულთა მზადებას. ეს გარემოება გათვალისწინებულ უნდა იქნეს ყველა ახალწვეულის მიერ.

სამი თვის განმავლობაში ტერიტორიალურ ნაწილების ცვალებადელებმა უნდა შეითვისონ მრავალი საგანი სამხედრო და პოლიტიკურ დარგში. ამ ხანში ახალწვეულნი კარგათ უნდა გაიწვრთნან რომ შეეძლოთ თავისუფალი მოქმედება ბრძოლის დროს, სამ თვეში მათ უნდა მოასწრონ ყველა იმ საგნების გავლა, რომელნიც უკვე გავლილია კადრის ნაწილების წითელარმიელთა მიერ საზამთრო პერიოდის განმავლობაში.

სამოსწავლო შეკრების წარმატებით ჩატარება დამოკიდებულია თვით ახალწვეულებზე, იმაზე, თუ რამდენათ შეგნებულათ მოეკიდებიან ისინი სწავლების საქმეს.

ყველა ახალწვეულმა უნდა იცოდეს, რომ იგი მიდის სავალდებულო სამხედრო სამსახურის მოსახდელათ და არავითარ შემთხვევაში არ იქნება განთავისუფლებული სამსახურის მოხდისაგან.

ვინაიდან მზადების დრო ძალიან მცირეა და გასავლელი პროგრამა, როგორც სამხედრო, ისე პოლიტიკურ დარგში რთულია და ვრცელი, საჭიროა რომ ყველა ახალგაზრდები, რომელთაც ეხებათ გაწვევა, დროზე და დაუგვიანებლივ გამოცხადდენ ნაწილებში. მათი დაგვიანება შეაფერხებს სწავლების საქმეს, რაც ზიანს მოაყენებს მზადებას.

მზადების წარმატებით მსვლელობას ხელს შეუწყობს ახალწვეულთა მიერ სწავლების წესის და პროგრამის წინასწარი გაცნობა. ამისათვის მათ უნდა დაიჭირონ კავშირი ახლო მდგომ ტერიტორიალურ ნაწილის ერთეულთან და სამხედრო კუთხესთან, საიდანაც მიიღებენ საჭირო ცნობებს და მასალებს.

რ. ვ.

# თბ. საბჭოს გაფართოებული პლენუმი

გუშინ, საღამოს, რუსთაველის თეატრში შესდგა თბილისის საბჭოს გაფართოებული პლენუმი, საფაბრიკო - საქარხნო და წითელარმიელთა წარმომადგენლების მონაწილეობით.

## საკავშირო საბჭოთა ყრილობის შედეგები

(ამხ. მიხ. კახიანის მოხსენება)

სრ. საკავშირო საბჭოთა მეოთხე ყრილობის შედეგების შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. მ. კახიანმა. მოხსენების სტენოგრაფიული ანგარიში მოთავსებული იქნება ჩვენი გაზეთის უახლოეს ნომერში.

მოხსენების შემდეგ სიტყვები წარმოსთქვეს სხვადასხვა რაიონის მუშათა ორგანიზაციების წარმომადგენლებმა—ამხანაგებმა ორლოვმა, აზრუმელაშვილმა, ჯიოევმა, ვართანოვმა, ნასარიძემ, სპირიგიანის ქალმა, რომელთაც თბილისის პროლეტარიატის სახელით გამოსთქვეს ღრმა აღშფოთება ინგლისის მთავრობის მიერ საბჭოთა სავაჭრო წარმომადგენლობაზე მოწყობილ პროვოკაციულ თავდასხმის გამო.

სიტყვების დამთავრების შემდეგ პლენუმმა მიიღო შემდეგი რეზოლიუცია:

### რეზოლიუცია ამხ. კახიანის მოხსენების გამო

მოისმინა რა ამხ. კახიანის მოხსენება ს. ს. რ. კ—ის საბჭოთა მე-4 ყრილობის შედეგების შესახებ, თბილისის საბჭოს პლენუმი სავსებით უერთდება ამ ყრილობის გადაწყვეტილებებს.

პლენუმი აღნიშნავს საბჭოთა კავშირის საერთაშორისო მდგომარეობის განმტკიცებას, რაც არის საბჭოთა მთავრობის მიერ სამშვიდობო პოლიტიკის გატარების და სხვა ქვეყნებთან სავაჭრო დამოკიდებულების მოსაწესრიგებლად წარმოებულ მუშაობის შედეგი.

ამასთან ერთად პლენუმი აღნიშნავს, ანტისაბჭოთა ხასიათის გამოსვლების გახშირებას მთელ რიგ კაპიტალისტურ ქვეყნებში, რომელთაც მეთაურობს ინგლისი იმ მიზნით, რომ ასეთი პროვოკაციით ჩაითრიონ საბჭოთა კავშირი ომში და დაარღვიონ მშვიდობიანი ურთიერთობა.

თავდასხმა საბჭოთა წარმომადგენლობაზე პეკინსა და შანხაიში და უკანასკნელი თავდასხმა სავაჭრო წარმომადგენლობასა და „არკოს"-ზე ლონდონში წარმოადგენს სერიოზულ საშიშროებას მშვიდობიანობისათვის, არღვევს დიპლომატიურ დამოკიდებულებათა საერთაშორისო წესებს და იწვევს საბჭოთა კავშირის ფართო მშრომელი მასების სასტიკ პროტესტს.

თბილისის საბჭოს პლენუმი, თბილისის მშრომელთა სახელით, უერთებს თავის პროტესტის ხმას საბჭოთა კავშირის მშრომელთა პროტესტს იმ პროვოკაციული გამოსვლების წინააღმდეგ, რომელიც მოაწყო ინგლისის შუბლმაგარ კონსერვატორთა პარტიამ და კონსერვატიულმა მთავრობამ:

ჩვენ ვერ შეგვაცდენს პროვოკაცია: საბჭოთა მთავრობა კიდევ უფრო მტკიცეთ გაატარებს მშვიდობიანობის პოლიტიკას, მაგრამ ჩვენ მოვითხოვთ სათანადო ზომების მიღებას და ინგლისის მთავრობის იმ ჩინოვნიკების ალაგმვას, რომელნიც არღვევენ საბჭოთა კავშირის საერთაშორისო უფლებებს:

თბილისის საბჭოს პლენუმი მიესალმება ეროვნულ-რევოლიუციონურ გამანთავისუფლებელი მოძრაობის ძლევამოსილ მსვლელობას ჩინეთში,

ვერავითარი ღალატი ჩან-კაი-შის და იმპერიალიზმის სხვა აგენტების მხრით, რომელთაც გაყიდეს მუშათა კლასის ინტერესები, ვერ შეასუსტებს ჩინეთის მშრომელ მასების ბრძოლას საერთაშორისო იმპერიალიზმის და მისი აგენტების — ჩან-ძო-ლინის, ჩან-კაი-შის და სხვა მოღალატეთა წინააღმდეგ.

ჟენევაში მოწვეულმა საერთაშორისო ეკონომიურმა კონფერენციამ, რომელსაც პირველად ესწრებიან საბჭოთა კავშირის წარმომადგენლები, უნდა მოამზადოს ნიადაგი საბჭოთა კავშირის და მთელი ქვეყნის კაპიტალისტურ სახელმწიფოებს შორის სავაჭრო - სამეურნეო ურთიერთობის შემდგომი განმტკიცებისათვის, რომ საბჭოთა კავშირის სამეურნეო განვითარება და სოციალისტური მშენებლობა წავიდეს დამოუკიდებელი გზით.

თბილისის საბჭოს პლენუმი აღნიშნავს, რომ ამ უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში, საბჭოთა მესამე ყრილობის შემდეგ, საბჭოთა კავშირის პოლიტიკური და სამეურნეო მდგომარეობა საგრძნობლად განმტკიცდა. მეურნეობის მეტ წილ დარგებში ომის წინადროინდელი ნორმები მიღწეულია ან გადაცილებული. სამეურნეო მშენებლობა ამჟამად გადადის რეკონსტრუქციის ახალ პერიოდში უფრო მაღალ ტეხნიკის საფუძველზე.

საბჭოთა ხელისუფლების მიერ ქვეყნის საინდუსტრიალიზაციოდ წარმოებულ პოლიტიკას უკვე აქვს მნიშვნელოვანი მიღწევები.

ინდუსტრიალიზაციამ უნდა შეამციროს ჩვენი ქვეყნის განვითარების დამოკიდებულება კაპიტალისტურ სახელმწიფოებისაგან და უნდა გახდეს საბჭოთა კავშირის მეურნეობის შემდგომი გაშლის ძლიერ ბერკეტად.

სამრეწველო საქონელზე ფასების დაკლებამ, როგორც საბჭოთა ხელისუფლების მიერ წამოყენებულმა ერთ-ერთ მთავარმა ამოცანამ მიმდინარე პერიოდისათვის, ხელი უნდა შეუწყოს მუშათა კლასის და გლეხობის კავშირის განმტკიცებას და საბჭოთა კავშირის მშრომელი მასსების ნივთიერი მდგომარეობის შემდგომ გაუმჯობესებას.

სახალხო მეურნეობის საერთო აღორძინებასა და მთელი საბჭოთა კავშირის ინდუსტრიალიზაციასთან ერთად, თბილისის საბჭოს პლენუმი აღნიშნავს დიდ მიღწევებს საბჭოთა საქართველოს სამეურნეო მშენებლობის და ინდუსტრიალიზაციის საქმეში.

საქართველოს მუშათა კლასი ფართო გლეხურ მასსებთან და მშრომელ ინტელიგენციასთან გაერთიანებული, შეუჩერებლად მიაბიჯებს წინ სოციალიზმისაკენ, მიუხედავათ იმისა, რომ თეთრი ემიგრაცია ქართველ მენშევიკების მეთაურობით ყოველ მხრივ სცდილობს შეაფერხოს ჩვენი ქვეყნის სოციალისტური მშენებლობა.

თბილისის საბჭოს პლენუმი, უერთდება რა საბჭოთა ყრილობის გადაწყვეტილებებს, მოუწოდებს მშრომელ მასსებს პრაქტიკულად განახორციელონ ყრილობის დადგენილებები და განაგრძონ ბრძოლა საბჭოთა კავშირის შემდგომ განმტკიცებისათვის.

### ტრამვაის ტარიფის შემცირება

დასასრულ, ამხ. ფარნიევის მოხსენების მიხედვით თბილისის საბჭოს პლენუმმა დაამტკიცა კომუნალური სექციის დადგენილება ტრამვაის ტარიფის შემცირების შესახებ. ამ დადგენილების თანახმად ტრამვაის ტარიფი მცირდება შემდეგნაირად: სააბონემენტო თვიურ წიგნაკებზე 1 მან. 50 კაპიკის ნაცვლად წესდება 1 მან. 20 კაპიკი, წლიურ სახელობით წიგნაკებზე 220 მანეთის ნაცვლად—120 მანეთი, წლიურ უსახელო წიგნაკებზე — 440 მანეთის ნაცვლად—180 მანეთი. მე-3, მე-4, მე-11, მე-12 და მე-16 მარშრუტებზე 15 კაპიკის მაგივრად დაწესებულია 10 კაპიკი.

გარდა ამისა, დაწესებულია წითელარმიელებისათვის 5 კაპიკიანი სამგზავრო ტარიფი გასავლელი მანძილის მიუხედავათ. დადგენილებით შეღავათიანი ბილეთები ეძლევათ აგრეთვე მუშებს ღამის სამუშაოებზე წასასვლელად და იქიდან დასაბრუნებლად.

ტრამვაის ტარიფის შესახებ დადგენილების დამტკიცების შემდეგ თბილისის საბჭოს პლენუმი დაიხურა.

# 14 მაისის მიწის ძვრა

(საუბარი ე. ბიუსთან)

14 მაისს ღამის მომხდარ მიწის ძვრის გამო ჩვენმა თანამშრომელმა გუშინ ინახულა საქართველოს გეოფიზიკური ობსერვატორიის სეისმიური განყოფილების უფროსი ე. ი. ბიუსი; რომელმაც საუბარში განაცხადა:

როგორც აღნიშნული იყო, გაზეთებში ამ მიწის ძვრას კატასტროფიული ხასიათი არ ჰქონებია. მისი კერა იმყოფება თბილისიდან 70-100 კილომეტრის მანძილზე. მიწის ძვრის კერის მდებარეობის გარკვევით დასახელება შეუძლებელია, რადგან ჯერ ჩვენ არა გვაქვს ცნობები ყველა ადგილებიდან.

ჯერ-ჯერობით მიღებულია ცნობები, რომ მიწის ნიადაგის საგრძნობ შერყევას გარდა თბილისისა ადგილი ჰქონდა სიღნაღში, საგარეჯოში, მუხრანში, ყარაიაში, დილიჟანში და ქარავანსარაიში. გორიდან და ლენინაკანიდან არავითარი ცნობა არ არის. შეიძლება ითქვას, რომ იქ მიწის ძვრა იმდენად უმნიშვნელო იყო, რომ საჭიროდ არ სცნეს ამის შეტყობინება.

საერთოდ, უნდა ითქვას, რომ უკანასკნელი მიწის ძვრა შედარებით სუსტი იყო: მისი სიმძლავრე არ აღემატებოდა 3 ნახ. ბალს.

ჯერ-ჯერობით მიღებულ ცნობების მიხედვით შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ მიწის ძვრის კერა მდებარეობს სამხრეთ-აღმოსავლეთით.

14 მაისს შემდეგ ჩვენი ობსერვატორიის სეისმოგრაფების მიერ მიწის რაიმე რყევა აღნიშნული არ ყოფილა.

### ცნობები ადგილებიდან

**სიღნაღი**, 14 მაისი. ღამის თერთმეტის ნახევარზე ადგილი ჰქონდა საგრძნობ მიწის ძვრას. ისმოდა გუგუნი. ბევრ სახლებში დაზიანდა ჭერი.

**ქარავანსარაი**, 16 მაისი. 14 მაისს ღამის 11 საათზე და 5 წუთზე ადგილი ჰქონდა საგრძნობ მიწის ძვრას.

**დელიჟანი**, 15 მაისი. 14 მაისს ღამის 11 საათზე და 25 წუთზე ადგილი ჰქონდა ნიადაგის შერყევას.

# წყალსადენის მუშაკთა ყრილობა

(წერილი ხარკოვიდან)

7 მაისს ქალ. ხარკოვში გაიხსნა მე-II-რე სრულიათ საკავშირო წყლის სადენ და სანიტარულ - ტეხნიკური ყრილობა. ყრილობას ესწრება 400-დე დელეგატი, თითქმის ყველა საბჭოთა კუთხეებიდან და აგრეთვე წარმომადგენელნი გერმანიიდან, ოსმალეთიდან და სხვა. საქართველოდან ყრილობის დელეგატებათ ჩამოვიდა 5 კაცი, მათ შორის: ინჟ. დიასამიძე, ინჟ. ქურდიანი, ინჟ. აგარონოვი, ექ. წერეთელი და ექ. მგელაძე.

ყრილობა გაიხსნა უნივერსიტეტის საზეიმო დარბაზში. საქმიან პრეზიდიუმში საქართველოდან არჩეულია ინჟ. დიასამიძე.

უკრაინის მთავრობის სახელით ყრილობას მიესალმა უკრაინის მთავრობის თავმჯდომარე ამხ. ჩუბარი. ჩვენ არ გვრცხვენია აშკარათ ვაღიაროთ, სთქვა სხვათაშორის ამხ. ჩუბარმა ჩვენ, რომ ჩამორჩენილი ვართ დასავლეთ ევროპას სანიტარულ - ტეხნიკური კეთილმოწყობის მხრით. მაგრამ ისიც უდაოა, რომ საფუძველი შემდგომი ნაყოფიერი მუშაობისათვის. ძალიან მტკიცეთ არის ჩაყრილი.

განსაკუთრებული ყურადღება ამ ყრილობამ უნდა მიაქციოს ქვანახშირის მაღაროებს. „დონეცკი ბასეინს". დონბასსში ამჟამად საწვავ მასალის ამოღებამ მიაღწია თითქმის მილიარდ ნახევარ ფუთს. დონბასს ესაჭიროება შესაფერი პირობების შექმნა ამ საწვავ მასალის მიღებისათვის. მას ესაჭიროება პირველ ყოვლისა საღი წყალი. სხვათა შორის ამ მიზნითაც წყლის სადენ და სანიტ-ტეხნიკურ ყრილობას ჩვენ ვაძლევთ მეტათ დიდ მნიშვნელობას. თქვენი ყრილობის შემადგენლობა შეიცავს წარმომადგენლებს ტეხნიკისა, მედიცინისა და საზოგადო მოღვაწეობის ასპარეზისას. ეს არის სწორეთ იმის მომასწავებელი, რომ ყველა საკითხები, რომელიც კი ყრილობის წინაშე სდგას იქნებიან ყოველმხრივ გაშუქებული და შესწავლილი.

ამხ. ჩუბარის შემდეგ ყრილობას მიესალმა მთელი რიგი ამხანაგებისა სხვადასხვა სახელმწიფო და საზოგადო დაწესებულებების სახელით. მათ შორის: უკრაინის ჯანმრთელობის სახალხო კომისარი ამხ. ეფიმოვი, უკრ. აღმასკომიდან პახომი და მრავალი სხვა. მიღებულია მრავალი მისალმების დეპეშები თითქმის ყოველ მხრიდან.

დღეს ყრილობა გადადის საქმიან მუშაობაზე.

ოსმალეთის წარმომადგენელმა სთქვა: „ჩვენ, როგორც მოკავშირე თქვენი სახელმწიფოსი, დიდის ინტერესით ვესწრებით ამ ყრილობას და გვსურს ბევრი რამ ვისწავლოთ თქვენგან"-ო. (ყრილობა ტაშის ცემით შეხვდა ამ განცხადებას). ყრილობის მუშაობა ალბათ რამდენიმე დღე გასტანს.

ექ. ლ. წერეთელი.

ხარკოვი, 9 მაისი.

# ამხ. სანდრო პაპინაშვილი

13 მაისს, დილის ორხ საათზე ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ძველი მუშა ამხ. სანდრო პაპინაშვილი.

ამხ. სანდრო დაიბადა 1878 წელს სოფელ ყარაღაჯში (გორის მაზრა). იგი იყო უღარიბესი გლეხის შვილი და აღიზარდა ისე, რომ მას სწავლა არ მიუღია. სანდრომ თვით შეისწავლა წერა კითხვა—როგორც ქართული, ისე რუსული.

ამხ. სანდრო 1903 წლიდან გახდა რკინის გზელთა ოჯახის წევრი და მსახურობდა სადგ. თბილისის მოძრაობის დარგში მემუხრუჭეთ 24 წლის განმავლობაში. 1926 წლიდან ის გადაყვანილ იქნა წევის დარგში რონოდების გამცილებლად. ამხ. სანდრო მუდამ პირნათლად ასრულებდა მასზე დაკისრებულ მოვალეობას. მას აინტერესებდა რკინის-გზის აღორძინება და საერთო აღმშენებლობა. ის მონაწილეობდა აგრეთვე საზოგადოებრივ ორგანიზაციებშიც.

რკინის გზის კავშირმა დაჰკარგა ერთი საუკეთესო ჯერ ისევ ჯანღონის სავსე დაუღალავი მუშაკი. მშვიდობით ძვირფასო სანდრო, შენი სახელი და ხსოვნა მუდამ დაუვიწყარი იქნება ჩვენი ამხანაგების გულში.

ამხანაგების მონდობილობით **ივანე ნაზარბეგოვი**.

### ამხ. სანდრო

გარდაიცვალა ამხ. სანდრო. სოფელ ყარაღაჯის გლეხები მწუხარებით შეხვდენ ამ ამბავს. ამხ. სანდრო ჩვენი სოფლის ღარიბი გლეხის შვილი იყო. ის რკინის გზაზე მუშაობდა, მაგრამ ჩვენ სოფელთან კავშირი არ შეუწყვეტია. ხშირად გვარიგებდა ხოლმე, გვშველოდა სასოფლო საქმეებში და ამის გამო ჩვენს შორის სიყვარული და ნდობა დაიმსახურა. ამხ. სანდროს სახით ჩვენმა სოფელმა დაჰკარგა ერთი ერთი ერთგული მეგობარი და მოჭირნახულე.

განისვენე ამხ. სანდრო. შენი სოფლებში დაუვიწყარი იქნება შენი ხსოვნა.

ე. ბერიაშვილი.

# პედაგოგიურ ინსტიტუტში

## პედაგ. პრაქტიკუმის საანგარიშო კონფერენცია

### მოხსენებები სოფლის ახალ. სკოლების შესახებ

**სტ. ვ. ნინუა.** (სიღნაღის მაზრა), ბოდბის ხევის ახალგაზრდობის სკოლაში (ბოდბის ხევში სოფლის ახალგაზრდობის სკოლა დაარსდა გასულ წელში), არის მხოლოდ ერთი ჯგუფი 31-ი მოწაფით. მცხოვრებლები უმთავრესად მისდევენ მევენახეობას და მემინდვრეობას. სკოლასაც უმთავრესად მეურნეობის ამ დარგში უხდება მუშაობა. მას დამუშავებული აქვს ორ დესეტინამდე მიწა, რომელიც დანაწილებულია საცდელ და საჩვენებელ ნაკვეთებად. სკოლაში არსებობს სამი სექცია: სანიტარული, სასოფლო სამეურნეო და კულტურულ - განმანათლებელი. სკოლასთან მოწყობილია საღამოს კურსები გლეხობისათვის, სადაც ტარდება საუბრები სამეურნეო - აგრონომიული საკითხებზე. უშვებენ კედლის გაზეთს.

**სტ. ნ. გოთუა.** (ტიბანის გლ. ახ. სკოლა) ტიბანის სკოლა გახსნილია 1925 წ. ნოემბერში. სკოლა ეწევა პრაქტიკული მუშაობას აგრონომია - ბუნებისმეტყველებაში, გამოყოფილ ნაკვეთებზე, ბავშვები აკვირდებიან ამა თუ იმ კულტურის განვითარებას და სწავლობენ იმ მეურნეობას, რომელიც გავრცელებულია ამ რაიონში. ასეთია: მემინდვრეობა, მებოსტნეობა, მევენახეობა და მესაქონლეობა. სკოლაში მიღებული ცოდნის განსამტკიცებლად ბავშვებს სახლში გამოყოფილი აქვთ ნაკვეთები, სადაც გაუმჯობესებული წესით აწარმოებენ კულტურების დამუშავებას. სკოლაში არსებობს ორი სექცია: საზოგადოებრივი მუშაობის და აგრონომიული. პირველის მიზანს შეადგენს— სასოფლო მეურნეობის [illegible] ექსკურსიების მოწყობა კოოპერატივში, აღმასკომში, ქოხ - სამკითხველოებში, დღესასწაულების ჩატარება, კედლის გაზეთის გამოშვება და სხვ. მოხსენებების გაკეთება და სხვა. აგრონომიული სექცია ეწევა აგრო-პროპაგანდას გლეხობაში. დამოკიდებულება მოსახლეობასთან კარგია.

**სტ. კუჭავა** (ლანჩხუთის სოფლის ახალგაზრდობის სკოლა). სკოლა დაარსდა 1924 წ. პედაგოგიური პერსონალის ენერგიული მუშაობით. დღეს ეს სკოლა ერთი თვალსაჩინო ორგანიზაციაა, რომელიც ხელს უწყობს სოფლის მეურნეობის განვითარებას. მასწავლებლობა მოწაფეებთან ერთად ეწევა ფართო კულტურულ განმანათლებელ და აღმშენებლობითი მუშაობას. მოსახლეობა დიდი დაინტერესებულია სკოლის სვე - ბედით და უწევს სკოლას ნივთიერ დახმარებას. სკოლაში შემოღებულია სექციური მუშაობა.

სკოლას აქვს საცდელ - საჩვენებელი მინდორი, სადაც სწარმოებს პრაქტიკული ცდები. სკოლას აქვს საკუთარი ცოცხალი და მკვდარი ინვენტარი მამულების დასამუშავებლად. ღარიბია სკოლის ბიბლიოთეკა.

გამოდის კედლის გაზეთი, რომელსაც სკოლისათვის შესაფერი კვალი დაუმჩნევია. სკოლაში არსებობს სასკოლო კოოპერატივი.

### მეოთხე დღე

მოხსენებათა დამთავრების შემდეგ დაიწყო კამათი პრაქტიკანტების მოხსენებების გარშემო. კამათში მონაწილეობა მიიღეს სტუდენტებმა. უმთავრესად საკამათო საგანს წარმოადგენდა სოფლის ახალგაზრდობის სკოლაში საერთო საცხოვრებლის მოწყობა. სკოლაში მოწაფეების და ხელმძღვანელთა დიდი დატვირთვა, თემატიური მუშაობა და საგნები, სოფლის ახალგაზრდობის სკოლის დიდი (გადაჭარბებული) განხრა აგრონომიაში და სხვა.

საკითხების გასარკვევად სიტყვები წარმოსთქვეს განათლების კომისარიატის სოფლის ახალგაზრ. სკოლების ქვე-განყოფილების გამგემ ამხ. **დ. გურგენიძემ** და ამხ. **შ. სიხარულიძემ**.

კამათის დასასრულ სიტყვა წარმოსთქვა

### ამხ. მარიამ ორახელაშვილი

პრაქტიკანტებმა ბევრი საჭირბოროტო, გადაუწყვეტი და დასამუშავებელი საკითხები წამოგვიყენეს—განაცხადა ამხ. მ. ორახელაშვილმა სოფლის ახალგაზრდობის სკოლა—პოლიტექნიკური (ყოველმხრივი განვითარების მიმცემი) უნდა იყოს. აქედან აშკარაა, რას უნდა მიექცეს ყურადღება სკოლაში. ის შეისწავლის სოფლის ცხოვრების ყოველ დარგს, მაგრამ მეურნეობის დარგებიდან უმთავრეს ყურადღებას მიაქცევს მოცემულ რაიონში გაბატონებულ დარგს.

ეხება რა საკითხს სოფ. ახ. სკოლის მასწავლებლების შესახებ, ორატორი ამბობს: თუმცა ამ სკოლებში გვყავს 80 პროცენტამდე უმაღლესი ცენზის მასწავლებლობა, მაგრამ 70 პროც. მათგანი არაპედაგოგია. პირველ ხანაში ეს აუცილებელი იყო. ეხლა კი ჩვენ უნდა მოვამზადოთ კარგი ბუნებისმეტყველი პედაგოგები. აქ იყო შეკითხვები, როგორი ადგილი უკავია სოფლის ახალგაზრდობის სკოლის განათლების სისტემაში, სად შეიძლება განაგრძოს სწავლა კურსდამთავრებულმა? კურსდამთავრებულ შეუძლია სწავლა განაგრძოს 9 წლედში, სპეციალურ ტეხნიკუმებში. მაგრამ თუ ის დარჩა სოფელში, მას უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა ყოველგვარი განვითარების. სკოლამ უნდა მოგვცეს კარგი სოფლის მეურნე და საზოგადოებრივი მოღვაწე.

გადადის რა სკოლის ნაკლულოვანებებზე, ორატორი ამბობს: ყველა მოწაფის ნამუშევარს, ნახატი იქნება, დიაგრამა თუ სხვა, ახასიათებს ორთოფეროენება, შაბლონი, არ ჩანს ბავშის დამოუკიდებელი ინიციატივა. კოლექტიურ ერთეულშიც ხომ ხდება შრომის განაწილება; ამ საქმიანობაში აუცილებელია, რომ ახალგაზრდას ჰქონდეს დამოუკიდებელი მუშაობის, ინიციატივის უნარი. დღეს კი სჩანს, რომ სკოლაში მეტია ხელმძღვანელობა, ლექვა, ნაკლებია ბავშვის დამოუკიდებელი შემოქმედება.

სკოლაში დიდი ყურადღება უნდა მიექცეს ჰიგიენა-სანიტარიას. ჩვენ გვინდა არა მარტო ისეთი გლეხი-მეურნის მომზადება, რომელიც თავისი მიწიდან მეტ მოსავალს მიიღებს, არა, ამ გლეხს უნდა ჰქონდეს კულტურული ჩვევები.

ბევრ სტუდენტს აინტერესებს ინსტიტუტ დამთავრებულის ცენზის საკითხი. ყველამ იცით, რომ ინსტიტუტი უმაღლესი პედაგოგიური სასწავლებელია; ის ამზადებს სოფლის ახალგაზრდობის სკოლების და განათლების ინსპექციის მომუშავეებს (ინსტრუქტორებს). თუ ვისმეს მაინც და მაინც სურს მეცნიერული ცოდნის გაღრმავება, იმას საშუალებას არ ვუსპობთ. მხოლოდ უნდა იმსახუროს 3 წელიწადი, ამის შემდეგ ჩვენ მას მივიღებთ პედაგოგიურ ფაკულტ. შესაბამ კურსზე.

სასკოლო განყოფილების და ინსტიტუტის გამგე **გ. გოგუაძე** ჯამს უკეთებს კონფერენციის შედეგებს. ასეთი შემთხვევა, რომ სასწავლებელი შუა წელში სახელმწიფოს თითქმის ყოველ კუთხეში აგზავნიდეს სტუდენტებს პრაქტიკის მისაღებად, პირველია ჩვენს ცხოვრებაში. ერთი თვის პრაქტიკამ დიდი შედეგები გვიჩვენა. ამ ერთი თვის განმავლობაში მოარკვიეში სტუდენტები დაახლოვებულან სკოლასთან, გაუგიათ მისი მუშაობა, გაჟღენთილან შრომის განწყობილებით.

კონფერენციამ მისცა განათლების კომისარიატს მთელი რიგი საკითხებისა სასოფ. ახალგაზრ. სკოლის ცხოვრებიდან, რომლებიც მოითხოვენ გადაწყვეტას.

დასასრულ გ. გოგუაძე ინსტიტუტის სახელით მადლობას უცხადებს განათლების კომისარიატს ჩატარებულ მუშაობისათვის.

# ამიერ-კავკასიის ცაკის პრეზიდიუმში

### დადგენილების გადასინჯვა

ა.-კ. ცაკის პრეზიდიუმმა წინადადება მისცა აზერბეიჯანის ცაკს გადასინჯოს თავისი დადგენილება 1927 წლის ორი მარტის თარიღით საქონლის და ნათესების დაზღვევის გატარების შესახებ აზერბეიჯანში; დადგენილების გადასინჯვა გამოწვეულია იმით, რომ იგი ეწინააღმდეგება დებულების სახელმწიფო დაზღვევის შესახებ.

### ადგილობრივი გადასახადი

ა.-კ. ცაკის პრეზიდიუმმა უარყო ფოსტა-ტელეგრაფის ა.-კ. სამმართველოს შუამდგომლობა იმის შესახებ, რომ ცხენები, რომლებსაც ფოსტასთან ერთად გადაყავთ მგზავრებიც, განთავისუფლებული იქნენ ადგილობრივ გადასახადისაგან.

### გადასახადი სანახაობებზე

ა.-კ. ცაკის პრეზიდიუმმა გააუქმა აზერბეიჯანის ცაკის დადგენილება 1926 წლის 6 ივნისის თარიღით გადასახადის დაწესების შესახებ სანახაობებზე — ლენინის ხსოვნის უკვდავსაყოფად გამოყოფილ ფონდის გასაძლიერებლად; დადგენილების გაუქმება გამოწვეულია იმით, რომ იგი ეწინააღმდეგება საბჭოთა კავშირის და ა.-კ. კონსტიტუციას.

### საადგილ-მამულო კომისია

ა.-კ. ცაკის პრეზიდიუმმა წინადადება მისცა საადგილ-მამულო კომისიას პროექტი დადგენილებისა საადგილ-მამულო კომისიის შესახებ წინასწარ განიხილოს რესპუბლიკების მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატების მონაწილეობით და განსახილველად წარუდგინოს ა.-კ. ცაკის პრეზიდიუმს შემდეგ მორიგ სხდომაზე.

### დახმარება უმწეო ბავშვებს

ა.-კ. ცაკის პრეზიდიუმმა ა.-კავკასიაში შემავალ რესპუბლიკების ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს წინადადება მისცა, რომ ბავშვთა უპატრონობასთან ბრძოლა დაყენებულ იქნეს ფართო საბჭოთა საზოგადოებრივ ნიადაგზე; ამისათვის ბავშვთა უპატრონობასთან ბრძოლის ღონისძიებების გეგმის გამომუშავებაში და ამ ღონისძიებების განხორციელებაში ჩაბმული უნდა იქნენ საბჭოთა საზოგადოებრივი ორგანიზაციები, როგორც სპეციალური ორგანიზაციები, ისე კოოპერაცია, პროფკავშირები, ქალთა ორგანიზაციები და მშრომელთა ფართო ფენები.

გაძლიერებული უნდა იქნეს ბავშვთა ყოფაცხოვრების გამაუმჯობესებელ კომისიის მუშაობა; მათ უნდა მიეცეთ იმდენი უფლებები, რომ შეძლონ ფაქტიური ხელმძღვანელობის გაწევა ბავშვთა უპატრონობასთან ბრძოლისათვის ამა თუ იმ რესპუბლიკის ფარგლებში.

ამავე დროს რესპუბლიკების ცენტრალურ აღმასკომებს წინადადება მიეცა ნება დართონ უმწეო ბავშვთა დამხმარე რესპუბლიკანურ კომისიებს გამოუშვან მარკები ბავშვთა უპატრონობასთან ბრძოლის საქმის სასარგებლოდ.

ვინაიდან დამატებითი გადასახადის შემოღება ღვინოზე მნიშვნელოვნად ვერ გააძლიერებს ბავშვთა უპატრონობასთან ბრძოლის ფონდს, ა.-კ. ცაკის პრეზიდიუმმა დაადგინა ამ საკითხის წინასწარი განხილვა გადაიტანოს ა.-კ. სახალხო კომისართა საბჭოში.

# ქრონიკა

### ამიერ-კავკასიის ცაკის მცირე პრეზიდიუმი

ამიერ-კავკასიის პრეზიდიუმმა თავის უკანასკნელ სხდომაზე ცაკის მცირე პრეზიდიუმში დაამტკიცა: თავმჯდომარეებად ამხ. **მიხა ცხაკაია, კასიანი, და ალამალი - ოღლი**; წევრებად: ა.-კ. ცაკის მდივანი ამხ. **შავერდოვი** და ა.-კ. ცაკის პრეზიდიუმის წევრი ამხ. **ვანო სტურუა**.

ა.-კ. ცაკის პრეზიდიუმის წევრი ამხ. **იაკუბოვი** დამტკიცებული იქნა ა.-კ. ცაკის მცირე პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატად.

### ამხ. შ. ელიავას ჩამოსვლა

გუშინ საღამოს მოსკოვიდან თბილისში ჩამოვიდა საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ამხ. **შ. ელიავა**.

### გერმანიის კონსულის გამგზავრება

გერმანიის გენერალური კონსული თბილისში **გ. პრიუფერი** გაემგზავრა ბაქოში გერმანიის საელჩოს (თეირანში) აღმოსავლეთის განყოფილების გამგის შესახვედრად.

### უმწეო ბავშვთა დამხმარე კომისიის ფონდის გასაძლიერებლად

საქართველოს ცაკთან არსებულ უმწეო ბავშვთა დამხმარე კომისიამ ა. კ. რკინის გზის სამმართველოს მოძრაობის დარგის ადგილკომისაგან მიიღო 50 მანეთი, რომელიც ამხ. ლადო ქავთარაძის კუბოს გვირგვინით შემკობის მაგივრად გადადებულ იქნა უმწეო ბავშვთა დამხმარე კომისიის ფონდის გასაძლიერებლად.

### ვ. ი. ლენინის ნაწერები ეროვნულ ენებზე

ა. კ. ცაკის მცირე პრეზიდიუმმა დაადგინა გამოითხოვოს აზერბეიჯანის, საქართველოს და სომხეთის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებიდან იმ თანხების დახარჯვის ანგარიში, რომელიც მათ მიეცათ 1925 წელში ვ. ი. ლენინის ნაწერების ეროვნულ ენებზე გამოსაცემად. თვითეულ რესპუბლიკას მიცემული ჰქონდათ 15 ათასი მანეთი);

ამხ. ა. შავერდოვს დაევალა გამოარკვიოს იმ თანხების რაოდენობა, რომლებიც მიიღეს ცალკე რესპუბლიკებმა 1924 წელს იმავე მიზნისათვის გადადებულ 45.000 მანეთიდან.

### საჩვენებელი ბრძოლა ხანძართან

დღეს, საღ. 6 საათზე მთავრობის სასახლის ეზოში დანიშნულია ხანძრის ქიმიური საშუალებებით ჩაქრობის საჩვენებელი დემონსტრაცია. ხელოვნურათ გაჩენილ ხანძარს ჩააქრობენ ქიმიური ცეცხლმქრობელი აპარატით.

დემონსტრაციაზე დასასწრებლათ მოწვეული არიან ქიმიური თავდაცვის ხელისშემწყობი საზოგადოების წევრები. საჩვენებელი დემონსტრაციის შემდეგ გაიმართება საზოგადოების ორგანიზაციათა მდივნებისა და თავმჯდომარეების თათბირი.

### საზღვრების მოწესრიგება

ა. კ. ცაკის მცირე პრეზიდიუმმა საქართველოს ცაკს დაავალა გამოჰყოს ორი წარმომადგენელი იმ კომისიაში, რომელმაც უნდა დააწესოს ამიერ-კავკასიის საზღვრები საქართველოსა და ჩეჩენთა ავტონომიურ ოლქს შორის.

### ქალაქის შენობების დაზღვევა

საგეგმო კომისიის დასკვნის თანახმად სახკომსაბჭომ საჭიროთ სცნო განთავისუფლებულ იქნეს შენობების სავალდებულო საგანაკვეთო დაზღვევისაგან ქალაქის მცხოვრებლების ის ნაწილი, რომლებიც იბეგრებიან მხოლოდ სასოფლო - სამეურნეო გადასახადით; ამ მიზნით აღიძრა შუამდგომლობა სათანადო ორგანოების წინაშე.

### ექიმების გადამზადება

თბილისის აღმასკომის ჯანმრთელობის განყოფილების სამკურნალო სექციამ მიზანშეწონილად სცნო ჩაატაროს უბნებში, სამკურნალო დაწესებულებებში და თბ. მაზრაში მომუშავე ექიმთა გადამზადება. საამისოდ მოეწყობა საგანგებო კურსები, რომლის პროგრამის შესადგენად ამორჩეულია სპეციალური კომისია, შემდეგი შემადგენლობით: **ექ. კიკალეიშვილი** (თავმჯდომარე), **ექ. გოცირიძე**, **პროფ. ალადაშვილი**, **ექ. ტერსტეფანოვი**, **ექ. წულუკიძე** და აგრეთვე წარმომადგენლები თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან და რკინის გზის ჯანმრთელობის განყოფილებიდან.

### ჭლექის სამდღიური

ჭლექის სამდღიურის ჩასატარებლად თბილისში არსდება რაიონული კომისიები, სადაც მიმაგრებული არიან ჯანმრთელობის სექციის ბიუროს წევრები, რომლებიც ხელმძღვანელობას გაუწევენ კომისიების მუშაობას.

პირველ რაიონში დანიშნულია ჯანმრთელობის სექციის ბიუროს წევრი ამხ. **ლაშქარიშვილი**, მეორეში ამხ.—**ორმოცაძე**, მესამეში—**მაქსიმოვი**, მე-4-ში—ამხ. **მამერდაშვილი**.

თბილისში და მის მაზრაში ჭლექის სამდღიური ჩატარდება 27, 28 და 29 მაისს.

### დედათა და ბავშვთა დაცვა

თბილისის აღმასკომის ჯანმრთელობის განყოფილების დედათა და ბავშვთა დაცვის ქვე-განყოფილებასთან არსდება განსაკუთრებული საბჭო, რომელშიაც შევლენ: დედათა და ბავშვთა დაცვის ქვე-განყოფილების, ცაკთან არსებულ კომისიის, ბავშვთა მეგობართა საზ-ბის, საქ. კომპარტიის თბ. კომიტეტის, პროფკავშირების და წითელი ჯვრის საზ-ბის, თბ. აღმასკომის განათლების განყოფილების და სხ. ორგანიზაციების წარმომადგენლები.

საბჭოს დანიშნულებაა გააძლიეროს მუშაობა დედათა და ბავშვთა დაცვის საქმეში, გაუწიოს კულტურული ხელმძღვანელობა საბავშვო ბაღებს. ჩააბას ამ საქმეში დაინტერესებული ორგანიზაციები და შექმნას დედათა და ბავშვთა დასაცავად ფონდი და სხ.

### საბრუნავ თანხების გაძლიერება

მიმდინარე წლის მეორე მეოთხედის (კვარტალის) ანგარიშში საქართველოს სას. სამ. ბანკს საბრუნავ თანხების გასაძლიერებლად მიეცა 152,000 მანეთი, აფხაზეთისას—18,000 მან. აზერბეიჯანს—126,000 მანეთი, ნახიჩევანის ბანკს—14,000 მ., სომხეთის ბანკს—80.000 მ., აჭარისტანისას—10.000 მ., ეს თანხები მიეცემა სასოფლო-სამეურნეო კოლექტივებს და გლეხებს მინობრივი სესხის სახით.

### სხვადასხვა

— **გეოლოგიურ ინსტიტუტში.** ოთხშაბათს ხუთ მაისს, საღამოს 6 ნახ. საათზე სახ. უნივერსიტეტის გეოლოგიურ აუდიტორიაში შესდგება საქ. გეოლოგიური ინსტიტუტის საჯარო სხდომა, რომელზედაც ინსტიტუტის გეოლოგი ინჟ. **კ. გაბუნია** წაიკითხავს მოხსენებას: „ჩათახის რაიონის მადნიანი რაიონის კვლევის წინასწარი შედეგები".

# ხელოვნება

## სამუელ ჩავლეიშვილის იუბილე

გუშინ რუსთაველის თეატრში დიდის ზეიმით იქნა გადახდილი სახალხო მომღერლის სამუელ ჩავლეიშვილის იუბილე, რომელმაც მრავალი ხალხი მიიზიდა. იუბილე გაიხსნა კომპოზიტორ კოტე ფოცხვერაშვილის შესავალი სიტყვით.

მოხსენება შეიცვალა მკვირცხლი გურული ჰანგებით და წკრიალა კრიმანჭულით. გურულ-მეგრულ შეერთებულ სახალხო გუნდების მიერ შესრულებულ იქნა ხალხური სიმღერები: „ჩვენ შვიდობა", „ვახტანგურა", „მაყრული", „ხასანბეგურა", „ერეხელი", „მივალ გურიაში" და სხვა, ზოგი ხალხურ მუსიკალურ მეტყველების საგანძურში გამოძებნილი და ზოგიც დამუშავებული იუბილიარის მიერ.

აკადემიური გუნდი და ქართული სამხედრო სკოლის ორკესტრი ასრულებენ ნოტებზე გადაღებულ ამავე ხალხურ ჰანგებს. კომპოზიტორი ფოცხვერაშვილი და ფალიაშვილი, მომღერლები ქუმსიაშვილი, კავსაძე და ქარცივაძე თავის მუსიკალურ ენაზე ულოცავენ იუბილიარს ნახევარ საუკუნის განმავლობაში წარმოებულ სახალხო მოღვაწეობას. იუბილიარის ჩონგურის აკომპანიმენტზე ხალხურ გუნდის ტრიო ასრულებს საოცრად, გურულ ყოფა - ცხოვრების დამახასიათებელ მოტივებს. დასასრულ დამსწრეთა მოთხოვნით იუბილიარის და გურულ გუნდის მიერ სრულდება სახალხო სიმღერა „შავი შაშვი". საღამო იხურება მხურვალე ტაშით და ოვაციებით.

შ—ი.

## ხელოვნების ქრონიკა

◆ **მუშათა კლუბში** მიმდინარე ზაფხულის განმავლობაში კონცერტებს გამართავენ სახელმწიფო მუსიკალური სასწავლებლები.

◆ **ახალი სტუდია.** რუსთაველის თეატრთან დაარსდა სამხატვრო ექსპერიმენტალური სტუდია.

◆ **ქუმსიაშვილის და ვენაძის გამოსათხოვარი საღამო.** მომღერლებ ქუმსიაშვილის და ვენაძის მოსკოვში გამგზავრების გამო, 24 მაისს კონსერვატორიის დარბაზში გაიმართება მათი გამოსათხოვარი კონცერტი-საღამო.

◆ **„ბიზანტიის დედოფალი".** მწერალმა ვასილ ბარნოვმა დასწერა ახალი რომანი: „ბიზანტიის დედოფალი". სიუჟეტი აღებულია ბიზანტიის დაცემის და ბიზანტიასა და საქართველოს ურთიერთობის დროიდან.

◆ **აჭარისტანის (ბათომის) სახელმწიფო აკადემიური დრამის გასტროლები ქუთაისში.** საბოლოოდ გამოირკვა რომ ხსენებული გასტროლები გაიმართება 25 მაისიდან 1 ივნისამდე.

რეპერტუარი: „ამერიკელი ძია"; „იღრიალე ჩინეთო"; ს. ტრეტიაკოვის; „მეფის ტახტი"—ლოტჰარის და „ლევან"—ვ. ყიფიანის. ყველა დადგმებისათვის შეკერილია ახალი ტანისამოსები და დახატულია ახალი დეკორაციები. დასთან ახლავს საკუთარი ორკესტრი.

# სასამართლო

## საზიზღარი მკვლელობის გარშემო

### მკვლელთა დახვრეტა

როგორც ვწერდით, აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლომ ოგანეზ (ოხანა) ალთუნაშვილს (70 წლისა), მაკა მაისურაძეს (60 წლისა), 18 წლის პავლე მაისურაძეს, არტაშა ასლამაზოვს, სოლომონ ჩივაძეს, არშაკ ალთუნაშვილს და დავით (დათა) მჭედლიძეს მიუსაჯა უმაღლესი სასჯელი — დახვრეტა, მთელი ქონების კონფისკაციით.

მსჯავრდადებულებმა საკასაციო საჩივარი შეიტანეს უზენაეს სასამართლოში.

უზენაეს სასამართლოს საკასაციო კოლეგიამ მაკა და პავლე მაისურაძის, ოხანა (ოგანეზ) ალთუნაშვილის, სოლომონ ჩივაძის, დავით მჭედლიძის და არტაშა ასლამაზოვის საკასაციო საჩივარი უშედეგოთ დასტოვა და, მათთვის მისჯილი უმაღლესი სასჯელი — დახვრეტა მიზანშეწონილად სცნო და ძალაში დასტოვა.

არშაკ ალთუნაშვილს (ოხანას შვილი) უმაღლესი სასჯელი — დახვრეტა შეეცვალა ორი წლით თავისუფლების აღკვეთით.

სასამართლომ დაადგინა: აღიძრას შუამდგომლობა საქართველოს ცაკის წინაშე, რათა არშაკ ალთუნაშვილს მოეხსნას ქონების კონფისკაცია და სასტიკი იზოლიაცია.

მსჯავრდადებულებმა საქართველოს ცაკის პრეზიდიუმში შეიტანეს თხოვნა პატიების შესახებ.

საქართველოს ცაკის პრეზიდიუმმა უცვლელად დაამტკიცა საქარ. უზენაეს სასამართლოს დადგენილება მსჯავრდადებულთა დახვრეტით დასჯის შესახებ, ხოლო არშაკ ალთუნაშვილის მიმართ შესაძლოთ დაინახა, რომ საოლქო სასამართლოს დადგენილება უმაღლესი სასჯელის მისჯის შესახებ შეცვლილ იქნას 10 წლის ციხით.

განაჩენი სისრულეში იქნა მოყვანილი.

## ელექტრონის მომწესრიგებელ სამმართველოს თანამშრომელთა პროცესი

### მეათე დღე

გუშინდელ სხდომაზე დაკითხულ იქნა მოწმე **უნაფქოშვილი** („ემსის" გამგის ყოფილი მოადგილე). ის აცხადებს, რომ დეტალური რევიზიის შემდეგ ბრალდებული ქავთარაძე და გრიშაშვილი აღარ დადიოდენ სამსახურში, რადგან მათ ეშინოდათ დაპატიმრების.

— მე,—განაგრძობს მოწმე—ბრალდებული ბაქრაძის საშუალებით ნაძალადევის ბაღში შევხვდი მოსალაპარაკებლად ქავთარაძეს და გრიშაშვილს და განუცხადე, რომ თუ დანაკლისს დაფარავდენ არ დააპატიმრებდენ. მიუხედავათ ამისა, მათ უარი განაცხადეს სამსახურში გამოცხადებაზე.

სასამართლოს თავმჯდომარის შეკითხვაზე, შედიოდა მოწმის კომპეტენციაში, თუ არა ბრალდებულ მელიავას მიერ წარმოდგენილი საბუთების განხილვა, განაცხადა: „არ შეადგენდა ჩემ მოვალეობასო".

მოწმემ განუმარტა სასამართლოს, რომ ბრალდებულ ბაქრაძისათვის მას სალაროდან უხელწერილოდ ფული არ გამოუომევია. იყო შემთხვევა ავანსების გატანისა, მაგრამ ბაქრაძეს აძლევდა სათანადო ხელწერილს.

ბრალდებული **ბაქრაძე** დაუინებით აცხადებს, რომ უნაფქოშვილს სალაროდან წაღებული აქვს ავანსი უხელწერილოდ. ამ გარემოებას ასაბუთებს მით, რომ, როდესაც ბაქრაძე დატუსაღებული იყო, უნაფქოშვილმა გაუგზავნა მას 60 მანეთი და თაქტის დასადასტურებლად ასახელებს სამ მოწმეს.

პროკურორის შეკითხვაზე—მოწმემ განაცხადა, რომ ბრალდებულ მელიავასაგან მას 1200 მანეთი არ მიუღია.

მოწმეების დაკითხვა გრძელდება.

## ტრაგედია ქეიფობის შემდეგ

20 მაისს, აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოში გაირჩევა **ალექსანდრე (ალიოშა) გვარჯალაძის** (20 წლისა) საქმე.

გვარჯალაძეს ბრალდება მოქ. **გიგუცა დავლაშელიძის** მოკვლა.

გასული წლის პირველ მაისს, მოქ. თამარ **ნასყიდაშვილმა** (ყიზლიარის შესახვევი, № 6), „სახელის" დღის — „თამარობა"-ს—აღსანიშნავად გამართა ლხინი.

ლხინზე მან მიიპატიჟა ნაცნობ-მეგობრები. მათ რიცხვში იყვნენ ძმები: **ალექსანდრე (ალიოშა) ივანე და ალ. გვარჯალაძეები, ალექსანდრე ჩხენკელი, გიორგი კაკაბაძე, გიორგი კეჟერაძე** და დაუპატიჟებლად, შემთხვევით მოსული **გიგუცა დავლაშელიძე.**

ღამის პირველ საათზე შეუდგენ ვახშმობას. ქეიფი დილის 5 საათამდე გაგრძელდა. შემდეგ სტუმრები გამოეთხოვენ მასპინძელს და წავიდნენ.

ყველანი მთვრალები იყვნენ.

ყიზლიარის ქუჩაზე დავლაშელიძემ სრულიად უმიზეზოთ სილა გააწნა ივანე გვარჯალაძეს, შემდეგ დავლაშელიძემ ამოიღო დანა და მკერდში რამოდენიმე ჭრილობა მიაყენა ივანეს. ივანემ მორთო ყვირილი:

— „მომეხმარეთ, დამჭრესო". ყვირილზე მივიდა მისი ძმა ალექსანდრე, მაგრამ დავლაშელიძემ მასაც მოუქნია დანა:

ალექსანდრე გვარჯალაძემ დიდი ბრძოლის შემდეგ დანა აართვა დავლაშელიძეს. ამ სურათის მოწამე მოქ. **ჩხენკელი** მივიდა ალექსანდრე გვარჯალაძესთან და მოუნდომა მას დანის წართმევა. გვარჯალაძემ ჩხენკელი მსუბუქად დაჭრა.

დავლაშელიძე კი განაგრძობდა ალექსანდრე გვარჯალაძესთან ჩხუბს. უკანასკნელი მოთმინებიდან გამოვიდა და დანით დასჭრა თავლაშელიძე.

დავლაშელიძე საავადმყოფოში მიყვანისას გარდაიცვალა.

# შემთხვევები

◆ **სამხედრო გზაზე.** 14 მაისს გაქურდული იქნა ნიკოლოზ ქაჯაიას ბინა.

◆ **ვერ მოახერხა.** 15 მაისს თეატრის შესახ. № 5 მატრონა მანუილოვას ბინაზე შეიპარეს აბად მაოევი, რომელსაც უნდოდა გაექურდა მანუილოვის ბინა.

◆ **ფანჯრიდან შეპარვის** საშუალებით 15 მაისს პრიუტის შესახ. № 3 გაქურდეს მარგარიტა მარტიროსიანცის ბინა.

◆ **თავის მოწამვლა.** 15 მაისს რუსთაველის გამზირი № 26 თავი მოიწამლა თამარა დავითის ასულ ჩეჩელაშვილმა; მიზეზი გამოურკვეველია.

◆ **დაჭრა.** 15 მაისს ახალი სამების ქუჩა № 33 რევოლვერით თავი დაიჭრა პავლე სერგოსძე იანინმა. მიზეზი გამოურკვეველია.

◆ **მტკვარში დახრჩობა.** კამოს ქუჩაზე მდებარე სახერხი ქარხნის ახლოს უცაბედად მტკვარში გადავარდა და დაიხრჩო ვარლამ ვაგანისძე პაპაიანცი.

◆ **დაჭრა.** 14 მაისს ღამით გონჩარნი ქუჩის კუთხეში ალექსანდრე უგრეხელიძემ დანით დასჭრა ნიკოლოზ ჩხეიძე. დამნაშავე შეიპყრეს.

◆ **ფერის ბორნიდან** 13 მაისს, საღამოოს ათ საათზე მტკვარში გადავარდა და დაიხრჩო უცნობი მოხუცი დედაკაცი. გვამი ამოჩენილია.

◆ **ჯიბგირობისათვის** 14 მაისს შეიპყრეს ეგნატე კონსტანტინოვი და ალექსი ილარიონისძე ბერეჟენკო.

◆ **ქალის დაკარგვა.** არაქელ პეტროსიანცმა განუცხადა მილიციას, რომ 12 მაისს დილას სახლიდან გასულა მისი ქალიშვილი ანეტა, რომელიც დღემდე არ დაბრუნებულა.

◆ **მორგებული გასაღების** საშუალებით საბაჟოს ქუჩა № 4 გაქურდეს საპარიკმახერო. წაღებულია სხვადასხვა ხილსაწყოები.

◆ **ამავე დღეს** პირაგოვის ქუჩა № 4 გიორგი აგასოვის ბინიდან მოიპარეს 300 მანეთის ნივთები.

◆ **ამავე დღეს** საბჭოს ქუჩა № 117 გაქურდეს ეფრემ ხალილაშვილის სავაჭრო. წაღებულ საქონლის რაოდენობა და ღირებულება გამოურკვეველია.

◆ **ამავე დღეს** ბოტანიკური ქუჩა № 7 გაქურდეს პეტრე ტიტიკოვის ბინა. წაღებულია სხვადასხვა ნივთები.

◆ **შეპყრობა.** 15 მაისს შეიპყრეს სურენ აბრამოვი, რომელმაც ოლღა ლეკაშვილს ჯიბიდან ამოაცალა საფულე.

◆ **მცირე წლოვანი ბოროტმოქმედი.** 14 მაისს ქურდობისათვის შეიპყრეს და მცირე წლოვან დამნაშავეთა კომისიას გადაეგზავნა არშაკ სეროფიანცი.

◆ **შინა-ვაჭრობის სახ. კომისარიატიდან** სხვადასხვა ნივთების მოპარვისათვის შეიპყრეს ალექსანდრე ალიუშინევი-ინოვსკი.

◆ **ქურდობის განზრახვისათვის.** 14 მაისს დააპატიმრეს პავლე ოუზნიკოვი, რომელსაც უნდოდა გაექურდა რეზო კობეტოვის ბინა (მახაბლის ქუჩა № 19).

# ფიზიკური კულტურა

## ა.-კ. ფიზკულტურის უმაღლეს საბჭოში

ა.-კ. ცაკის პრეზიდიუმმა ა.-კ. ფიზკულტურის უმაღლეს საბჭოში ამხ. კაცენელსონის, გავრიშის, გერასიმოვის, სტეფანიანის, ჭელიძის, ტაშჩიევის და მელნიკოვის მაგივრად დანიშნა ამხ. **შ. ელიავა, რახმანოვი, ერგარდი, პალერი, აბდულაევი, პადოლსკი, მერიხოვი, ლევანდოვსკი და ბერია.**

# ფეხბურთი

## ფოთი—თბილისი

ფოთის „დინამო"-ს და თბილისის „დინამო"-ს ამხანაგური შეჯიბრით გაიხსნა საქალაქთაშორისო შეჯიბრების სეზონი. თამაში სწარმოებდა სასპორტო საზ-ბა „დინამო"-ს ახლად მოწყობილ სტადიონზე.

ფოთის „დინამო" დიდი ხანი არ არის რაც ჩამოყალიბდა. გუნდში შედიან ფოთის და ბათომის საუკეთესო მოთამაშეები; ბათომელებიდან გუნდში თამაშობენ **დარჩია, გასპარიანი, მიქაძე და გუნია.**

აღსანიშნავია ფოთელების ერთსულოვანი, სწრაფი და ერთმანეთთან შეწყობილი თამაში.

შეჯიბრი მეტად ცოცხლად იწყება. სტუმრები სწრაფი და გაბედული თამაშით სცდილობენ არევ-დარევა შეიტანონ მოწინააღმდეგის რიგებში, მაგრამ თბილისის „დინამო"-ს მცველთა და ნახევარ მცველთა შემადგენლობა სწრაფად არღვევს ფოთელების კომბინაციებს.

თამაში თითქმის თანაბრად სწარმოებს. ბურთი ხშირად მიდის ორივე მხარის კარებთან, მაგრამ ორივე მეკარის (თბილისიდან—**დ. ცომაია,** ფოთიდან—**ვეკუა**) მოხდენილი თამაშის წყალობით ისევ ცენტრისაკენ ბრუნდება.

თამაში დიდხანს არ იძლევა შედეგს. შუა ტაიმში ფოთელები ლამაზად გაიტაცებენ ბურთს თბილისის კარებისაკენ და მოახერხებენ კიდეც პირველი გოლის გატანას.

თბილისელები პირველ მარცხს არ იმჩნევენ, ერთბაშათ შეუტევენ მოპირდაპირეს და რამოდენიმე წუთის შემდეგ **ან. ჟორდანიას** მძლავრი დარტყმით ანგარიში გაქვითებულია.

შემდეგ, ორივე გუნდი სცდილობს თავის სასარგებლოდ შესცვალოს მდგომარეობა, მაგრამ ტაიმის ბოლომდე გუნდების ბრძოლა შედეგს არ იძლევა.

თამაშის მეორე განყოფილებაში ინიციატივა ხელიდან ხელში გადადის; ტაიმის მეორე ნაწილში უკვე აშკარა ხდება თბილისელების უპირატესობა. ბურთი ხშირად ტრიალობს სტუმრების კარებთან. ხშირია ძლიერი „შუტებიც". თბილისის „დინამო"-ს ფორვარდების ერთ-ერთი ძლიერი შეტევის დროს ფოთი დაჯარიმდა. **ან. ჟორდანია** მძლავრად ურტყამს „პენალტიდან" და ფოთის ბადეში უკვე მეორე ბურთია მოქცეული.

ფოთელები სცდილობენ გააქვითონ ანგარიში, მაგრამ მათი ცდები უნაყოფოთ თავდება.

ამრიგად, შეჯიბრის შედეგია 2:1 თბილისის „დინამო"-ს სასარგებლოდ.

ვ—ნი.

# დოღი

15 მაისის დოღს უკვე თვალსაჩინო გამოცოცხლება დაეტყო. საკმაოდ არიან ჯიშიანი ბედაურები. დაჯგუფებაც შერჩეულია საინტერესოდ. მონაწილეობას იღებენ საქ. საჯინიბოს, სამხ. ოსეთის, დაღესტნის და აზერბეიჯანის ცხენები.

**პირველი შეჯიბრება:** 80 მან. 2344 მეტრი. ღობურებით. მონაწილეობს რვა სამხ. ცხენი. მათში ურევია უბერებელი **„ზორკიც".** ხალხი წინდაწინ არის დარწმუნებული მის გამარჯვებაში, მაგრამ ამ ჯერობაზე ყველას გაუცრუა მოლოდინი.

დასაწყისიდან—გაიმართენ თუ არა გზაზე, საერთო ჯგუფს გამოყვებ „ზორკი", „ალაზანი" და „იოტი". ბოლოს „ალაზანიც" ჩამორჩა და ერთმანეთს შერჩენ „ზორკი" და „იოტი". მწვავე და თავგამოდებული იყო შებრძოლება, მაგრამ ზედმეტი ნახტომით წაგლეჯილი მანძილი აღარ დაუთმო **„იოტიმ"** თავის სახელოვან მოწინააღმდეგეს და გამარჯვებაც მოიპოვა მოულოდნელად იმას მიჰყვა ფეხდაფეხ—**„ზორკი".**

**მეორე შეჯიბრება:** 140 მან. 2134 მეტრი. აქ ლაპა წეროდ გამოდის თავმომწონედ სამხ. ოსეთის წმ. ჯიშის პარიზული **„როლანდი".** მოქიშპეებათ შეურჩევიათ **„იაიჯა-ქიათურელი"** და **„აბესალომი".**

გაეშვენ თუ არა—ჩქარა ერთმანეთი მოიტაცეს „იაიჯამ" და „როლანდმა". „აბესალომი" კი კიდეს ახსოვს ჩამორჩენაში. შუა მანძილიდან **„როლანდი"** პირველობს, მაგრამ „იაიჯაც" იმედს არ ჰკარგავს გამარჯვებისას და ზოგჯერ ლამის მხარდამხარ ამოუდგეს პარიზულ რაინდს. აგერ მოატანეს ტრიბუნას. „იაიჯა" თითქმის იკრებს უკანასკნელ ძალღონეს, მაგრამ „როლანდი" რამდენიმე ლაღი ნახტომით თავისუფლად გადადის გამარჯვების ხაზს. შთაბეჭდილება ისეთია, თითქოს იგი მთელ ძალას არ ჰკარგავდა მოწინააღმდეგესთან. საინტერესო იქნება მისი გამოსვლა პირველხარისხოვან ბედაურებთან.

**მესამე შეჯიბრება:** 120 მან. 1867 მეტრი. „უატ-ლედი", „შაშარკა", „ატოსი". სამივე ჯიშნარევი.

მანძილს მიაპობს „ატოსი". იმის უკან ერთმანეთს ეცილებიან „უატ-ლედი" და „შაშარკა". „შაშარკამ" ჩქარა მოიშორა „უატ-ლედი" და სცდილობს იგივე ხვედრი არგუნოს „ატოსსაც". მაგრამ აქ სასტიკი შებრძოლებაა საჭირო უკანასკნელი სიმარჯვით და სიმხნევით. აჰა, ბოლო მოსახვევში გასწორდენ კიდეც და ტყუპი ძმებივით გამოეშვენ სწორად გაშლილ შარაზე. ხალხის ტაში ალბად აქეზებს შავგვრემან „შაშარკას" და ერთის შეტევით უსწრებს ფინიშთან დამუქრებით მომავალ „ატოსს".

**მეოთხე შეჯიბრება:** 100 მან. 1600 მეტრი. ჯიშნარევი **„მალერინე", „სანტი" და „გორგასლანი".**

დასაწყისში პირველობს „სანტი". შუა მანძილზე უსწორდება „მალერინე". ჩქარა გადაუსწრო კიდეც და ამპარტავნული მარტოობით მოარღვევს არეს. 10-15 ადლით უკან ჩამორჩენილი „სანტი" და „გორგასლანი" მხოლოდ ერთმანეთს ეცილებიან მეორე ადგილს.

**მეხუთე შეჯიბრება:** გაზაფხულის ფაშატების ჯილდო 300 მან. 1600 მეტრი, ერთი ერთმანეთზედ საიმედო ბედაურები: წმ. სისხლის **„ტაისი", „მოსხო",** ფრანგული **„ლონიკსი".** ჯიშნარევი **„ეთერი" და „ზადორნიცა".**

ყოვლად შეუწყნარებელია ის უწესობა, რომელიც მოხდა ამ შეჯიბრების დასაწყისს: თუ ოცჯერ არა, ხუთმეტჯერ მაინც გააცდინეს სტარტი. ამან გამოიწვია ხალხის სამართლიანი აღშფოთება. აღარასგზით არ უნდა განმეორდეს ასეთი მოსაბეზრებელი უწესობა.

ეს შეჯიბრება უდიდეს ინტერესს იწვევს ყველაში. ძნელი არის წინდაწინ გამორჩევა გამარჯვების მომხვეჭ ბედაურისა. მაინც უმრავლესობის აზრი უფრო იხრება ახლად მოსული „ლონიკსისაკენ". მაგრამ... მეთაურობა ელვისებური სისწრაფით გაიტაცეს „ეთერმა" და „ტაისმა". ტრიბუნის რამდენიმე ათასი თვალიც იმათ მისჩერებია. ისინი ერთმანეთთან სხვას აღარავის უშვებენ მოდავეთ.

ჩქარა „ტაისმა" დაჰბოჭა „ეთერი" და წინ გადმოეშვა. მაგრამ „ეთერსაც" ნაკლებ არ უდუღს ახალგაზრდული სისხლი. იგი მხარდამხარ მისდევს ღირსეულ დობილს და ხანდახან თითქმის კიდევაც...

მაგრამ „ტაისის" სისხლიც ვერ აიტანს, როც უკანასკნელ წამში ვინმეს დაუთმოს ქჳრის ოფლით მოპოვებული გამარჯვება და გადაჰლახა ფინიშის ხაზიც. მეორე ნახტომით მას მიჰყვა „ეთერი". სხვები ჩამორჩნენ საკმაო მანძილით.

**მეექვსე შეჯიბრება:** 60 მან. 2134 მეტრი. მხედ-მოხალისე რვა ცხენი.

ჩქარა ყველანი უკან მოიტოვეს „არსჲა" და „ზებია". ამავე წესით გაგრძელდა ბრძოლა მთელ მანძილზე. ფინიშთან კიდევ უფრო მეტი მარიფათი გამოიჩინა არსჲამ და გამარჯვებაც ილოლად მოიპოვა.

ვინმე.

# რკინის გზებზე

## მატარებლების დაჯახება

### სადგურ ნალბანდში

15 მაისს, დაახლოვებით ღამის 2 საათზე, სად. ნალბანდში (სამხრეთის უბანი) ერთმანეთს დაეჯახენ საბარგო მატარებლები. მიუხედავად იმისა, რომ სემაფორი დაკეტილი იყო, სადგურში შემოვიდა მატ. № 136 და დაეჯახა პირველ ხაზზე მდგომ მატ. № 1061-ს.

დაჯახება იმდენად მძლავრი იყო, რომ მატ. № 1061-დან ლიანდაგს ასცდა ორთქლმავალი და შემადგენლობიდან მოწყვეტილი 15 რონოდა დაიძრა სადგ. ამამლისაკენ.

მატ. № 136-დან ლიანდაგს ასცდა ორთქლმავლის უკან ნაწილი, დაიმტვრა ორი რონოდა და ლიანდაგს ასცდა—ერთი.

მოწყვეტილ რონოდებმა გაიარეს 9 კილომეტრი სადგ. ამამლამდე, სადაც შესასვლელ ისრებზე დაიმტვრა სამი რონოდა; დანარჩენი 12 რონოდა წავიდა ქვევით, გაიარა 20 კილომეტრი (შემთხვევის ადგილიდან) და გაჩერდა ამამლიარჩუტს შუა.

დაჯახების დროს მსუბუქად დაიჭრნენ: მემანქანე **ნანკოვსკი** და მისი თანაშემწე — **გევორკოვი** და მეორე მემანქანე — **ბალდასაროვი.**

კარაკლისიდან და ლენინაკანიდან შემთხვევის ადგილზე გაიგზავნენ დამხმარე მატარებლები.

მოთხოვნილია მესამე დამხმარე მატარებელი სანაინიდან.

როგორც გამოკვლევიდან სჩანს, კატასტროფის მიზეზები ასეთია: ნალბანდის სადგურის მორიგეს — **ოგანეზოვს** დაავიწყდა, რომ ერთსა და იმავე დროს იღებდა სადგურში ორ მატარებელს. მატ. № 136-ს მისაღებად მან მეისრე ძალიან დაგვიანებით გაგზავნა. მეისრემ ვერ მოასწრო მისვლა დანიშნულ ადგილამდე, რომ მატარებელი უკვე შევიდა სადგურში და დაეჯახა იქ მდგომ მატ. № 1061-ს.

### თბილისში

15 მაისს, მანევრების დროს სადგ. თბილისში ერთმანეთს დაეჯახა ორი მატარებლის შემადგენლობა. დაჯახება მოხდა იმის გამო, რომ მანევრების ერთ-ერთი შემადგენლობა მოულოდნელად დაწეულ იქნა უკან.

დაჯახების დროს დაზიანდა 17 ცისტერნა, მათგან ოთხი საგრძნობლად. სწარმოებს კვლევა ძიება.

### გამოკვლევა

აღმოსავლეთ ხაზის ტექნიკურ მდგომარეობის გამოკვლევის მიზნით, ხაზზე გაემგზავრნენ: ა.-კ. რკ. გზ. გამგეობის თავმჯდომარე ამხ. **ივანოვი** და გამგეობის წევრები — ინჟ. **ბერიძე და ტერ-მიქაელიანი.**

# რადიო-გადაცემა

საქართველოს პროფსაბჭოსთან არსებულ რადიო-სტუდიიდან გადაცემული იქნება:

**17 მაისი:** „შაქარი და ტკბილეულობა ალკოჰოლის მაგივრად"—ქართულად, კომკავშირის გაზეთი—ქართულად, ტექნიკური კონსულტაცია, ა. კ. დეპეშათა სააგენტოს ინფორმაცია—რუსულ და ქართულ ენებზე და კონცერტი ანდა ტრანსლიაცია.

**18 მაისი:** „ვენერიზმი და პროსტიტუცია"—რუსულ ენაზე, წითელარმიელთა გაზეთი—რუსულ და ქართულ ენებზე, ა.-კ. დეპეშათა სააგენტოს ინფორმაცია—რუსულ და ქართულ ენებზე და კონცერტი ანდა ტრანსლიაცია.

**19 მაისი:** დასვენების დღე—რადიო-გადაცემა არ იქნება.

**20 მაისი:** „როგორ უნდა იმუშაოს სამალარიო სადგურმა სოფლებში—რუსულ ენაზე, პიონერთა გაზეთი—რუსულ და ქართულ ენებზე, „სოფლის მეურნეობის მექანიზაცია და ტექნიკური დახმარება საქართველოში" ქართულ ენაზე, ტექნიკური კონსულტაცია, დეპეშათა სააგენტოს ინფორმაცია—რუსულ და ქართულ ენებზე და კონცერტი ანდა ტრანსლიაცია.

# მონადირეთა კავშირში

## ძაღლების შეჯიბრება

14 და 15 მაისს ყარაიას მიდამოებში მონადირეთა კავშირის ინიციატივით გაიმართა ჯიშიანი ძაღლების შეჯიბრება. შეჯიბრის მსაჯებათ დანიშნულ იყვნენ მოსკოვიდან ჩამოსული სპეციალისტები **ვოსტრაკოვი და ტიულპანოვი,** ხოლო მონადირეთა კავშირის მხრივ—**ა. ხარაჯიშვილი.**

შეჯიბრში მონაწილეობას იღებდა 20 მონადირე ძაღლი. გაიმარჯვა ექვსმა. პირველი ხარისხის ჯილდო და დიპლომი მიიღო კ. დანელიას სეტტერის ჯიშის ძაღლმა „როკმა", რომელმაც აღტაცებაში მოიყვანა ყველა მსაჯულები. „როკმა" ასი ნიშნიდან მიიღო 90 ნიშანი და მსაჯების დადგენილებით იგი ცნობილ იქნა საუკეთესო ძაღლათ მთელ საბჭოთა კავშირში.

მეორე ხარისხის ჯილდო არავის მიუღია, ხოლო მესამე ხარისხის ჯილდო მიიღეს 3: ჟორდანიას სეტტერმა—„ლონდამ", პაოლო იაშვილის პოინტერმა—„ამირანმა", ხუტულაშვილის პოინტერმა „ბრუკმა" და სხ.

საუკეთესო დაგეშვისათვის ჯილდოები მიიღეს ქ. დანელიამ და პ. ჟორდანიამ.

მოსკოვიდან ჩამოსულ სპეციალისტების აზრით, როგორც ჯიშიანი ძაღლების გამოფენა, ისე მათი შეჯიბრება ბრწყინვალეთ ჩატარდა და ამ მხრივ თბილისს უკავია მეორე ადგილი მთელ საბჭოთა კავშირში.

# სასკოლო აღწერა

ამ.-კავკასიაში არ ჩატარებულა არც ერთი სასკოლო აღწერა, ეს კი აუცილებელია საყოველთაო სწავლების გეგმის შესადგენად. ამას გარდა ამ გეგმის შედგენისთვის საჭიროა სრული და სწორი სტატისტიკური მასალები.

მიიღო რა ეს მხედველობაში და აგრეთვე ისიც, რომ სასკოლო ქსელის გაფართოებისათვის საჭიროა სასკოლო აღწერა, ა.-კ. სახალხო კომისართა საბჭომ საჭიროდ სცნო სასკოლო აღწერის ჩატარება ა.-კ. ტერიტორიაზე არა უგვიანეს 1927—28 სამოსწავლო წლისა.

# მეცნიერება და ტეხნიკა

## ტელეტოგრაფი

შეერთებულ შტატებში ხმარებაში შემოიღეს განსაკუთრებული აპარატი, ტელეტოგრაფი— რომელიც შესაძლებლად ხდის განკარგულებათა გადაცემას ტელეგრაფის საშუალებით — წერილობითი სახით. გადამღები ტელეტოგრაფი არაფრით არ განირჩევა ჩვეულებრივი კედლის ტელეფონიდან გარდა იმისა, რომ მას გარდა სასმენი მილისა, აქვს (მიმაგრებულია მასზე) პატარა დაფა, რომელზედაც სწერენ სპეციალური ლითონის ფანქრით. მიმღებ ტელეტოგრაფში კალამი იმეორებს ქაღალდზე გადამცემი აპარატის ფანქრის ყველა მოძრაობას. ტელეტოგრაფით სარგებლობენ ბანკებში და სხვა მსგავს დაწესებულებებში, სადაც რეზოლიუციები გასამართლებელ საბუთებს წარმოადგენენ.

## ოთხლულიანი ტყვიისმფრქვეველი

შეერთებულ შტატებში ამ რამდენიმე ხნის წინათ გამოსცადეს ახალი სახის იარაღი—ოთხლულიანი შორსმსროლელი ტყვიისმფრქვეველი— აეროპლანების წინააღმდეგ. ოთხივე ლულა ერთდროულად ისვრის.

## თავის დაცვა რენტგენის სხივებისგან

დღემდი რენტგენის სხივების გამოყენებას მედიცინაში, თავის უდიდეს დადებითი მხარეებთან, უარყოფითი შედეგებიც თან სდევდა. საქმე იმაშია, რომ შეუძლებელი იყო სხივების მოქმედების ძალის სისწორით განსაზღვრა და ამიტომ რენტგენის სხივები ზოგჯერ უარყოფითი გავლენას ახდენდენ ორგანიზმზე. ვენის ერთმა ექიმმა გამოიგონა საკონტროლო მოწყობილობა, რომელიც სისწორით განსაზღვრავს X—სხივების ძალას.

ეს მოწყობილობა ფართედ ვრცელდება რენტგენოლოგიაში და, როგორც ექიმები ამტკიცებენ, შესანიშნავად ასრულებს თავის დანიშნულებას.

## კუნთების დაჭიმვა ხელს უწყობს აზროვნებას

ჩიკაგოს (შეერთებულ შტატებშია) ფსიქოლოგიურ ინსტიტუტში მოახდინეს ცდა 40 სტუდენტზე, რომლებსაც დაავალეს მთელ რიგ ციფრების შეერთება და ლექსების დაზეპირება. იმ სტუდენტებმა, რომლებსაც ხელში ეჭირათ სიმძიმე, ამოცანა შეასრულეს უფრო სწრაფად და კარგათ, ვიდრე იმათ, რომლებიც კუნთების დაუჭიმავათ მუშაობდენ.

## უზარმაზარი ხვლიკი

ლონდონის საბუნებისმეტყველო - ისტორიულ მუზეუმში მიიღეს კუნძულ კომოდზე (მალის არხიპელაგი) აღმოჩენილი პირველი უზარმაზარი ხვლიკი, რომელიც მეცნიერების აზრით, უძველეს ხანაში მცხოვრებ დინოზავრის შთამომავალს წარმოადგენს. ეს ხვლიკი სიგრძით სამი მეტრია და ორას კილოგრამს (12 ნახევ. ფუთს) იწონის. ეს ხვლიკი მოიპოვება მხოლოდ მალაის არხიპელაგის კუნძულებზე. ზოგიერთი ეკზემპლიარების სიგრძე 4 მეტრს უდრის. დღემდი ყველაზე დიდ ხვლიკებათ ითვლებოდა ახალ გვინეაზე აღმოჩენილი ხვლიკები, რომელთა სიგრძე ორ მეტრამდე აღწევდა, ამრიგად, მალაის კუნძულებზე აღმოჩენილი ხვლიკები— უდიდესია მსოფლიოში.

# მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

## დებულება*)

### ომის ინვალიდთა, ავადმყოფ და დაჭრილ წითელარმიელთა და ომში დაღუპულ პირთა ოჯახის დამხმარე სრულიად საქართველოს კომიტეტის („სრულსაქინდამხკომი"-ს) შესახებ

**4. ომის ინვალიდთა, ავადმყოფ და დაჭრილ წითელარმიელთა და ომში დაღუპულ პირთა ოჯახის დამხმარე სრულიად საქართველოს კომიტეტის ორგანოები და მათი კომპეტენცია.**

15 სრულსაქინდამხკომის ორგანოებია: ცენტრში—ომის ინვალიდთა, ავადმყოფ და დაჭრილ წითელარმიელთა და ომში დაღუპულ პირთა ოჯახის დამხმარე სრულიად საქართველოს კომიტეტის პლენუმი და პრეზიდიუმი; ადგილობრივ—ა) აჭარისტანის ავტონომიური სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკისა, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქისა და აფხაზეთის მოკავშირე სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებთან არსებული დამხმარე კომიტეტები და ბ) სამაზრო (ქალაქის) დამხმარე კომიტეტები სათანადო აღმასკომებთან.

**შენიშვნა:** სრულსაქინდამხკომის პლენუმის შეხედულებისამებრ შეიძლება მოწვეულ იქნეს ხოლმე დამხმარე კომიტეტის სრულიად საქართველოს თათბირი. ამ თათბირთა მოწვევის წესს, მათ შედგენილობას და განსახილველ საკითხებს განსაზღვრავს სრულსაქინდამხკომის პლენუმი.

**ა) ომის ინვალიდთა, ავადმყოფ და დაჭრილ წითელარმიელთა და ომში დაღუპულ პირთა ოჯახის დამხმარე სრულიად საქართველოს კომიტეტის ცენტრალური ორგანოები.**

16. სრულსაქინდამხკომის პლენუმი შესდგება სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმისა, საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტისა, საქართველოს კომუნისტურ პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტის ქალთა განყოფილებისა, საქართველოს ახალგაზრდა ლენინელთა კომუნისტური კავშირის ცენტრალური კომიტეტისა, კავკასიის წითელდროშიანი არმიის რევოლიუციონური სამხედრო საბჭოს, ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატისა, საქართველოს ცაკ-თან არსებული სოციალური უზრუნველყოფის განყოფილებისა, ფინანსთა სახალხო კომისარიატისა, საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს, გლეხთა საზოგადოებრივი ურთიერთ დახმარების ცენტრალური კომიტეტისა, ცეკავშირისა, შრომის სახკომისა, თბილისის საბჭოს და საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების წარმომადგენელთაგან.

სრულსაქინდამხკომის პლენუმი მისცემს ზოგად დირექტივებს თავის ორგანოებს და აგრეთვე განიხილავს და დაამტკიცებს სრულსაქინდამხკომის პრეზიდიუმის მიერ წარმოდგენილ ანგარიშებს.

**შენიშვნა:** სრულსაქინდამხკომის პლენუმს უფლება აქვს კოოპტაციის წესით მიიწვიოს გარეშე პირი, რომელიც კომიტეტის მუშაობისათვის სასარგებლო იქნება და რომელსაც ამსთანავე რაიმე დამსახურება მიუძღვის ომის ინვალიდთა, ავადმყოფ და დაჭრილ წითელარმიელთა და ომში დაღუპულ პირთა ოჯახის დახმარების საქმეში.

17. სხვა დაწესებულებათა და ორგანიზაციათა წარმომადგენლების მიზიდვის წესს და აგრეთვე პლენუმის სხდომათა მოწვევის წესი და ვადა განისაზღვრება რეგლამენტით, რომელსაც სრულსაქინდამხკომის პლენუმი დაამტკიცებს.

18. სრულსაქინდამხკომის პლენუმი თავისი წრიდან აირჩევს პრეზიდიუმს; პრეზიდიუმში შედის არა უმეტეს ხუთი წევრისა, პრეზიდიუმის თავმჯდომარეს და თავმჯდომარის მოადგილეს დაამტკიცებს სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი.

19. სრულსაქინდამხკომის პრეზიდიუმი ყველა შემთხვევაში სრულსაქინდამხკომის წარმომადგენელია თვისიერ განსაკუთრებული რწმუნებულობისა.

20. სრულსაქინდამხკომის ცენტრალური ორგანოების სამყოფელი ადგილი თბილისია.

**ბ) ადგილობრივი დამხმარე კომიტეტები.**

21. ომის ინვალიდთა, ავადმყოფ და დაჭრილ წითელარმიელთა და ომში დაღუპულ პირთა ოჯახის დამხმარე ადგილობრივი კომიტეტები არსებობენ აჭარისტანის ავტონომიური რესპუბლიკისა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქისა და აფხაზეთის მოკავშირე სოც. საბჭ. რესპუბლიკის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებთან და სამაზრო (საქალაქო) აღმასრულებელ კომიტეტებთან.

22. ადგილობრივი კომიტეტი შესდგება პლენუმისა და პრეზიდიუმისაგან.

23. ადგილობრივი კომიტეტის პლენუმი შესდგება სათანადო ცენტრალურ და სამაზრო (საქალაქო) აღმასკომისა, საქართველოს კომპარტიის ადგილ. კომიტეტისა, ახალგაზრდა ლენინელთა კომუნისტური კავშირისა, ქალთა განყოფილებისა, საქართველოს ფინანსთა სახ. კომისარიატისა, სამხედრო უწყებისა, სოციალური უზრუნველყოფის ადგილობრივი ორგანოს, ჯანმრთელობის განყოფილებისა, პროფესიონალური საბჭოს და გლეხთა საზოგადოებრივი ურთიერთ დამხმარე კომიტეტის წარმომადგენელთაგან.

**შენიშვნა.** პლენუმს აქვს ცალკე პირთა კოოპტაციის წესით მიწვევის უფლება.

24. ადგილობრივი კომიტეტის პრეზიდიუმი შესდგება თავმჯდომარისაგან, რომელიც არის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის ან სათანადო აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე, მისი მოადგილისაგან და სამწევრისაგან; წევრებად არიან სოციალური უზრუნველყოფის ადგილობრივი განყოფილებისა ჯანმრთელობის განყოფილებისა და სამხედრო უწყების წარმომადგენელნი. თავმჯდომარის მოადგილეს დანიშნავს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ან აღმასრულებელი კომიტეტი კუთვნილებისამებრ.

25. ადგილობრივი კომიტეტის პლენუმს სათანადო ადმინისტრატიული რაიონის ფარგალში აქვს სრულსაქინდამხკომის უფლებები, გარდა იმ უფლებებისა, რაც აღნიშნულია ამა დებულების მე-11, 12 და 13 მუხლში. თავის უფლებებს პლენუმი განახორციელებს თავისი პრეზიდიუმის მეშვეობით, რისთვისაც გამოიყენებს დამხკომის მუდმივი მდივანს და სათანადო ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის ან აღმასკომის ტეხნიკურ აპარატს.

26. ადგილობრივი კომიტეტი პერიოდულად წარუდგენს ხოლმე თავისი მუშაობის ანგარიშს სრულსაქინდამხკომის იმ ვადაზე, რასაც დააწესებს სრულსაქინდამხკომის პრეზიდიუმი.

27. ამა დებულების ყველა დადგენილება რაც სრულსაქინდამხკომის ცენტრალურ ორგანოებს შეეხება, თანასწორად ეხება აგრეთვე ადგილობრივ კომიტეტებსაც, რამდენადაც სხვა რამ არ არის აღნიშნული.

28. ადგილობრივი კომიტეტის სამყოფელი ადგილი უნდა შეეფერებოდეს სათანადო ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის ან აღმასკომის სამყოფელ ადგილს.

29. ადგილობრივ კომიტეტს აქვს ბეჭედი სათანადო წარწერით.

**5. ომის ინვალიდთა, ავადმყოფ და დაჭრილ წითელარმიელთა და ომში დაღუპულ პირთა ოჯახის დამხმარე სრულიად საქართველოს კომიტეტის სალარო.**

30. სრულსაქინდამხკომისა და ადგილობრივ კომიტეტების სახსარს შეადგენს:

ა) მატერიალური და ფულადი შენატანი, როგორც პერიოდული, ისე ერთდროული;

ბ) საქველმოქმედო მარკებისა, ეტლონებისა, სურათებისა და სხვა შემოსავალი, აგრეთვე კონცერტებისა, წარმოდგენებისა, ლექციებისა და სხვ. შემოსავალი:

გ) შემოსავალი სავაჭრო-სამრეწველო და საწარმოთა და წარმოებითი დაწესებულებებისა, სასოფლო-სამეურნეო კოლონიებისა და სხვ. რასაც მოაწყობს სრულსაქინდამხკომი და ადგილობრივი კომიტეტი. ამ საგანზე მოქმედ კანონმდებლობათა მიხედვით. სრულსაქინდამხკომის სავაჭრო-სამრეწველო და წარმოებითი მუშაობა [illegible] სრულსაქინდამხკომთან [illegible] და განყოფილებების მიერ ცალკე დებულების საფუძველზე, [illegible] სრულსაქინდამხკომის [illegible].

**შენიშვნა.** ადგილობრივი დამხკომის შემოსავლის განსაზღვრული პროცენტი სრულსაქინდამხკომის დირექტივებისამებრ, ამ უკანასკნელის შემოსავლად გადაირიცხება.

**6. ომის ინვალიდთა, ავადმყოფ და დაჭრილ წითელარმიელთა და ომში დაღუპულ პირთა ოჯახის დამხმარე სრულიად საქართველოს კომიტეტის მოქმედების რევიზია.**

31. სრულსაქინდამხკომისა და ადგილობრივი დამხმარე კომიტეტების მოქმედების საერთო რევიზიების გარდა, რასაც მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატის ორგანოები აწარმოებენ,—ამ მოქმედების შეიძლება გაეწიოს სარევიზიო გამოკვლევა სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის სპეციალური დადგენილებით და აგრეთვე სათანადო ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა ან სამაზრო (საქალაქო) აღმასრულებელი კომიტეტის სპეციალური დადგენილებით.

**7. ომის ინვალიდთა, ავადმყოფ და დაჭრილ წითელარმიელთა და ომში დაღუპულ პირთა ოჯახის დამხმარე სრულიად საქართველოს კომიტეტის ლიკვიდაცია.**

32. სრულსაქინდამხკომის ლიკვიდაცია მოხდება სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის დადგენილებით, რომელიც განსაზღვრავს ლიკვიდაციის წესს. ლიკვიდაციის შემდეგ ქონება გადაეცემა საქართველოს ცაკთან არსებულ სოციალური უზრუნველყოფის განყოფილებას.

33. ადგილობრივი დამხმარე კომიტეტის ლიკვიდაცია მოხდება სათანადო აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებით, რაც შეთანხმებულ უნდა იქნეს სრულსაქინდამხკომის პრეზიდიუმთან.

34. უკეთუ ადგილობრივი დამხმარე კომიტეტის ლიკვიდაცია მოხდება, მისი ქონება გადაეცემა სრულსაქინდამხკომს, თუ ამ საგანზე სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმმა სხვა რამ განკარგულება არ მოახდინა.

**სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მაგიერ ქ. ხომერიკი.**

**სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი შ. მათიკაშვილი.**

1927 წ. აპრილის 20.
თბილისი-სასახლე.

---

*) დასასრული, იხ. „კომუნისტი" № 108.

# პარტიული და საბჭოთა კალენდარი

**ქალაქის და სოფლის კავშირის საზოგადოების** თბილისის საბჭოს პლენუმის სხდომა სარევიზიო კომისიასთან ერთად შესდგება დღეს, 17 მაისს საღამოს 6 საათზე თბილისის კომიტეტის სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილებაში.

დღეს, საღამოს 6 საათზე საქართველოს ს. ს. რესპუბლიკის ქიმიურ თავდაცვის ხელისშემწყობ საზოგადოების ბინაზე (კოლუბანის 7), **მოწვეულია ქიმიურ თავდაცვის ხელისშემწყობ საზოგადოების ქ. თბილისის ყველა ორგანიზაციების (უჯრედები, რაიონები) თავმჯდომარეთა და მდივნების თათბირი.**

სავალდებულოა ყველა მდივნების გამოცხადება.

საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის **ქალაქის რაიკომის მუშა და გლეხ** ქალთა განყოფილება იუწყება, რომ სამშაბათს ა. წ. 17 მაისს საღამოს 6 საათზე გლეხის ცენტრალურ სახლში შესდგება სადელეგატო კრებების მეორე რუსული ჯგუფის მორიგი მეცადინეობა.

სავალდებულოა ყველა დელეგატ ქალების დასწრება.

დღეს, 17 მაისს. საღამოს 6 საათზე **მოწვეულია სახ. უნივ. სოც. ეკონომ. ფაკულტეტის ა. ლ. კ. კ. უჯრედის კრება.** დასწრება წევრთა და კანდიდატთა სავალდებულოა.

დღეს, 17 მაისს, დღის 12 საათზე მოწვეულია **სახ. უნივ. სოც. ეკონ. ფაკულტ. ა. ლ. კ. კ. უჯრედის ბიუროს სხდომა;** დასწრება წევრთა და კანდიდატთა სავალდებულოა აღნიშნულ დროზე

დღეს, 17 მაისს, დღის 12 საათზე მოწვეულია **სახელ. უნივერ. ა. ლ. კ. კ. ბიურო-კოლექტივის სხდომა;** დასწრება ყველა წევრთა და კანდიდატთა სავალდებულოა. აგრეთვე ვალდებულია გამოცხადება პარტიაში გადასარიცხავ და კომკავშირში მისაღებ ამხანაგებისა.

დღეს, დღის 12 საათზე **მოწვეულია სახ. უნ. ა. ლ. კ. კ. ბიუროკოლექტივის სხდომა.** დასწრება წევრთა და კანდიდატთა სავალდებულოა აგრეთვე უნდა გამოცხადდენ ყველა ის ამხ., რომლებთაც აქვს შემოტანილი განცხადებები პარტიაში გადარიცხვის და კომკავშირში მიღების შესახებ.

**ქალაქის და სოფლის კავშირის საზოგადოების** ქალაქის რაიონულ საბჭოში წესდება რაისაბჭოს წევრთა ყოველდღიური მორიგეობა ა. წ. 16 ივნისიდან 1 ივლისამდე საღამოს 6 საათიდან 7 საათამდე, სოფლებში მიმავალ შვებულთათვის ყოველგვარ ცნობების მისაცემად. ამიტომ ქალაქის და სოფლის კავშირის საზოგადოების ყველა უჯრედებს და აგრეთვე ცალკე ამხანაგებს, რომელნიც მიდიან შვებულებაში, შეუძლიათ მიმართონ რაისაბჭოს, საჭირო ცნობების მისაღებათ.

**სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრონომიული ფაკულტეტის ა. ლ. კ. კ. უჯრედის ბიურო** იტყობინება წევრთა და კანდიდატთა საყურადღებოთ, რომ სამშაბათს 17 მაისს, საღამოს 7 საათზე მოწვეულია ამავე უჯრედის მორიგი კრება. დასწრება სავალდებულოა წევრთა და კანდიდატთათვის.

**დღეს, სამშაბათს 17 მაისს, საღამოს 6 საათზე ს. კ. პ. (ბ) ც. კ. შენობაში შესდგება ც. კ. ორგკოლეგიის მორიგი სხდომა**

ქვემოთ ჩამოთვლილ ამხანაგების დასწრება სავალდებულოა:

ლოლობერიძე (ც. კ.), მაშკევიჩი (ც. კ.), ინსტრუქტორები: მირიმანოვი, გაბუნია, სვანიძე, ინფორმსტ.: ვოლხოვსკი, ნემჩინოვი, ენუქიძე, ტოროიანი, მარტიროსოვი, ლიცინოვი (ც. კ.), ჯაფარიძე ვ., ქალთა განყ. ინსტრუქტორები: ესაიანი, ჩერქეზიშვილი, დოლიძაში, თათარიშვილი (ც. კ. აგიტპროპი), იმედაძე (ც. კ. აგიტპროპი), ხაცკევიჩი (თბ. კომიტეტი), ფანცხავა (საქ. პროფკავშირთა საბჭო), რუბენი (ა.-კავკ. სოლქო კომიტ.), შოვგირაძე (ა.-კ. სოლ. კომიტ.), ჩალიანი (ა.-კ. ს. კ.), ჯავახიძე (ს. ა. ლ. კ. კ. (ც. კ.), სიხარულიძე (ქართული დივიზია), პეტროვი (წითელ დროშოვან არმიის პოლიტ. სამ.), არტი (ცხენოსან ბრიგადის პოლიტ. სამ.), ოლინი (ა.-კ. მთავარ პოლიტ. სამ. სანაპირო დაცვა), ჯავახია (შინსახკომი).

— დღეს, დღის 4 საათზე, პოლიგრაფტრესტის შენობაში შესდგება ა. ლ. კ. კ. მბეჭდავთა მე-4-ე უჯრედის სხდომა. დასწრება ყველა წევრ კანდიდატებისათვის სავალდებულოა.

ბიურო.

მწუხარებაში მყოფნი: მეუღლე ფაქიზო, ქალიშვილი თინიკო, ძმები ალექსი, მიხეილ, კონსტანტინე, ბეგლარ, რძლები ნინა და ანასტასია, ძმისშვილები: სერგო, შალვა, ვასო ოჯახობით, მარო, თამარა, ქეთო, ნადია, ვალოდია, სიმონი, გრიგოლი, ალექსანდრე, ჟორჟი, ვარლამი და ავთანდილი აუწყებენ ნათესავებს, მეგობრებს და ნაცნობებს, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ 15 მაისს ქ. ფოთში გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი და დაუვიწყარი

**ნიკოლოზ სიმონის ძე პაიჭაძე**

გამოსვენება მოხდება საკუთარ სახლიდან, ზინოვიევის ქუჩა (ყოფ. ლაზარევის) № 18 ხუთშაბათს 19 მაისს 4 ნახ. საათზე დაკრძალვა კუნძულის სასაფლაოზე 2768

სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა სამეცნიერო ტეხნიკური წრის
„ტეხნიკური სექცია"
ღებულობს შეკვეთებს ყოველგვარ ელექტრო.დადგმულობის პროექტის და ხარჯთ-აღრიცხვის შედგენაზე, მოტორების დადგმაზე, ელ-განათების მოწყობაზე და სხვა ელექტრო-მექანიკურ სამუშაოებზე. ყოველი პროექტი და დადგმულობა შესრულებული იქნება „ტელასის" მიერ სავალდებულოდ გამოცხადებულ წესების და ნორმების მიხედვით. სამუშაო შესრულებულად ჩაითვლება ტელასის მიერ მიღების და დამტკიცების შემდეგ. სამუშაოები შესრულდება მხოლოდ და მხოლოდ გამოცდილ ელექტრო-მექანიკოს სტუდენტების საშუალებით და შესრულდება ზედმიწევნით სწორად და იაფად.
რადგანაც ზოგიერთი კერძო პირები, ან კერძო ტეხნიკური კანტორები შეიძლება ბოროტად სარგებლობდნენ სტუდენტების სახელით, ამიტომ შეკვეთის დროს მოქალაქეებმა საჭიროა მოსთხოვონ სექციის წარმომადგენელის სათანადო საბუთები.
მისამართი: თავისუფლების მოედანი, ქარვასლა მე-3 სართული დარაბას № 30307. 2772

თანახმად სახალხო განათლების კომისარის განკარგულებისა, ამა წლის 20 ივნისს შესდგება უკანასკნელი
სახელმწიფო საგამოცდო სესია
კბილის ექიმის ხარისხის მისაღებათ.
გამოცდებზე დაშვებული იქნებიან ის პირნი, ვისაც წარსულში დამთავრებული აქვთ კბილის საექიმო სკოლა. მსურველებმა განცხადება სათანადო საბუთებით უნდა შემოიტანონ კბილის სნეულებათა კლინიკაში (პლეხანოვის გამზირი № 126), არა უგვიანეს 15 ივნისისა. 2693 10—1

ქალაქის ლომბარდის სააუქციონო კამერა
აცხადებს, რომ ხუშაბათს, 19 მაისს, დღის 12 საათზე ლენინის ქ. № 36, დანიშნულია განმეორებით
საჯარო ვაჭრობა
„მდელოსის" დამზღვევი სალაროსადმი დავალიანების ასანაზღაურებლათ. გაიყიდება შემოძლეული ფასიდან არაყის გასაწმენდი მანქანა, რეზერვუარი, გასაციებელი და ჩამოსასხმელი მანქანა. ბ. 1196

საქართველოს სახკინმრეწვის მორიგი სურათი
„მაქსიმ მაქსიმიჩ"
(„კავკასიელი ტყვე") ლერმონტოვის მიხედვით
დადგმა: ვ. ბ. ბარსკის
ოპერატორები: ა. პოლიკევიჩი, ვ. პოზნანი
მთავარ როლებში:
ბელა ბელეცკაია, ვიშნევსკაია, მარინა, ობოლენსკი, პროზოროვსკი, ხუსკივაძე
ბ. 1194

აპოლლო
ტელ. 7—61.
არფასტო
ტელ. № 19—22.
სოლეი
ტელ. 20—44.
დარბაზი
ტელ. 14—03.
0—12 ნ. 1014

ქსენია დესნი და ვალტერ სლეზაკ
სეზონის საუკეთესო სურათში
„ქალი პროვინციიდან"
ყველამ უნდა ნახოს ეს განსაკუთრებული შედევრი
დადგმის მეორე კვირა „საპნის ქაფი"
მერი პიკფორდის მონაწილეობით
საუკეთესო ტრიუკისტი ლიუჩიანო ალბერტინი
საუკეთესო სურათში
„კაცი კომეტაზე"
საინტერესო სიუჟეტი. არაჩვეულებრივი დადგმა
მალე—ახალი სურათი „დეკაბრისტები".
უკანასკნელად თბილისში „კინ" (გენიოსი და სალახანა)
მოზჟუხინის და ლისენკოს მონაწილეობით
ანონსი: მალე საქ. სახკინმრეწვის ახალი სურათი „მაქსიმ მაქსიმის-ძე"

ექიმი
მეგრაბიანცი
ფილტვების, ჭლექის და გულის სნეულებანი
ციების საგანგებო მკურნალობა ელექტრო-შუქით რენტგენის სამკურნალო კაბინეტში
სურათების გადაღება და რენტგენის სხივებით წამლობა. ხელოვნური მთის მზე. იონნო-თერაპია. მიიღება ყოველდღე დილ. 9—1 და სალ. 6—8 საათ.
ენგელსის ქ. № 23. ყოფ. ბებუთოვის ქუჩ., 852 25—16

**დავკარგე** საანგარიშო წიგნაკი № 163 მარო ისკანდარაშვილის სახელზე, ჩ. გ. 2773

**დავკარგე** პირადობის მოწმობა და ნუსხა, მიღებული ხუნწის თემიდან ალექსანდრე ბებიავას სახელზე, ჩ. გ. 2775

**დავკარგე** უვადო პასპორტი ალექსანდრა ოლიფანტეს ასული ფარეიშვილის სახელზე, ჩ. გ. 2771

**დავკარგე** აღმშენებელთა კავშირის საწევრო წიგნაკი № 964 კალისტრატე ქილაიას სახელზე, ჩ. გ. 2769

**დავკარგე** ქ. ხონის ყოფილი სახელოსნო სასწავლებლის დამთავრების მოწმობა სიმონ ერმილესძე მაჭარაძის სახელზე, ჩ. გ. 2767

**დავკარგე** აღმასრულებელი ფურცელი № 637 თბ. შრ. სასამართლოს მიერ გაცემული დ. კალანდაძის სახელზე, ჩ. გ. 2777

**დავკარგე** თბილისის ქალაქის ბანკის ქუთ. განყოფილებაში შეძენილი ორი აქციის ქვითარი, ერთი 25 მან. 1924 წ. და მეორე 81 მანეთიანი 1925 წ. 23 მარტის თარიღით ბაგრატა მარტიანისძე ბალდასაროვის სახელზე, ჩ. გ. ბ. 1197

**დავკარგე** სამხედრო აღრიცხვის ნუსხა ივანე მინასძე ჯაიაშვილის სახელზე, ჩ. გ. ბ. 1197

ქ. თბილისის მე-2 რაიონის სასამართ. აღმასრულებელი ლ. ს. სვიატოდუხოვი
ამით აცხადებს, რომ ის 21 მაისს 1927 წ. დღის 12 საათზე სახლში № 9 ნახშირის ქუჩაზე, საჯარო ვაჭრობით გაყიდის არშაკ იაროვის მოძრავ ქონებას: ბინის მოწყობილებას შეფასებულს 515 მანეთად, აჭარისტანის სავაჭრო სამართველოს თბილისის განყოფილების ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. თბილისის მე-2 რაიონის სახ. სასამართლოსაგან 13 სექტემბერს 1926 წ. თარიღით, № 2923, 2924 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა. 2766

ქ. თბილისის შრომის სასამართლოს აღმასრულებელი გრ. ა. დანელია
ამით აცხადებს, რომ ის 19 მაისს 1927 წ. დღის 1 საათზე სახლში № 30 რუსთაველის გამზირზე საჯარო ვაჭრობით გაყიდის მოქ. ანდრია ლევანის-ძე ქავთარაძის მოძრავ ქონებას: ნოხებს, სავარძლებს, სარკიან შკაფს, ტუალეტს და სხ. შეფასებულს 1270 მანეთად, სახ. კვების კავშირის ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. თბილისის შრომის სახალხო სასამართლოსაგან 3 მაისი 1927 წ. თარიღით, № 1463 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა. ვაჭრობა დაიწყება შემოძლეულ ფასიდან. ბ. 1195

მიხეილ გედევანიშვილის
სახელობის
სამკურნალო
საწოლებით
ელექტრონით და სინათლით სამკურნალო კაბინეტი
ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყორღანოვის ქ., № 20 25—4

პროფესორმა
გრ. მ. მუხაძემ
ლენინგრადში გამგზავრების გამო
შესწყვიტა
ავადმყოფების მიღება 15 ივნისამდე. 10—1

ექიმი
მ. ო. ზანდუკელი
შინაგანი და ნერვიული სნეულებანი, ელექტრო - სხივებით მკურნალობის კაბინეტი, კვარც-თერაპია, იონნო-თერაპია.
მიღება 6—7 საათ. სალ. ლენინის ქ. № 49 ტელეფ. 4—82 №

ექიმი
კონსტ. ს. ფონ-ირტელი
საშარდე, სასქესო ორგანოების, ვენერიული, სიფილისი, კანის ავადმყოფობანი და ქირურგიული ავადმყოფობანი (სიმსივნე, ბუასილი, სქესობრივი უძლურება, სიფილისი, სუსუნატი). ელექტრონით წამლობა. პლეხანოვის გამზ. 10, ვორონცოვის მახლობლათ. ავადმყოფები მიიღება დილის 7 საათიდან შუადღის 12-მდე და საღამოს 5-დან 7-მდე. ქალები მიიღება 2-დან 3 საათამდე. 25—1

ექიმი ჯალალოვი
სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობანი, შეშხაპუნება „914". ტრიპერისა და მისი შედეგების წამლობა.
ავადმყოფ. მიღება დილ. 8—9—საათამდე საღამოს 5—8 საათამდე. ქალების მიღება 2—3 საათ მისამართი: კამოს ქუჩა, № 19 (ყოფ. დიდი მთავრის ქ.), ყოფ. ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. 25—21

ექიმი
ე. მ. მძინარიშვილი
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი
ავადმყოფების მიღება 1—2 ს. და საღამოთი 6—8ს. ქალების და ბავშვების. 5—6 ს.
რუსთაველის პროსპექტი № 18 (შესავალი წულუკიძეს ქუჩიდან ყოფ კრუზენშტერნის ქ.) 25—5

ექიმი ი. ი. ბერიშვილი
ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა
დილით 9—1 საათ., საღამოს 5—8 ს. ქალებისთვის ცალკე შესავალი. სასტუმრო „ევროპას" (ყოფ. „ნოეს") პირდაპირ „ჩოდრიშვილის" შესახვევი, (ყოფ. პლეხანოვის შესახვევი) № 8. 25—1

**დავკარგე** მოწმობა ქ. ხონის ინდ. მექ. ტექნიკუმთან არსებულ მექანიკური განყოფილების დამთავრების შესახებ № 298 შალვა სამსონისძე მაჭარაძის სახელზე, ჩ. გ. 2770

სათვალეების მორგება
უფასოდ
ექიმ სპეციალისტის მიერ „სახმედვაჭრობის" ოპტიკურ განყოფილებაში დღის 1—5-დე. პლეხანოვის გამზირი № 106 (ყოფ. მიხეილის პროსპექტი)
ტელ. 3—63. 13—8

ექიმი
გ. ნ. ონანოვი
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი, სქესობრივი სისუსტის ექიმობა
ავადმყოფების მიღება დილით 9 საათიდან 12 საათამდე, საღამოთ 5—8 ს-დე. ქალების 7—8 ს-დე.
ელისაბედის ქუჩა, №3. 25—1

**დავკარგე** კავშირის წიგნაკი, პარტიული წიგნაკი სიღარიბის მოწმობა, დამზღვევი წიგნაკი № 4784 ექიმის მოწმობა, იარაღის ტარების ნებართვა ცუცა ყარამანისძე ალბაროვის სახელზე, ჩ. გ. 2776

მედმუშაკთა კოლექტივი
აცხადებს, რომ ყველა სპეციალობის
ექიმთა გამოძახება სახლში
მწოლარე ავადმყოფებთან შეიძლება დილის 9 საათიდან, საღამოს 8 საათამდე შემდეგ პუნქტებიდან:
1) მე-6 საბჭ. აფთიაქი (ყ. ზელკინის) ოლღას ქუჩაზე.
2) ყოფ. ჰეინეს აფთიაქი თავისუფლების მოედანზე.
3) მე-7 საბჭ. აფთიაქი კლინიკური ინსტიტუტის (მიხეილის საავადმყოფო) პირდაპირ.
4) სადგურზე მუშკოვის გვერდით საბარგო სადგურის პირდაპირ.
5) ავლაბარი, მე-9 საბჭ. აფთიაქი, კახეთის ქუჩაზე.
ექიმის გამოძახება—60 კ.
საშუალო პერსონალის გამოძახება—35 კაპ.
საფასურის გადახდა პუნქტებზე.
იქვე ექიმების მორიგეობა ღამეობით. 25—19

**დავკარგე** პირადობის მოწმობა ქუთაისის მაზრის მილიციის უფროსის მიერ მოცემული № 156 ოლღა არჩილის ასული ბარძიმაშვილის სახელზე, ჩ. გ. 2766

ალმასკომის სტამბა, კამოს ქ. 68.